

ძველი რიყე „ახალი რიყის" მფლობელობაში A2



აგორა A5



აუცილებლად ეწვიეთ მუზეუმს A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 3 მაისი, 2006 წელი. №95 (1247) — ფასი 50 თეთრი


## "ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურის განცხადება

2006 წლის 1-7 მაისის გაზეთ "ქრონიკაში" დაიბეჭდა ინტერვიუ ვინმე შალვა ცერცვაძესთან, სათაურით "ბიძინა ივანაშვილი პოლიტიკაში მოდის!". რესპონდენტი "ბიძინა ივანაშვილის მხარდამჭერთა საზოგადოებრივი მოძრაობის" ხელმძღვანელად წარმოაჩენს თავს.

ამასთან დაკავშირებით, "ქართუ ჯგუფის" პრესსამსახური უფლებამოსილია, ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახელით განაცხადოს შემდეგი: ბიძინა ივანიშვილს არავითარი კავშირი არა აქვს დასახელებულ საზოგადოებრივ მოძრაობასთან და არც მის ხელმძღვანელ შალვა ცერცვაძეს იცნობს. რესპონდენტი პრესის საშუალებით ცრუ ინფორმაციას ავრცელებს და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნებულ ერთადერთ ინტერვიუში მკაფიოდ განაცხადა, რომ მას არ გააჩნია პოლიტიკური ამბიციები და შესაბამისად, პოლიტიკასთან რაიმე კავშირს მომავალშიც არ აპირებს.

მასმედიის წარმომადგენლებს მივმართავთ თხოვნით, შეძლებისდაგვარად თავი აარიდონ ბიძინა ივანიშვილის სახელთან დაკავშირებით დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას და ნუ ენდობიან საეჭვო რესპონდენტებს.

*"ქართუ ჯგუფის" პრესსამსახური*

# დსთ-სთან დამშვიდობება დაიწყო

## პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ქუთაისში მიიღო


მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*


*საქართველოს პრეზიდენტი დსთ-დან გამოსვლაზე დაფიქრდა. ამისკენ მას თბილისიდან ქუთაისში გადაფრენისას მობილურ ტელეფონზე ცხინვალიდან მიღებულმა sms-მა უბიძგა, რომლითაც რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია ადრესატს "რუსეთის ტერიტორიაზე" მიესალმებოდა. მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, მთავრობამ მოკლე ხანში უნდა დაადგინოს, რა მოაქვს საქართველოსთვის თანამეგობრობაში ყოფნას დამცირებისა და შეურაცხყოფის გარდა.*

საქართველოს პრეზიდენტის ქუთაისში ვიზიტის საბაბი უკვე მეორედ გახდა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა. პირველად, მიხეილ სააკაშვილმა ამ სკოლის საზეიმო გახსნის ცერემონიაში რამდენიმე თვის წინ მიიღო მონაწილეობა. ამჯერად კი სკოლის პირველ კურსდამთავრებულებს სერთიფიკატები გადასცა და თითოეული მათგანი სახელმწიფო აპარატში სამუშაოდ მიიწვია.

**"რა სახელმწიფო აპარატში მოდიხართ დღეს თქვენ? - სახელმწიფო აპარატში, რომელმაც ორ წელიწადში შეძლო შეექმნა სახელმწიფო, რადგან ჩვენ ვიყავით ტერიტორია და არა - სახელმწიფო.**


გაგრძელება A3 გვერდზე


# ენერგეტიკა - პოლიტიკური ბერკეტი

## დიდი ბრიტანეთი, ჩვენ და რუსები


მაია ჭალაგანიძე


*ექსპერტი კასპიისპირეთის ენერგეტიკული პროექტებისა და სატრანზიტო გზების საკითხებში ლია ჯერვალიძე ცოტა ხნის წინ დაბრუნდა დიდი ბრიტანეთიდან, სადაც სამი თვის განმავლობაში რედინგის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლასთან არსებულ ევრაზიული კვლევების ცენტრში ენერგეტიკის ეკონომიკური ასპექტების ინტენსიურ კურსს გადიოდა. ლონდონთან ახლოს მდებარე ამ ქალაქში ძირითადი ბრიტანული ენერგო კომპანიების მთავარი ოფისებია ბაზირებული. ამიტომაც, ქალბატონი ლია ყოველდღიურად ეცნობოდა ბრიტანეთის უდიდესი ენერგოკომპანიების საქმიანობას. ეს არ იყო მხოლოდ ზედაპირული ვიზიტები. კომპანიების საქმიანობასა და პრობლემებზე ამ კომპანიათა მაღალი თანამდებობის პირები საუბრობდნენ.*


გაგრძელება A8 გვერდზე




*ლია ჯერვალიძე.*

# აზიის საქმიანი სამოთხე

## კაპიტალდაბანდება ჰონგ კონგის ბრწყინვალე ბიზნეს-გარემოსა და საკურორტო ზონაში

**B**

*მშვენიერი ბუნებით და მეტად განვითარებული ეკონომიკით განთქმული ჰონგ კონგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიაა და ამჟამად ჩინეთის შემადგენლობაში შედის. 1997 წლის 1 ივლისს ჰონგ კონგს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიანგანის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი ეწოდა. კუნძულის გადაცემა განხორციელდა პრინციპით "ერთ ქვეყანაში ორი სისტემა", ანუ ჩინეთის ხელისუფლებამ ჰონგ კონგში კაპიტალისტური სისტემის 2047 წლამდე უცვლელად შენარჩუნების შესახებ თანხმობა განაცხადა. გარდა ამისა, არ შეცვლილა ინგლისელების მიერ დანერგილი მმართველობის სტრუქტურა, კანონმდებლობა, საგადასახადო და ფინანსური სისტემა, რომლებიც დასავლური მოდელის მიხედვითაა აწყობილი.*



## პოლიტიკა

### ევროსაბჭო საქართველოს "აკვირდება"

თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი და ევროკავშირთან ურთიერთობის კოორდინატორი ჟან ლუი ლორანი. გუშინ მან საქართველოს პარლამენტში შეხვედრები გამართა უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. საპატიო სტუმარს თან ახლავს ჩვენი ქვეყნის ელჩი ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილი. ქართველი დიპლომატი "24 საათთან" საუბარში ჟან ლუი ლორანის სტუმრობის მიზეზებს განმარტავს.


A3


## ამინდი

| | 3/05 | 4/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 20 |
| ტყიბული | 13 | 15 |
| სოხუმი | 13 | 14 |
| დმანისი | 11 | 14 |
| გორი | 13 | 16 |
| ონი | 4 | 8 |
| ზუგდიდი | 16 | 16 |
| ახმეტა | 16 | 20 |
| გაგრა | 15 | 18 |
| სამტრედია | 15 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8169 |
| ევრო | 2.2815 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2808 |
| რუბლი | 0.0666 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| აგორა | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# რა მანძილია საქართველოდან უკრაინამდე?


ია ანთაძე


ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს მყიფე სხეულზე ხან ერთი სახიფათო პრობლემა იჩენს თავს და ხან - მეორე; ხან გაზსადენი ფეთქდება, ხან ელექტროგადამცემი ხაზი წყდება, ხან ღვინო აღარ იყიდება, ხან ოპოზიცია აცხადებს ბოიკოტს, ხან პატიმრები ჯანყდებიან... ამ რყევების მიღმა იმალება ერთი მთავარი პრობლემა, რომლის მოგვარების წყარო, თითქოს, დაშრეტილია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს სამი სხვადასხვა პოლიტიკური ბიოგრაფიისა და სტილის პრეზიდენტი ჰყავდა. თითოეული მათგანი ქვეყანას თავისებურად მართავდა. მაგრამ თუ ქართული სახელმწიფოს განვითარების ბოლო 15 წელს გადავხედავთ, მკაფიოდ დავინახავთ ერთ ტენდენციას: ყველა პრეზიდენტი არჩეული იყო მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მიერ, ალტერნატიული კანდიდატების არარსებობის პირობებში. ამასთან, ქვეყანას ყოველთვის მართავდა პრეზიდენტის პარტია, რომელსაც პარლამენტში მუდამ ყოფნიდა საკუთარი ხმები გადაწყვეტილებების მისაღებად.

უალტერნატივო ლიდერებისა და პარტიების ტენდენცია პირდაპირ იყო დაკავშირებული მეორე, არანაკლებ მავნე ტენდენციასთან: ქარიზმატული ლიდერები ყოველთვის სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე ჩნდებოდნენ და ხელისუფლების ცვლის კონსტიტუციური ვადებიც ყოველთვის ირღვეოდა, ისევე, როგორც ირღვეოდა მემკვიდრეობითობის პრინციპი. ამიტომ, საქართველოში სამჯერ თავიდან დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობა: ჯერ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ ედუარდ შევარდნაძის და, ბოლოს, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ნებისმიერი მომდევნო პრეზიდენტი არ აღიარებდა წინამორბედის რაიმე წვლილს ქვეყნის მშენებლობაში და თავის საქმიანობას იწყებდა არა ნულოვანი სასტარტო პოზიციიდან, არამედ მინუს-ნიშნულიდან.


გაგრძელება A3 გვერდზე


# რუპერტ მერდოკი ქართულ მედია სივრცეში

## ქართული საზოგადოება პოზიტიური და ნეგატიური სიახლეების მოლოდინში


ნინია კაკაბაძე


Dear mr. Murdoch you play hard to see
But with your bare-arsed cheek you should be on page three
And dear mr. Murdoch you're really the pits
Bad news is good business, you are the king of tits

ციტატა, რომელიც ამ სტატიას უძღვის წინ, არ ეკუთვნის, რომელიმე გენიალურ პოეტს, ეს როჯერ ტეილორის, (ჯგუფი "ქუინის" ყოფილი დრამერი, ამჟამად პოპულარული კომპოზიტორი და შემსრულებელი) სიმღერაა, რომელიც ძვირფას ბატონ მერდოკს ეძღვნება. რა შინაარსის და სიმძაფრის კრიტიკული მუსიკალური ნაწარმოებია, აღარ განვმარტავთ. ვფიქრობთ ეს ერთი პატარა კუპლეტი ამისათვის საკმარისია. ზუსტად ამ პათოსით არ უყვართ დასავლელ ლიბერალ-დემოკრატებს და თითქმის უკლებლივ ყველა ხელოვანს რუპერტ მერდოკი ამერიკასა და მთელს ევროპაში. რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ, ზემოთხსენებულ ჯგუფს არ განეკუთვნებიან, მაგალითად ჯენიფერ ლოპესი და ბრიტნი სპირსი, რომელთაც, თავს უფლებას, მივცემ ხელოვანთა ჯგუფს არ მივაკუთვნო. ერთი სიტყვით, ეს მედია მაგნატი ძალიან პოპულარულია, მაგრამ დამოკიდებულება მის მიმართ არაერთგვაროვანია. სიახლე კი ის გახლავთ, რომ რუპერტ მერდოკი ანუ **News Corporation**-ი საქართველოში შემოდის. ეს კი ნამდვილად მნიშვნელოვანი სიახლეა და ამიტომაც მისი ქართულ მედია ბაზაზრზე გაწევრიანება ზოგს ახარებს და ზოგსაც აშინებს.


გაგრძელება A7 გვერდზე


# მიხეილ თუმანიშვილი ასე არც ფიქრობდა და არც წერდა


ელენე თუმანიშვილი


მამაჩემის, რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მის მიერ დადგმული სპექტაკლების გარდა, მოიცავს რამდენიმე გამოცემულ წიგნს, სტატიებს, სამეცნიერო ნაშრომებს. მ. თუმანიშვილის არქივში დაცულია, აგრეთვე, საკმაოდ ვრცელი გამოუქვეყნებელი მასალა: სარეჟისორო ექსპლიკაციები, სხვადასხვა სახის ჩანაწერები, რომლებიც ეხება როგორც თეატრს, ასევე პედაგოგიკის სფეროს და ა.შ. ალბათ, სავსებით გასაგებია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რეჟისორისა თუ მსახიობის მიერ ქაღალდზე დანატოვარ ნააზრევს, როდესაც თაობებს - ასეთია თეატრალური ხელოვნების სპეციფიკა - გარკვეული დროის შემდეგ მათ სპექტაკლებთან უშუალოდ შეხების საშუალება აღარ აქვთ. ვინაიდან მამას რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, არქივში დაცული მასალა, ზოგიერთი ქართული ტექსტის გარდა, ძირითადად, რუსულადაა დაწერილი. მამას ახლობლების - რეჟისორ ქ. დოლიძისა და თეატრმცოდნე ნ. ურუშაძის ინიციატივით, გადაწყდა მასალის გადარჩევა, თარგმნა და შემდგომ სამ წიგნად გამოცემა: "მ. თუმანიშვილი ფიქრობს", "მ. თუმანიშვილი ასწავლის", "მ. თუმანიშვილი თხზავს". წიგნების გამოცემა ითავა საერთაშორისო თეატრალურმა ლაბორატორია-ფონდმა "ტერა ინკოგნიტამ" (ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ქ. დოლიძე); ქ-ნი ნათელა ურუშაძე, რომელიც წინასიტყვაობაზე მუშაობდა, ამავდროულად, მთლიანად წიგნის შედგენასა და რედაქტირებაზეც იყო პასუხისმგებელი; მანანა გეგეჭკორი ტექსტს თარგმნიდა; ხოლო მე მხოლოდ საარქივო მასალის ქსეროასლების მიწოდება მევალებოდა, რის თაობაზეც ჩემსა და ფონდ "ტერა ინკოგნიტას" შორის 2003 წ. ხელშეკრულება გაფორმდა. ჩანაფიქრის განხორციელება შესაძლებელი გახადა ბ-ნ ბადრი პატარკაციშვილის თანადგომამ და დახმარებამ. ჩემი და მთელი ჩვენი ოჯახის სახელით ულრმეს მადლობას ვუხდი ბ-ნ ბადრის დიდი გულისხმიერებისა და ქველმოქმედებისათვის.


გაგრძელება A7 გვერდზე

## საბჭოთა კავშირის გმირი ბოლო ქართველი

2 მაისს გამთენიისას რუსეთის ქალაქ რიაზანში 89 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ქართველ გმირთაგან დარჩენილი უკანასკნელი მოჰიკანი, გენერალ- ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე. სიკვდილის მიზეზი გახდა ხანდაზმული გენერლის ხანგრძლივი ავადმყოფობა.

საბჭოთა კავშირის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე 1916 წელს ქუთაისთან ახლოს, სოფელ კურსებში დაიბადა. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, 15 წლის ჭაბუკი კურსების გრანიტის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა, 1938 წელს კი სამხედრო კარიერა აირჩია.

**"ომი მე მოსკოვის მისადგომებთან დავიწყე, ვმონაწილეობდი მოსკოვის დაცვის ბრძოლებში. შემდეგ ვმონაწილეობდი უკრაინის გათავისუფლების ბრძოლებში, დნეპრის ფორსირება მოვახდინე, ბრძოლებით გავიარე ბელორუსია, ბულგარეთი, რუმინეთი და ომის დასრულებას ავსტრიაში შევხვდი,"** - გაიხსენა შარშან 8 მაისს, რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციისათვის მიცემულ ინტერვიუში გენერალმა ალფაიძემ. 1945 წლის 28 აპრილს, მეორე მსოფიო ომის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე, გალაქტიონ ალფაიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება იოსებ სტალინმა მიანიჭა მოსკოვის დაცვის, დნეპრის გადალახვისა და ავსტრიის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის.

გალაქტიონ ალფაიძის მხედრული ბიოგრაფიის გვირგვინად ითვლება პლესეცკის კოსმოდრომი, რომლის მშენებლობასაც, კრემლის დავალებით, გალაქტიონ ალფაიძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა. პლესეცკის კოსმოდრომზე მდებარე პარკი, ქართველი მხედართმთავრის პატივსაცემად, გალაქტიონ ალფაიძის სახელს ატარებს. მისივე სახელობისაა მშობლიური სოფლის - კურსების საშუალო სკოლა. საქართველოში გალაქტიონ ალფაიძე უკანასკნელად 15 წლის წინ ჩამოვიდა.

## კოჯრიდან გაქცეული ჯარისკაცები ჰაუპტვახტში აღმოჩნდებიან

კოჯრის ბრიგადის რამდენიმე ჯარისკაცმა ღვინის საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრისადმი პრეზიდენტის დავალება პირად დავალებად ჩათვალა და კვირას, ზომაზე მეტი ღვინო მოიხმარა, რის გამოც ჰაუპტვახტში აღმოჩნდნენ. ასე შეაფასა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა კოჯრის ბრიგადიდან 70-მდე ჯარისკაცის გაქცევის ფაქტი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადიდან 1 მაისს ღამით, 70-მდე ჯარისკაცი გაიქცა, თუმცა სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ რამდენიმე საათში მათი დაბრუნება შეძლო.

ერთდღიანი ინციდენტი ამ დროისთვის ამოწურულია, თუმცა დისციპლინის დამრღვევ სამხედროებს სასჯელი ელოდებათ. გავრცელებული ინფორმაციით, კვირაცხოვლობის აღსანიშნავად, ნაწილში რამდენიმე ჯარისკაცი დათვრა, სამხედრო პოლიციის მიერ მათ დასჯას კი ჯარისკაცების პროტესტი მოჰყვა.

პროტესტის ნიშნად, 70-მდე ჯარისკაცმა სამხედრო ნაწილის ტერიტორია დატოვა და ტყეში მიიმალა, თუმცა რამდენიმე საათში ისინი დისკლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ. კოჯრის ბრიგადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოინახულა. მისი შეფასებით, მომხდარი ფაქტი სამხედრო ნაწილში არსებულ უდისციპლინობაზე მეტყველებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ლევან ნიკოლეიშვილის თქმით, სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვების ნებისმიერ ფაქტზე სამხედრო პოლიციას შესაბამისი რეაგირება ექნება, რადგან ჯარი არის ჯარი და არავის მისი თვითნებურად მიტოვების უფლება არა აქვს.

ნიკოლეიშვილის განცხადებით, ამ ჯარისკაცების მიმართ ყველა შესაბამისი ღონისძიება კანონის სრული დაცვით განხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 98.0

**გადაცემა გადის რადიო "უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ინგა გრიგოლია. გადაცემის სტუმარია მოძრაობა "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი.**

**ი.გ.:** დღეს გვინდა განვიხილოთ ბოლო პერიოდის ყველაზე აქტიური თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. გუშინ, 1 მაისს მოსკოვში გამართულ დემონსტრაციებზე უკვე გამოჩნდა ლოზუნგი, რომ არალეგალებმა დატოვონ რუსეთი. ეს ყველაფერი დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომლებიც იქ ცხოვრობენ. მათ არა აქვთ გარანტია, რომ არ გადაყვებიან თბილისსა და მოსკოვს შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ტონს. ქ-ნო სალომე იქნებ გააკეთოთ ერთგვარი ანგარიში ყველაფერ იმისა, რაც ხდება დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის. როგორ ფიქრობთ რამდენად არსებოპბს იმის, რომ ჩვენი არალეგალი თანამემამულეები, რომლებიც პურის ფულს შოულობენ რუსეთში, გამოყარონ.

**ს.ზ.:** კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ გიპასუხებთ რა საფრთხე არსებობს. ფაქტია, რომ დღეს რუსეთი ზოგადად გადასულია იმ კონფრონტაციულ პოლიტიკაზე, რომელიც არსებულ დაძაბულობას მოჰყვა. ყველაზე ცუდი იქნება თუკი ჩვენი თანამემალეები აღმოჩნდებიან კიდევ უფრო მძიმე სოციალურ პირობებში. ეს დაეტყობა საქართველოსაც. ჩემთვის დამაფიქრებელი არის ის, რომ ჩვენ აქამდე მივედით ხელოვნური დაძაბულობის შედეგად. ყოველდღე იმაზეა საუბარი რას გაგვიკეთებს რუსეთი და როგორ ვაჟკაცურად დავუდგებით ჩვენ. მე ამ საკითხებზე ვმუშაობდი და მეგონა გამოსული ვიყავით მენტალური ჯაჭვებიდან, მაგრამ ასე არ არის. საქართველო უნდა გათავისუფლდეს მენტალური ჯაჭვებიდან. იმიტომ ვთქვი ხელოვნურად შექმნილი სიტუაციაათქო, რომ რუსეთი რაც არის ყველამ ვიცით, რუსეთი არ შეცვლილა და მის შეცვლას უნდა დიდი დროი და მუსაობა. რუსეთი ჩემი აზრით არის გაურკვეველი მასა, რომელიც ნელა იძვრის და ხშირ შემთხვევაში უფრო გარეფაქტორების გავლენით და არა თავისი გადაწყვეტილებით. მე არ მჯეროდა და არც დღეს მჯერა რუსეთის სტრატეგიის ან სამოქმედო გეგმის. რუსეთი სადაც ხედავს ძალას, უკან იხევს და სადაც სისუსტეს, წინ მიდის.

**ი.გ.:** მაინც სად დაინახა რუსეთმა სისუსტე და სად დაიხია უკან? პოსტსაბჭოთა სივრცეზე ვისაუბროთ.

**ს.ზ.:** მაგალითად ბალტიისპირეთში. რუსეთმა ბევრი იბობოქრა მის ნატოში შესვლამდე.

**ი.გ.:** თქვენი ანალიზის მიხედვით, დღეს რუსეთი ძალას ვერ გრძნობს საქართველოში?

**ს.ზ.:** გრძნობს რაღაც გარკვეულ სისუსტეს.

**ი.გ.:** რა არის ეს სისუსტე?

**ს.ზ.:** თუნდაც ის სოციალური პრობლემები, რომელიც შეიქმნა, თუნდაც რეფორმები, რომელიც არ არის მიღებული ხალხის მიერ ისეთივე მხარდაჭერით, როგორც იყო დასაწყისში. ეს ჩვენი ბრალიცაა. ხელისუფლებამ ვერ, ან არ ახსნა რაღაცეები, რის გამოც ინფორმაციის ნაკლებობა გაჩნდა. არ შეიძლება შენი მხარდაჭერები დაკარგო და დაშორდე.

**ი.გ.:** და თუ არ გინდა მოისმინო შენი ხალხის აზრი?

**ს.ზ.:** სწორედ ესაა პრობლემა და ამაშია სისუსტე.

**ი.გ.:** ჩვენ ვნახეთ ამ ბოლო დროს როგორ გამწვავდა ვითარება რუსეთთან. ამის ფონზე ოპონენტებმა გააკეთეს განცხადება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთთან ურთიერთობაშიც კი ქართველ ამომრჩეველზე "თამაშობენ". ანუ ეს განცხადებები კეთდება არა რუსეთისთვის, არამედ ქართველი ამომრჩევლისთვის, რომელიც ტელევიზორს უყურებს.

**ს.ზ.:** ეს განცხადებები კეთდება იმისთვის, რომ ვიღაც შეიმოსოს პატრიოტულ ტანისამოსში. გახდეს ეროვნული, პატრიოტული ფიგურა. ეს არის ის ძველი ძალები, რომლებიც კვლავ ამოტივტივდნენ და ადრე კარგი ურთიერთობა და კავშირი ჰქონდათ რუსეთთან. მათგან მკაცრი განცხადებები რომ მესმის რუსეთზე, ჩემთვის როგორც დამკვირვებლისთვის უცნაურია. ვგულისხმობ ბურჯანაძესაც. ბურჯანაძეც და სხვა პარლამენტარებიც არიან შევარდნაძის აპარატიდან და წარმოადგენენ ძველ ძალას.

# ძველი რიყე „ახალი რიყის" მფლობელობაში

თამარ დვალი

*თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიამ გუშინ რიყის ტერიტორიის გასხვისებაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გამოავლინა. "შპს ახალმა რიყემ" რიყეზე არსებული 43 350 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი შვიდ მილიონ ამერიკულ დოლარად შეიძინა.*



2006 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში რიყის ტერიტორიის განაშენიანებისთვის 4 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული, თუმცა ბიუჯეტის დამტკიცებიდან რამდენიმე თვეში, თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიამ ამ ტერიტორიის გასხვისებაზე კონკურსი გამოაცხადა. ამავე კომისიამ განსაზღვრა მიწის საწყისი ფასიც, რომელიც შვიდ მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. დღეს, როდესაც რიყეს უკვე კერძო მფლობელი ჰყავს, უცნობია თუ რაში დაიხარჯება რიყის განაშენიანებისთვის გამოყოფილი თანხები.

გუშინ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიამ ორი კომპანიიდან უპირატესობა ერთ-ერთს - შპს "ახალ რიყეს" მიანიჭა. ფრანგულ კომპანია "ჯორჯიან პროპერტის" უარი უკვე მეორედ ეთქვა. მათ თავიანთი წინადადებები პირველად გამართულ კონკურსზეც წარადგინეს, თუმცა მაშინ კონკურსი ჩაიშალა.

როგორც კომისიის წევრები აღნიშნავენ, ფრანგულ კომპანიას მშენებლობაში გაცილებით მეტი გამოცდილება ჰქონდა. თუმცა, "ჯორჯიან პროპერტის" დამარცხების მიზეზი მათ მიერ წარმოდგენილ პროექტში რიყეზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გათვალისწინება გახდა. გარდა ამისა, კომისიის წევრთა განცხადებით, "ახალი რიყის" პროექტი უფრო დეტალური აღმოჩნდა, ვიდრე ფრანგული კომპანიის იყო. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება შპს "ჯორჯიან ფროფერთის" წარმომადგენელი ალექსანდრე ბოლქვაძე. მისი თქმით, სრულიად გაუგებარია, თუ რა პრინციპით იხელმძღვანელა კომისიამ გამარჯვებულის გამოვლენისას.

როგორც ბოლქვაძემ განაცხადა, მათ გაცილებით უფრო დახვეწილი პროექტი წარადგინეს, ვიდრე გამარჯვებულმა კომპანიამ. "ჯორჯიან პროპერტი" თბილისის მერიის ქონების მართვისა და განკარგვის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ გამორიცხავს.

გამარჯვებული კომპანია რიყეზე 60-დან 80 მილიონ ლარამდე ინვესტიციის განახორციელებას გეგმავს. 2010 წლისთვის პროექტი სრულად უნდა იქნას განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ "შპს ახალი რიყის" დამფუძნებელი "ჯი-ემ-სი ჰოლდინგია". როგორც კომპანიის წარმომადგენელმა ლადო კირვალიძემ განაცხადა, უახლოეს მომავალში ისინი საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსს გამოცხადებენ, რომელშიც მონაწილეობას 5 საერთაშორისო დონის საპროექტო კომპანია მიიღებს. **"ამის შემდეგ გაირკვევა, თუ ვინ მოახდენს რიყის რეაბილიტაციას,"** - განაცხადა ლადო კირვალიძემ.

უკვე ცნობილია, რომ რიყეზე გამავალი საავტომობილო გზა გაუქმდება და მის ნაცვლად, მიწისქვეშა გვირაბი აშენდება. მტკვრის სანაპიროზე კი გასართობი, ტურისტული და ბიზნესცენტრები მოეწყობა. გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს იქნება თანამედროვე დონის დასასვენებელი ადგილი.

# შალომ გურიაში

*დღეს ისრაელი დამოუკიდებლობის 58-ე წლისთავს ზეიმობს. ამასთან დაკავშირებით ისრაელის საელჩო რუსთაველის თეატრში საზეიმო მიღებასა და კონცერტს მართავს. ჩვენ კი ჩოხატაურში გიწვევთ და მეგობრობის ერთ პატარა მაგალითს წარმოგიდგენთ. ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობას რაღა მოშლიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ებრაელმა ელიოზმა ჯვარცმის შემდეგ უფალი იესო ქრისტეს უკერველი კვართი მცხეთაში ჩამოიტანა, ხოლო მისი და სიდონია ამ კვართით ხელში აღესრულა და მის საფლავზე საქართველოს მთავარი ტაძარი სვეტიცხოველი აიგო.*
*დღეს ამ ურთიერთობის გამგრძელებელი საქართველოში ისრაელის საელჩოა და მისი მოღვაწეობის შედეგია, რომ ორ ხალხს შორის მეგობრობა ყოველწლიურად ღრმავდება. ამის დასტურია საქართველოს "SHALOM CLUB"-ი, რომელიც, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, აერთიანებს ისრაელში სხვადასხვა სასწავლო ცენტრებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად და წმინდა ადგილების მოსალოცად ნამყოფ ადამიანებს. სწორედ ისრაელის საელჩო უზრუნველყოფს საქართველოდან ამგვარი საგანმანათლებლო ურთიერთობების დაუბრკოლებელ ორგანიზებას.*
*"SHALOM CLUB"-ი საერთაშორისო ორგანიზაციაა, მრავალ ქვეყანაში არსებობს და - მათ შორის საქართველოშიც, მაგრამ საქართველო მაინც გამორჩეულია იმით, რომ ჭკვიანი და გულისხმიერი ადამიანების მეცადინეობით, 4 წლის წინათ დაარსდა და დღემდე აქტიურად მოღვაწეობს კლუბის რეგიონული ორგანიზაცია "SHALOM KLUB GURIA", რომლის ხელმძღვანელია ჩოხატაურის რაიონის გამგებლის მოადგილე ზაურ ოსეფაიშვილი. ამ პატარა ორგანიზაციის დიდი მიზნების გაცნობა დღევანდელ დღეს მართლაც უპრიანი იქნებოდა, მითუმეტეს, რომ მისი საქველმოქმედო საქმიანობა უკვე ისრაელშიცაა ცნობილი.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაურ ოსეფაიშვილი: "SHALOM KLUB GURIA" დავაფუძნეთ იმ ადამიანებმა, რომლებიც გურიიდან მოვხვდით ისრაელის სასწავლო ცენტრებში და მივიღეთ სერთიფიკატი მეურნეობის სხვადასხვა სფეროში: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მარკეტინგი, ბიზნესი, ეკონომიკა და სხვა.

ჩვენ ისრაელში ყოფნის დროს გაგვაოცა ებრაელი ხალხის სიყვარულმა თავისი სახელმწიფოსადმი, ბრძოლამ სეპარატიზმის წინააღმდეგ, უდიდესმა შრომისმოყვარეობამ, რაც მეურნეობის ყველა დარგში იგრძნობა, სტუმრისადმი პატივისცემამ და მოფერებამ. "SHALOM!" - ეს სიტყვა გახდა ჩვენთვის სიყვარულის, მეგობრობის, კეთილი სურვილების მატარებელი ჩვენსა და ჩვენ მიერ გაცნობილ ებრაელებს შორის.

ისრაელში ყოფნის დროს განსაკუთრებით გაგვაოცა ქართველ ებრაელთა გულთბილმა დამოკიდებულებამ საქართველოდან ჩასულებისადმი. ჩვენ არ შეგვხვედრია ქართველი ებრაელი, რომელსაც სახლში არ დავეპატიჟეთ. ისინი სულის შემძვრელად იხსენებდნენ საქართველოში ცხოვრებას, ყველანაირად ცდილობდნენ, პატივი ეცათ ჩვენთვის და ამ დამოკიდებულებით გამოხატავდნენ უზარმაზარ სიყვარულსა და ნოსტალგიას საქართველოსადმი. ერთ-ერთ ოჯახში ყოფნის დროს ოჯახის უფროსმა მის შვილიშვილს, როცა ჩვენი თავი გააცნო, უთხრა, ეს ხალხი საქართველოდანაა, მე რომ ვცხოვრობდი, იმ ქვეყნიდანო.

"ქუთაისი საქართველო არაა?" - შეეკითხა შვილიშვილი.

"კი, ბაბუა, საქართველოა," - უპასუხა ბუბამ და კმაყოფილებით შემოგვხედა და თვალებით გვითხრა, რომ შვილიშვილს სულ საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა.

ამ ადამიანს ერთი ნატვრა ჰქონდა - შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად საქართველო ერთხელ მაინც ენახა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა "SHALOM KLUB GURIA", კლუბის ძირითადი საქმიანობა გახდა ქართველ და ებრაელ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისა და ტრადიციების გაგრძელებისათვის ხელის შეწყობა, ისრაელში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ახალგაზრდობისათვის ებრაელი ხალხის გმირული ბრძოლისა და ისტორიის გაცნობა."

**- ვინ გეხმარებათ ამ საქმიანობაში?**

- "SHALOM KLUB GURIA"-ს მჭიდრო კავშირი აქვს ისრაელის საელჩოსთან. განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი შაბთაი ცური. მხარში გვიდგას და გვეხმარება MASHAV-ის განყოფილების ხელმძღვანელი, ელჩის მრჩეველი ბ-ნი გიორგი ჟღენტი.

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- ამჟამად "SHALOM KLUB GURIA" მუშაობს პროექტზე "ისრაელი ჩემი დედასამშობლოა, საქართველო ჩემი ტკბილი დედოფილი", რომელიც ითვალისწინებს საქართველოში არსებულ ებრაელთა სასაფლაოებისა და სინაგოგების შესწავლას, გარდაცვლილთა კატალოგის შედგენას და მათი საქმიანობის შესახებ მასალების მოძიებას. პროექტის დაწერის შემდეგ შევეცდებით, მოვძებნოთ სპონსორები. მადლობელი ვიქნებით ყველასი, ვინც დაგვეხმარება ამ საქმეში. პირველად სამუშაოებს ჩვენ თვითონ დავიწყებთ, რასაც შევძლებთ - შევძლებთ, თუ ვინმე დაგვეხმარა საკუთარი ნებით, მადლობას ვეტყვით. ამ საკითხზე უკვე ვესაუბრეთ ბატონ ელჩს, რომელმაც დახმარება აღგვითქვა. ჩვენ ამ პროექტით გვინდა, ჩვენი სითბო და სიყვარული გამოვხატოთ იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მრავალი სიკეთე გაუკეთეს ქართველ ხალხს და საუკუნო განსასვენებელი ქართულ მიწაზე ჰპოვეს. ჩვენ ყურადღებასა და მზრუნველობას არ მოვაკლებთ მათ საფლავებს. ასევე ეს ადგილები იქცევა ისრაელიდან ჩამოსული სტუმრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოსანახულებელ ადგილად და შეტანილი იქნება ტურისტულ მარშრუტებშიც.

გვაქვს ერთი იდეაც: იმისათვის, რომ გაგრძელდეს ტრადიციები, სურვილი გვაქვს, რომ პერიოდულად მოხდეს ქართველი ახალგაზრდების და ქართველ ებრაელთა შვილების 15-დღიანი დასვენების ორგანიზება საქართველოში და ისრაელში.

**- როგორც ჩვენთვის ცნობილია, კლუბი აქტიურად მუშაობს გურიაში ტურიზმის განვითარებისათვის, უკვე იგეგმება პირველი ტურისტების მიღებაც. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

- "SHALOM KLUB GURIA" დიდ ყურადღებას უთმობს ტურიზმის განვითარებას. საერთოდ, დასავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით გურია-აჭარას თავისი ბუნებრივი პირობებით: მთა, ზღვა, მდინარეები, ტბები, ისტორიული და კულტურული ძეგლები და სხვა, საშუალებას იძლევა აქ ტურიზმის განვითარებისათვის. ამას ემატება ასევე, რომ გურია-აჭარა საქართველოში ყველაზე წყნარ ზონაში მდებარეობს. ამჟამად კლუბი მუშაობს პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს გურიაში და აჭარაში ტურიზმის სხვადასხვა ფორმის: ეკოტურიზმი, ველური ტურიზმი, საოჯახო ტურიზმი, ჰელისკი, რაიტ ტურიზმი და სხვა, განვითარებას. ამ საკითხში ჩვენთან ერთად ჩართული არიან ჩვენი ებრაელი მეგობრები. უნდა შევისწავლოთ ამჟამად არსებული ტურისტული პოტენციალი: ბაზები, სასტუმროები, კემპინგები. მიმდინარეობს მუშაობა ფოტო და ვიდეომასალების მოპოვებაზე, ხოლო ებრაელი მეგობრები გვეხმარებიან ისრაელში და არა მარტო ისრაელში არსებულ ტურისტულ ფირმებთან დაკავშირებაში. გასულ წელს უკვე ორი ტურისტული ჯგუფი მოვიწვიეთ კურორტ ბახმაროში. ტურისტები აღფრთოვანებულები დარჩნენ მდინარე გუბაზეულის ხეობითა და ბახმაროს ბუნებით. ამ ტურით გათვალისწინებული იყო მთის მდინარეში ანკესით თევზაობა, ცხენით ირგვლივ მთების დალაშქვრა, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დაგემოვნება და სხვა.

ჩვენი სურვილია, გურიის ულამაზესი რეგიონი დაუძმობილდეს ისრაელის რომელიმე ქალაქს. სასურველია, ქალაქ აშდოტს, სადაც, ჩვენი ინფორმაციით, ყველაზე მეტი ქართველი ებრაელი ცხოვრობს.

## მოკლედ

### ნათელაშვილი თავდაცვის მინისტრის განცხადებებს უპასუხისმგებლოს უწოდებს

"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას საქართველოს დსთ-დან გამოსვლისა და 2007 წლის 1 იანვრისათვის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების შესახებ, "უპასუხისმგებლო კაცის უპასუხისმგებლო განცხადებებად" აფასებს.

"ოქრუაშვილი სანამ დუმდა, ყველას თვალში სერიოზულ კაცად აღიქმებოდა. მისმა განცხადებებმა ქვეყანას უბედურებების მეტი არაფერი მოუტანა", - აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გუშინ, სატელევიზიო ეთერში გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, საქართველო, უახლოეს დღეებში შესაძლოა დსთ-დან გამოვიდეს და 2007 წლის 1 იანვარს ახალი წლის ღამეს იგი ცხვინვალში შეხვდება.

ნათელაშვილის აზრით, დსთ-ს წესდებაში კარგად გაწერილია ამა თუ იმ ქვეყნის სურვილის შემთხვევაში ქვეყნის მიერ დსთ-ს დატოვების პრინციპები. მისივე თქმით, თავად ხელისუფლება აყოვნებს ქვეყნის დსთ-დან გამოსვლას, ვინაიდან, თუ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას სურდა დსთ-დან გამოსვლის თარიღის დასახელება, ეს საკითხი 12 თვით ადრე უნდა დაეყენებინა.

ნათელაშვილი თავდაცვის მინისტრის განცხადებას 2007 წლის 1 იანვრის ცხინვალში აღნიშვნის შესახებ, "ოქრუაშვილის საშობაო სიზმრებად" მიიჩნევს, რომლის შესახებაც მან საჯაროდ მსჯელობა ისურვა. მისივე თქმით, ამ ხელისუფლების ხელში, არა თუ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარება, არამედ იმ ტერიტორიის შენარჩუნებაც საფრთხის ქვეშაა, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს. **ინტერპრესნიუსი**

### "განცხადებები აბსოლუტურად გაუგებარია"

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავასთვის თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები გაუგებარი აღმოჩნდა.

ხაინდრავას თქმით, დსთ-დან გამოსვლისა და ცხინვალში შესვლის ვადების განსაზღვრა მისი კომპეტენცია არ არის, თუმცა, სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, ოქრუაშვილის განცხადებები ერთ კვირაში საქართველოს მიერ დსთ-ის დატოვებისა და 1 იანვრისთვის ცხინვალში შესვლის შესახებ აბსოლუტურად გაუგებარია.

"ეს ოქრუაშვილის განცხადებებია და მას ჰკითხეთ. დსთ-დან გამოსვლა დღის წესრიგში დგას, თუმცა გადაწყვეტილებების მიღება მთავრობაზეა დამოკიდებული", - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, ის ახლო მომავალში პარლამენტში წარადგენს დეტალურ და არგუმენტირებულ პოზიციას აფხაზეთში დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ.

გიორგი ხაინდრავა მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის დსთ-ში ყოფნა არაფერს ნიშნავს, რადგან ამ ფორმატში მიღებულ გადაწყვეტილებებში საქართველო არ მონაწილეობს.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ტელეკომპანია "იმედის" ეთერში გააკეთა განცხადება ერთ კვირაში საქართველოს დსთ-დან გამოსვლისა და 2007 წლის 1 იანვრისთვის ცხინვალში შესვლის შესახებ. **ინტერპრესნიუსი**

### უკმაყოფილო არქიტექტორები

"ქალაქგეგმარების საკითხები და თბილისის გენგეგმა" - ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს არქიტექტორთა კავშირში მსჯელობდნენ.

"თბილისში მიმდინარე პროცესები უმართავი ხდება და ის შეცდომა, რაც ქალაქგეგმარებით კუთხით იქნება დაშვებული ძალიან რთული გამოსასწორებელი იქნება", - აღნიშნა არქიტექტორთა შეკრებაზე თბილისის გენგეგმის ავტორმა გივი შავდიამ.

მისი თქმით, მაშინ, როცა თბილისში 600 კვადრატულ მეტრ მიწაზე მეტი არ უნდა გაცემულიყო კერძო საკუთრებაში, 1500 კვადრატულო მეტრზე მეტი მიწებიცაა გასხვისებული. **ინტერპრესნიუსი**

### ახალგაზრდული ბანაკები 5 მაისიდან გაიხსნება

გუშინ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა ლადო ვარძელაშვილმა ბავშვთა საზაფხულო ბანაკების შესახებ ბრიფინგი გამართა. როგორც ვარძელაშვილმა აღნიშნა, საპრეზიდენტო პროგრამა "პატრიოტის" ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდული ბანაკები საქართველოს სხვადასხვა რაიონში 5 მაისიდან გაიხსნება. "მიმდინარე წლის ზაფხულში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში შვიდი ბანაკი გაიხსნება, სადაც 30 ათასი ბავშვი შეძლებს დასვენებას. გასულ წელს ძპატრიოტის" ბანაკებში 15 ათასი ახალგაზრდა იმყოფებოდა" - განაცხადა ლადო ვარძელაშვილმა.

"პატრიოტის" ფარგლებში ბავშვები 5 მაისს ხელვაჩაურში გაემგზავრებიან, ხოლო 18 მაისს ბანაკები ბათუმში, საგარეჯოში, ბაკურიანსა და ვარციხეშიც გაიხსნება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# დსთ-სთან დამშვიდობება დაიწყო

პირველი გვერდიდან

**ჩვენი მთვარი პრინციპები სახელმწიფო ადმინისტრაციაში დღეს არის: პატრიოტიზმი, თანმიმდევრულობა და ტრადიციების შექმნა. ჩვენ ჩვენი მუშაობის სტილი უნდა შევქმნათ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს სკოლა ატარებს გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა და ჩემი მეგობრის - ზურაბ ჟვანიას სახელს, იმიტომ, რომ ეს სკოლა არის ჩემი და ზურაბის ერთობლივი ოცნების განხორციელება. ეს დაწესებულება ქართულ ადმინისტრაციულ ელიტას უნდა აყალიბებდეს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ტრიბუნა გამოიყენა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებისთვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თაობაზე. პრეზიდენტმა ჯერ "ანექსიის კლასიკური მაგალითი" მოიყვანა, რომელიც მას თავს თბილისიდან ქუთაისამდე ფრენისას გადახდა: **"დაახლოებით შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩემს მობილურ ტელეფონზე შემოვიდა ტექსტური შეტყობინება: "მოგესალმებით რუსეთის ტერიტორიაზე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რუსეთში." სწორედ ამ მობილური გზავნილის ავტორები უქმნიან ჩვენს ქვეყანას მთავარ პრობლემებს. რუსეთმა შარშან ვაშლის გატანა გადაგვიკეტა, ახალი წლის წინ კი - ციტრუსის, მერე - ღვინის. ამ ყველაფრის მიზანი არის იმ ხელისუფლების შეცვლა, რომელიც არის ბოლო შანსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვსურს ძალიან ინტენსიური დიალოგი რუსეთთან, ოღონდ იმ რუსეთთან, რომელიც არ დახურავს საკვირაო სკოლებს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ქართულად ლაპარაკობენ ან არ დახურავს საზღვრებს,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.



დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც მოექცა.

რუსეთთან გართულებული ურთიერთობის ფონზე საქართველოს ხელისუფლების ყურადღების ქვეშ კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც მოექცა. ქვეყნის პრეზიდენტმა ქუთაისში ვიზიტისას ღიად განაცხადა, რომ მთავრობამ მისგან სპეციალური დავალება უკვე მიიღო: **"1990 წელს გახდა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა და საქართველომ უარი თქვა დსთ-ზე. 1993 წელს, მუხლებზე დაჩოქილი საქართველო აიძულეს შესულიყო დსთ-ში. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ბევრი სარგებელი ვნახეთ ამ თანამეგობრობით, რადგან შევინარჩუნეთ კავშირები ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან, მათ შორის - რუსეთთან. დღეს რუსეთის მხრიდან ყველაფერი გადაგვიკეტეს და ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება: ღირს კი დსთ-ში ყოფნა? მე დღეს საქართველოს მთავრობას დავავალე, კარგად შეისწავლონ და მაქსიმუმ ორ თვეში ზუსტი ეკონომიკური დასაბუთება წარმომიდგინონ, ღირს თუ არა დსთ-ში დარჩენა. თუკი, როგორც მე ეჭვი მაქვს, საქართველოს აღარაფერი სარგებლობის მიღება არ შეუძლია ამ ორგანიზაციიდან, დამცირებისა და შეურაცხყოფის გარდა, მაშინ ქართველმა ხალხმა ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, როგორიც ეკადრება ღირსების მქონე ფეხზე დამდგარ ქვეყანას,"** - თქვა პრეზიდენტმა.

პოლიტიკური განცხადებების გარდა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქუთაისში პოლიტიკური დაპირებებიც უხვად გასცა. მანამდე კი წინამორბედი ხელისუფლების წარმომადგენლები გააკრიტიკა: **"საქართველო ბოლო 14-15 წლის მანძილზე იყო ვაკუუმში და წელს პირველი წელია, როცა მთელი საქართველო მარაგდება ელექტროენერგიით. ყველა პარტია პირდებოდა ხალხს 12, 14 და 18 საათიან დენს და ამას ვერავინ ასრულებდა. ჩვენ ერთხელ დავპირდით და შევასრულეთ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ქუთაისელთა მესამედის გასაგონადაც, ვისაც უკვე თვეებია ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდება.

"ალმშენებლობის ფერხულში" ქუთაისის ჩაბმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად იკისრა და ორი წლის წინ დაპირებული სპორტის სასახლის მშენებლობის საძირკველში პირველი ნიჩაბი თავად დაჰკრა.

**"ერთ წელს ვაძლევ ყველა შესაბამის უწყებას და ერთ წელიწადში მე თვითონ სიამოვნებით მოვალ და ვითამაშებ აქ თქვენთან ერთად კალათბურთს. ამაზე უფრო ჩქარა შანხაიშიც არ აშენებულა,"** - თქვა პრეზიდენტმა და სხვათა შორის მოაყოლა, რომ სენაკის სამხედრო ბაზა სწორედ ერთ წელიწადში აშენდა.

სპორტული მოედნების გარდა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტად კვლავ რჩება გზების მშენებლობა. პრეზიდენტის ვიზიტის პროგრამაში 10-15-წუთიანი მონაკვეთი ქუთაისის გზების სარემონტო სამუშაოების მონახულებამაც დაიკავა. 15 წუთით სააკაშვილმა ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში, ავტოქარხნის დასახლებაში მდებარე N32 საჯარო სკოლაშიც "შეირბინა". პრეზიდენტის დაპირებით, წელს ქუთაისში არსებული 42 სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდება. მომავალ წელს კი სკოლებში ინვენტარის განახლება იგეგმება.

**"ქუთაისი განსაკუთრებული ქალაქია ჩემთვის. სხვათა შორის, დღეს აქ ჩემს მეუღლესთან გზა შემთხვევით გადავკვეთე იმიტომ, რომ ის აქ თავის საქმეებზეა. ქუთაისი პირველი ქალაქია, რომელიც სანდრამ საქართველოში ნახა იქამდე, სანამ მე გამიცნობდა. საქართველოზე შთაბეჭდილება მას სწორედ ქუთაისით შეექმნა 1992 წელს, და ქუთაისს უნდო ვუმადლოდე, რომ სანდრამ მე შემომხედა თავის დროზე..."** - გაიხსენა წარსული პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ვიზიტმა 2 მაისს ქუთაისში ისე ჩაიარა, რომ საუკუნოვანი ისტორიის ტრადიციას - "ორმაისობის დღესასწაულს" არ გამოხმაურებია, და არც იმ ახალგაზრდებისა და შემოქმედებითი ჯგუფების ღონისძიებებს დასწრებია, რომლებსაც ისინი ქალაქის ცენტრში დილიდან საღამომდე ღია ცის ქვეშ მართავდნენ.

# რა მანძილია საქართველოდან უკრაინამდე?

პირველი გვერდიდან

რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფო ერთხელ და სამუდამოდ ჩადგეს თანამიმდევრული, სისტემური განვითარების კალაპოტში? როდის გვეყოლება პრეზიდენტი, რომელიც წინამორბედს კი არ დაამხობს, არამედ არჩევნებში დაამარცხებს?

მიხეილ სააკაშვილს შეეძლო, რეალურად გამიჯნოდა წინა პრეზიდენტებს იმით, რომ მოეხდინა ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, შეექმნა გარემო, რომელიც გააძლიერებდა თვითმმართველობას, სასამართლოს, ბიზნესს, მედიას, არასამთავრობო სექტორს, ოპოზიციას. თუ ამ ყველაფერს სამართლიანი არჩევნები დაემატებოდა, შედეგად მივიღებდით ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას, სტაბილურ წინსვლას და ძლიერ სახელმწიფოს. მაშინ სააკაშვილის საყვარელი სიტყვები - "ახლა ძველი დრო აღარ არის" - სულ სხვა მნიშვნელობას შეიძენდა. თუმცა, ჯერჯერობით გვყავს თითქმის 100 პროცენტით არჩეული ლიდერი; მისი პარტია, რომელსაც კონსტიტუციის შეცვლაც კი შეუძლია; ახალი საარჩევნო კომისია, რომელიც პრეზიდენტის სრული ნდობით სარგებლობს; გვაქვს ახალი საარჩევნო სისტემა, რომელიც არავის მოსწონს, ხელისუფლების გარდა.

რა ხდება სამოქალაქო სექტორში? შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო ეტაპზე ბევრი ფული და ენერგია, დიდი ცოდნა ჩაიდო მედიის, არასამთავრობო სექტორის და პოლიტიკური პარტიების გასაძლიერებლად. ამ რესურსმა ხელი შეუწყო რამდენიმე ლიდერის გაძლიერებას, მაგრამ ვერ უზრუნველყო ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით და, პირიქით, ძალაუფლების რევოლუციური ცვლა განახორციელა. ამ გზამ კი ისევ უალტერნატივო ლიდერთან დაგვაბრუნა. არ არსებობს გარანტია, რომ თუკი დღეს კვლავ აღმოჩნდებიან მედიის, არასამთავრობო სექტორისა და პარტიების გაძლიერების მსურველები, მათი ძალისხმევა მორიგი ქარიზმატული ლიდერის დაბადებას არ მოემსახურება.

რჩება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოება, საქართველოს მოსახლეობა. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ხალხი იყო ვარდების რევოლუციის მთავარი საყრდენი. სწორედ ხალხის ნებამ გააძევა მაშინდელი, უზომოდ კორუმპირებული სახელისუფლო ელიტა პოლიტიკური არენიდან. მაგრამ იმავე ხალხმა თითქმის ბრმად გადააბარა ძალაუფლება ახალ ლიდერს და მის გარემოცვას. დღეს ისევ აქტუალურია შეკითხვა: "ვინ, თუ არა მიშა?", რადგან პოლიტიკურ სივრცეში არ ჩანს სააკაშვილის საპირწონე ფიგურა.

არადა, უალტერნატივო ლიდერის და პარტიის გზა ქართულ სინამდვილეში გადატრიალება-რევოლუციის გზაა. ეს გზა ჩვენ ორჯერ უკვე გავიარეთ და ახლა კვალს მესამედ ვადგავართ. ხელისუფლება, სამოქალაქო სექტორი, ხალხი - რომელი რგოლიდან წამოვა ის ენერგია, რომელიც სტაბილურ პოლიტიკურ სისტემას დაუდებს სათავეს? შესაძლოა, სამივედან, ერთ-ერთიდან ან არც ერთიდან.

თუმცა, რამდენიმე სრულფასოვანი ალტერნატივის არსებობა და ამის შემდეგ სამართლიანი არჩევნების ჩატარება არის ის წყალგამყოფი, რომელიც საქართველოს არა მხოლოდ შორეული ცივილიზებული სამყაროსგან, არამედ, მისი მსგავსი და მეგობარი უკრაინისგანაც აშორებს. რა მანძილია საქართველოდან უკრაინამდე, შეუმცდარად არავინ იცის.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.*

# ევროსაბჭო საქართველოს "აკვირდება"

*თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი და ევროკავშირთან ურთიერთობის კოორდინატორი ჟან ლუი ლორანი. გუშინ მან საქართველოს პარლამენტში შეხვედრები გამართა უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. საპატიო სტუმარს თან ახლავს ჩვენი ქვეყნის ელჩი ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილი. ქართველი დიპლომატი "24 საათთან" საუბარში ჟან ლუი ლორანის სტუმრობის მიზეზებს განმარტავს.*

გიორგი ასანიშვილი

**"საქართველო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იმყოფება. ამისგან დამოუკიდებლად, ევროსაბჭოს სამდივნო რეგულარულად, წელიწადში მინიმუმ ერთხელ ჩამოდის მიმდინარე რეფორმების შესაფასებლად. ევროსაბჭოსა და საქართველოს შორის არსებობს თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა და სამდივნო აკეთებს დასკვნებს იმის თაობაზე, აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულ საკითხებში რა პროგრესია მიღწეული და როგორ მიმდინარეობს ცალკეული პროექტების შესრულება. სამდივნოს აინტერესებს ინფორმაციების მიღება სხვადასხვა სფეროში მომხდარი ძვრების შესახებ და ჟან ლუი ლორანის ვიზიტიც, ძირითადად, ამ საქმეს ემსახურება",** - აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალურ დირექტორისა და ქართველი პარლამენტარების შეხვედრები დახურულ კარს მიღმა გაიმართა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის განცხადებით, სახელისუფლებო ფრაქციის წევრებმა ჟან ლუი ლორანს აუწყეს, რომ პარლამენტში თითქმის დასრულებულია კონვენციების რატიფიცირების პროცესი, პირველი ნაბიჯებია გადადგმული ე.წ "თურქი მესხების" რეპატრიაციის საკითხში, აგრეთვე გააცვნეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა.

**"ევროსაბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოხარულია, რომ საქართველო თანმიმდევრულად დგამს ნაბიჯებს აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში",** - "პატაკობს" მასმედიას კოტე გაბაშვილი.

თუმცა, ლორანთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციონერი დეპუტატები განსხვავებულ განწყობაზე იყვნენ. ისინი ირწმუნებიან, რომ უმრავლესობის წევრები ევროსაბჭოს წარმომადგენელს არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

**"სახელისუფლებო ფრაქციის წევრები საერთაშორისო ორგანიზაციებს ატყუებენ, თითქოს, მეხუთე საპყრობილეში მომხდარი ბუნტის შემდეგ ციხის ადმინისტრაციაში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. ლორანისთვის მოულოდნელი აღმოჩენა იყო, რომ თურმე, საპყრობილის ხელმძღვანელობაში არაფერი შეცვლილა",** - აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

თავად ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი კი თავის შეფასებებში საკმაოდ ფრთხილი და მოზომილია. **"საქართველოს საპარლამენტო სპექტრის სხვადასხვა ეშელონის წარმომადგენელთა შეხედულებები ინტერესით მოვისმინე. ოპოზიციას აღელვებს ციხეში მომხდარი მოვლენები და სამართალდამცავთა მხრიდან ძალის ჭარბად გამოყენება. ასევე ვისაუბრეთ ევროსაბჭოს მოთხოვნებზე, რომლებიც კანონის უზენაესობას, აგრეთვე ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას გულისხმობს. ამ მხრივ წინსვლა ნამდვილად შეინიშნება, თუმცა უფრო მეტი მუშაობაა საჭირო",** - აღნიშნავს ჟან ლუი ლორანი.

კოტე გაბაშვილი "24 საათთან" საუბრისას ადასტურებს, რომ საპატიო სტუმართან შეხვედრისას ზოგადი საუბარი იყო, აგრეთვე, დსთ-დან საქართველოს შესაძლო გამოსვლის საკითხზე. **"ეს თემა მუდმივი მუშაობის საგანია, მაგრამ თუ როდის გადაწყდება საბოლოოდ პრობლემა, დამოკიდებულია რამდენიმე ტაქტიკურ (და არა სტრატეგიულ) ფაქტორზე. დსთ-დან საქართველოს შესაძლო გამოსვლის დროც სწორედ ტაქტიკის საკითხია",** - აცხადებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რიგების დატოვების პერსპექტივას ოპოზიციაც მიესალმება. **"ერთადერთი გონივრული ნაბიჯი, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ შეიძლება გადადგას, დსთ-დან საქართველოს გამოყვანა იქნება. აქამდე ისინი დსთ-ში ყოფნას ეკონომიკური მიზანშეწონილობით ხსნიდნენ და ბაზრის მომიზეზებით ამართლებდნენ. ახლა ეს არგუმენტებიც აღარ არსებობს. ამიტომ, ამ უცნაურ ორგანიზაციაში ყოფნის ტვირთი უნდა მოვიცილოთ. თუ ხელისუფლებას მართლა სურს დსთ-დან გამოსვლის პროცედურების დაწყება, "მემარჯვენე ოპოზიცია" მონაწილეობას მიიღებს საკითხის განხილვაში",** - შენიშნავს ფიქრია ჩიხრაძე და იქვე განმარტავს, რომ "ეს არ იქნება ბოიკოტის მოხსნის პირობა".

ანალოგიურ განცხადებას აკეთებს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი, თუმცა იგი ეჭვობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უკვე მერამდენედ წამოწეული დსთ-დან გამოსვლის საკითხი პროპაგანდისტული ტრიუკია და მას ხორცშესხმა არ უწერია...

ჟან ლუი ლორენის თბილისში ვიზიტის პროგრამა მხოლოდ პარლამენტარებთან შეხვედრებით არ ამოიწურება. ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი მოლაპარაკებებს გამართავს აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

## ევროპის ქვეყნები შრომის ბაზარზე დაწესებულ შეზღუდვებს ხსნიან

ევროკავშირი დიდი ხანია ფიქრობს იმაზე, ღირს თუ არა შრომის ბაზრის გახსნა აღმოსავლეთიდან მომდინარე მუშახელისთვის. ჯერ კიდევ გასულ წელს ორგანიზაციის უმსხვილესმა და უმდიდრესმა ზოგმა სახელმწიფომ უარი თქვა, სრულებით გაეხსნა შრომის ბაზარი ახალი წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის. პიონერები ამ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და ირლანდია აღმოჩნდა. ახლა უკვე პორტუგალია, ესპანეთი და ფინეთი არიან მზად, მათ მაგალითს მიბაძონ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას ყველა დაეთანხმა გაერთიანებაში ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების გარდა. ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ორგანიზაციის ახალი წევრი ქვეყნების მოქალაქეებს ამიერიდან უკვე აღარ სჭირდებათ სპეციალურად სამუშაო უფლების მიღება. ევროკომისიის მოთხოვნის თანახმად კი, ზემოაღნიშნულმა ხუთმა ქვეყანამ, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილების მიღმა დარჩნენ, თავიანთი გადაწყვეტილების შეცვლა 2 წელიწადში უნდა მოახერხონ, 2011 წლისთვის კი ევროკავშირის არც ერთ წევრ ქვეყანას აღარ უნდა ჰქონდეს მუშაობის უფლების შეზღუდვა ახალი წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის.

ავსტრია და გერმანია სამუშაო ბაზარზე დაწესებულ შეზღუდვებს კი თავიანთი გეოგრაფიული არეალით ხსნიან. ამ სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებით, დიდ ბრიტანეთსა და პორტუგალიას ეროვნული სამუშაო ბაზრის უცხოელებისთვის გახსნაში ხელს გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც უწყობთ. რიგით ავსტრიელებს კი მიაჩნიათ, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სლოვაკეთს, ჯერ ეროვნული ეკონომიკა აქვთ გასავითარებელი, რათა დასავლეთ ევროპაში არსებულ ნორმებს უპასუხონ. ოფიციალური ვენა მხოლოდ მაშინ გახსნის სლოვაკეთის მოქალაქეებისთვის თავის შრომის ბაზარს, როდესაც ამ ორი ქვეყნის ეკონომიკებს შორის სხვაობა მინიმალურ ზღვრამდე იქნება დაყვანილი.

ევროკომისიისვე ინფორმაციით, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც თავიანთი ბაზრები გასული წლის 1 მაისიდან გახსნეს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მოქალაქეებისთვის, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა განიცადეს. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებიან დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და შვედეთი. ამ ქვეყნებში შემცირდა სამუშაო ძალის დეფიციტი და უმუშევრობის დონე.

საერთო ჯამში, იმ 15 ქვეყანაში, რომელთაგან 12-მა სამუშაო ბაზარი გახსნა 2004 წლის 1 მაისიდან, შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვმა 1 პროცენტით მოიმატა. აქედან გამონაკლისი მხოლოდ ირლანდიაა, სადაც ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 3.8 პროცენტით განისაზღვრა.

## ირანი გაერო-ს მიერ თეირანისთვის სანქციების დაწესებას არარეალურად მიიჩნევს

ირანი გაერო-ს მიერ თეირანისთვის სანქციების დაწესებას არარეალურად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ რუსეთი და ჩინეთი ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გაეროს მიერ თეირანისთვის სანქციების დაწესებას მხარს არ დაუჭერს.

ამის შესახებ განცხადება გუშინ ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩხერ მოტაკიმ გააკეთა. მისივე თქმით, ირანი ფლობს ინფორმაციას, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ორი წევრი სახელმწიფო ირანის წინააღმდეგ სანქციებისა და სამხედრო მოქმედებების დაწესების წინააღმდეგია.

"რუსეთი და ჩინეთი ოფიციალურად და დიპლომატიური მოლაპარაკებისას აცხადებდნენ, რომ არ დაუჭერდნენ მხარს როგორც სანქციების დაწესებას, ასევე სამხედრო ოპოერაციის დაწყებას", - განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა თეირანის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

"დასავლეთში ზოგიერთი შეცდომით მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოს მონაწილეობით ყველაფრის კეთება შეუძლიათ", - განაცხადა მან.

დღეს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყნისა და გერმანიის დიპლომატებმა პარიზში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს და ერთიანი პოზიციის შემუშავებას შეეცადნენ.

აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია მომხრენი არიან იმ შემთხვევაში მიიღონ თეირანის წინააღმდეგ მკაცრი რეზოლუცია, თუ ირანი უარს არ იტყვის ურანის გამდიდრებასა და თავისი ბირთვული პროგრამის შეჩერებაზე.

მოსკოვმა და პეკინმა არაერთხელ მოუწოდეს ირანს, ყური უგდონ საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდებას. თეირანის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსკოვი და პეკინი ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა და სამხედრო ოპერაციის დაწყების წინააღმდეგ გამოდიან.

თეირანი განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ ურანის გამდიდრება სამხედრო მიზნებისათვის არ სურს. **ინტერპრესნიუსი**

## ნატო-ს ექსპერტების დადებითი შეფასება

საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი ნატო-ს ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმების კიდევ უფრო სწრაფად და ეფექტურად გაგრძელებისთვის მეტ სტიმულს აძლევს.

ამის შესახებ, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" განაცხადა, სადაც "საქართველოს თავდაცვის კონფერენცია" მიმდინარეობს.

ოქრუაშვილის განცხადებით, სტრატეგიული მიმოხილვა პრაქტიკულად დამთავრებულია. თავად ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გამო. ერთი მხრივ აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, საქართველომ იცის თუ რა სახის შეირაღებული ძალები ჰყავს და როგორი ეყოლება უახლოესი 10 წლის განმავლობაში. მეორე მხრივ კი აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში განსაზღვრულია, თუ როგორ მოხდება ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების განეიტრალება. შეიარაღებული ძალების მშენებლობის დაგეგმარება სწორედ ამ საფრთხეების გათვალისწინებით მოხდება, განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

### ორი სიტყვით

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა და საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინმა გუშინ, მოსკოვში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის ინფორმაციით, მხარეები კონფლიქტის მოსაგვარებლად, მოლაპარაკებათა არსებული ფორმატისა და მექანიზმების აქტიურ გამოყენებაზე შეთანხმდნენ.

მხარეებმა გაერო-ს სამხედრო დამკვირებელთა მისიასა და საქართველოში დსთ-ს სამშვიდობო ძალებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა, კონფლიქტის ზონაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკვანძო ელემენტად მიიჩნიეს. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების გენშტაბის ხელმძღვანელების შეხვედრაში, რომელიც 9-12 მაისს, ბრიუსელში გაიმართება.

შეხვედრაზე განიხილება ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტები, ასევე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ახალ გეგმებში რიგი ქვეყნების მონაწილეობა.

ლევან ნიკოლეიშვილის განცხადებით, ბოლო დროს ქართველი სამხედროები ნატო-ს სწავლებებში ნაკლებად მონაწილეობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გარკვეულ საერთაშორისო სტანდარტებს მიაღწიეს. გენშტაბის უფროსის თქმით, ასეთი წარმატება ქართულ მხარეს საშუალებას აძლევს, რომ მონაწილეობა უკვე სამეთაურო-საშტაბო სწავლებებში მიიღონ. **ინტერპრესნიუსი**

# რა ღირს შვილმკვდარი დედის დუმილი?

*"გაერთიანებული ქართული ბანკის" თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან სამ თვეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, მკვლელობის გახსნის და რეალური მკვლელების დასჯის მოთხოვნით, თბილისში არც საპროტესტო აქციები შეწყვეტილა და კედლებიდან არც დანაშაულში ეჭვმიტანილთა პლაკატები გამქრალა. გირგვლიანის ოჯახი და საზოგადოება, მკვლელების დაჭერას მოითხოვს. ხელისუფლება კი, როგორც გარდაცვლილის დედა აცხადებს, რამდენიმეთვიან დუმილს მუქარით არღვევს.*



*გირგვლიანის ოჯახს მუქარის არ ეშინია.*

თამარ კაციტაძე

დაახლოებით ორკვირიანი ინტერვალის შემდეგ, გირგვლიანის მკვლელების დასჯის მოწოდებით დაწყებული აქცია კვლავ გაგრძელდა. აქციის ორგანიზატორები გუშინ შარდენის ქუჩაზე, სწორედ იმ ბართან გამოჩდნენ, სადაც ინციდენტი დაიწყო. **"მკვლელებს ნუ შეუშვებთ თქვენს ბარებში,"** - ასე მოუწოდებს კედლებზე გაკრული პლაკატები ბარის მეპატრონეებს. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იარკლი კაკაბძე კი კვლავ გვპირდება: **"ვიდრე ყველა იმ მაღალჩინოსანი პოლიციელის დაკითხვა და დასჯა არ მოხდება, რომელთა სახელებიც გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით ფიგურირებს, საპროტესტო აქციებს არ შევწყვეტთ".**

ტრადიციისამებრ, აქციამ, რომელიც მანქანების საყვირების და სასტვენების ფონზე მიმდინარეობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან გადაინაცვლა და სამინისტროს გისოსების სისხლისფრად შეღებვის შემდეგ დასრულდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც თბილისის ქუჩებში გირგვლიანის მკვლელების დასჯის მოწოდებები გაისმოდა, არასამათავრობო ორგანიაზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" - ოფისში სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე გარდაცვლილის დედა ირინე ენუქიძე დუმილისთვის შეთავაზებულ თანხაზე საუბრობდა.

სანდრო გირგვლიანის დედას, როგორც თავად განაცხადა "გაჩერების" სანაცვლოდ, ოჯახის ახლობლის შუამავლობით, "ნებისმიერი თანხა" შესთავაზეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას ძალით გაჩუმებით დაემუქრნენ.

გარდაცვლილის ბაბუის გურამ ენუქიძის თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოჯახს შეუთვალეს: ასი ათასს იტყვით, ასს მოგცემთ, ორასი ათასს იტყვით, ორასს მიიღებთო.

**"შემომთავაზეს ნებისმიერი თანხა გაჩუმებისა და ოპოზიციასთან თანამშრომლობის შეწყვეტისათვის, მაგრამ ძლიერ შეცდნენ. ვერავითარი მუქარა ვერ გამაჩერებს. მე ვითხოვ უმოკლეს ვადაში საქმის გამოძიებას,"** - აცხადებს სანდრო გირგვლიანის დედა.

როგორც გუშინ გაირკვა, აღნიშნული შეთავაზება გირგვლიანის ოჯახმა, დაახლოებით, ორი კვირის წინ მიიღო, თუმცა ამ ხნის განამვლობაში ისინი ფიქრობდნენ, გაეხმაურებინათ თუ არა აღნიშნული ინფორმაცია. ამის მიზეზი კი გახლავთ ის პიროვნება, ვისი მეშვეობითაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა გირგვლიანის ოჯახთან გარიგება გადაწყვიტეს.

**"შუამავლის ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან იგი ოჯახის ახლობელია. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ამ ინფორმაციის გახმოვანების შესახებ მას წინასწარ შევუთანხმდით,"** - განაცხადა ირინე ენუქიძემ და კიდევ ერთხელ მოუწოდა ხელისუფლებას საქმის უმოკლეს ვადებში გამოძიება.

**"სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გაუხსნელობის შემთხვევაში, საზოგადოების პროტესტი გაიზრდება, რათა ასეთი უბედურება ხვალ სხვა დედებსაც არ დაატყდეთ თავს,"** - ამბობს შვილმკვდარი დედა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის ანა დოლიძის განცხადებით, ასეთი წინადადება მოსალოდნელი იყო იმ ჯგუფისგან, ვინც გირგვლიანის მკვლელობის საქმის შეჩერებით არის დაინტერესებული. დოლიძე მიიჩნევს, რომ, დუმილის სანაცვლოდ, თანხის შეთავაზებას აზრი არ აქვს.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კი "სითავხედეს" უწოდებს იმ ფაქტს, რომ მოკლული სანდრო გირგვლიანის დედას, გაჩუმების სანაცვლოდ, ფულს სთავაზობენ

**"ძალიან საინტერესოა, რომელმა ჭკუათმყოფელმა შესთავაზა შვილმკვდარ დედას ფული გაჩუმების სანაცვლოდ, რაც წარმოუდგენელი ფაქტია და ამის გამკეთებელი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. საინტერესოა, ვის ეყო თავხედობა და ეს აზრი მოუვიდა. აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, დაიდოს ყველა მასალა და დამნაშავეები დაისაჯონ",** - განაცხადა ბურჯანაძემ.

გირგვლიანის ოჯახის ახლობლების განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა თბილისის პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი, რომელმაც შეკრებილ ჟურნალისტებს, ფაქტობრივად, გამოძიების ანგარიში ჩააბარა.

თბილისის პროკურორის თქმით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ჩატარებულია საკმაოდ შრომატევადი სამუშაო: დაკითხულია 50-ზე მეტი პირი, არაერთხელ არის დათვალიერებული შემთხვევის ადგილი სანდრო გირგვლიანის მეგობრებისა და ახლობლების თანდასწრებით, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო ექსპერიმენტი.

გიორგი ღვინიაშვილმა კიდევ ერთხელ ჩამოთვალა გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ბრალდებული პირები: შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი გერონტი ალანია და ამავე სამმართველოს სამი თანამშრომელი: ალექსანდრე ლაჭავა, ავთანდილ აფციაური, მალხაზ ბიბილურიძე და დასძინა: **"დაპატიმრებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით; მათივე აღიარებით, შესწავლილია მათი გადაადგილების მარშრუტიც. ისინი ამოცნობილნი არიან დაზარალებული ლევან ბუხაიძის მიერ".**

მისივე თქმით, დაკითხულია "შარდენ ბარის" მომსახურე პერსონალი: მიმტანები, ადმინისტრაცია, დაცვის თანამშრომლები, ასევე, ინციდენტის დროს ბარში სტუმრად მყოფი ადამიანები.

**"დღეს საქმეში არსებული მასალებით, ეს კონფლიქტი წარმოიშვა გია ალანიასთან შელაპარაკების ნიადაგზე და საქმეში მკვლელობის არანაირი დამკვეთი არ იკვეთება. თუკი, ჩვენ მოვიპოვებთ მტკიცებულებებს ნებისმიერ თანამდებობის პირზე, გპირდებით, რომ არავის დავინდობთ,"** - ასეთი განცხადება გააკეთა თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა, რომელიც აცხადებს, რომ ინტენსიური გამოძიება გრძელდება და პროკურატურა მზად არის, დაიკითხოს ყველა ის მოწმე, ვისაც შეხება აქვს გირგვლიანის საქმესთან.

გიორგი ღვინიაშვილმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ გარდაცვლილის დედა ირინე ენუქიძე აუცილებლად დაიკითხება გაჩუმების სანაცვლოდ შეთავაზევული თანხის გამო.

**"მინდა დაგარწმუნოთ ყველა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება აუცილებლად დაკითხავს ქალბატონ ირინა ენუქიძეს და თუკი ის დაგვისახელებს კონკრეტულ პირს, ვინც უნდა იყოს იგი, ჩვენ მის ქმედებას აუცილებლად მივცემთ სამართლებრივ შეფასებას და ვიქნებით მკაცრები,"** - განაცხადა თბილისის პროკურორმა.

გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე გიორგი ღვინიაშვილს კომენტარის გაკეთება მოუწია გირგვლიანის ოჯახის ადვოკატის და მისი უწყების დამოკიდებულებაზეც.

**"აღნიშნული საქმის ადვოკატს არავინ უკრძალავს შენობაში შემოსვლას. შუამდგლომლობით კი მან მოითხოვა გარკვეული პირების დაკითხვაში მონაწილეობის მიღება, არადა ის პირები იმ დროისათვის უკვე არაერთხელ იყვნენ დაკითხულნი. ჩვენთან საქართველოში დღეს შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს და სასამართლო პროცესზე ყველას ექნება საშუალება, რომ ნებისმიერ პირს ნებისმიერი კითხვა დაუსვას,"** - განაცხადა ღვინიაშვილმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ საქმის გამოძიება უახლოეს მომავალში დასრულდება და იგი სასამართლოში გადაიგზავნება.

# ადგილზე ლიკვიდაციით დასრულებული დევნის ოპერაცია

ინგა ალავიძე

*გუშინ დილით შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა. შედეგი - კვლავ ადგილზე ლიკვიდაცია. ძალოვანთა მიერ რამდენიმე დღის წინათ დაწყებული დევნა თბილისის ცენტრში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე მსხვერპლით დასრულდა - მოკლულია ორი ახალგაზრდა, ხოლო ერთი მძიმედაა დაჭრილი*



*სპეცოპერაციის შედეგი - ორი მოკლული და ერთი დაჭრილი.*

თვითმხილველთა თქმით, დიდი სისწრაფით მოძრავი "BMW-ს მარკის მანქანის მძღოლმა, საჭე ვერ დაიმორჩილა და განათების ბოძს შეასკდა. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ავარიის შემდეგ, მანქანის მდევარმა, დაახლოებით ათამდე ნიღბიანმა კამუფლიაჟიანმა სპეცრაზმელმა, ავტომანქანის მიმართულებით ცეცხლი გახსნა და ავტომატის ჯერით ჩაცხრილა მანქანაში მსხდომები.

სპეცოპერაციასთან დაკავშირებით მოგვიანებით გამართულ ბრიფინგზე შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ქადაგიძემ განაცხადა, რომ მათ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია დედაქალაქში მოქმედი კარგად ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის საქმიანობის შესახებ. ქადაგიძის ინფორმაციით, კრიმინალთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა სამი თვის წინათ რუსთავის N2 კოლონიიდან გათავისუფლებული ალექსანდრე ხუბულოვი. იგი კოლონიის "მაყურებლის", ე.წ. კანონიერი ქურდის ავთანდილ ქურასბედიანის, მეტსახელად "წრიპას" მეგობარი და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი იყო.

ირაკლი ქადაგიძის ინფორმაციით, ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეყაჩაღებინა ერთ-ერთი ოჯახი და ისინი ამ განზრახვის შესასრულებლად მიდიოდნენ. პოლიციამ მათი დაკავება თავდასხმამდე გადაწყვიტა, მაგრამ ყაჩაღური ჯგუფის წევრებმა პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მათ დევნას ახორციელებდნენ, შეამჩნიეს და ცეცხლი გაუხსნეს.

ირაკლი ქადაგიძის ინფორმაციით, პოლიციელთა საპასუხო სროლის შედეგად ადგილზე მოკლეს ამ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები საშა ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი; დაიჭრა ამ ჯგუფის წევრი ბუბა ბუთურიძე. კრიმინალთა გასროლის შედეგად მსუბუქი დაზიანება მიიღო კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა. დაზიანებულია კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის ავტომანქანა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ავტომანქანიდან ამოიღეს ეჭვმიტანილთა კუთვნილი ოთხი ცეცხლსასროლი იარაღი - ორი "მაკაროვის", "ჩეზესა" და "ვალტერის" სისტემის იარაღები. ასევე, ამოღებულია ორი რაცია, დასაძინებელი საინექციო საშუალება, სკოჩი და ნიღბები.

ოპერაციის შედეგად დაღუპულთა ცხედრები გუშინვე პროზექტურაში გადაასვენეს. სპეცოპერაციის დროს დაჭრილ დათო ბუთურიძეს კი პირველ კლინიკურ საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

მომხდარს არასამთავრობო სექტორისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კრიტიკულ შეფასებას აძლევენ და აცხადებენ, რომ გახშირდა სპეცოპერაციები, რომლებიც ადგილზე ლიკვიდაციით სრულდება. გუშინდელ სპეცოპერაციას უარყოფითი შეფასება მისცა საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც. მრავალი კითხვა გაუჩნდა ადამიანის უფლებების დამცველ დეპუტატს ელენე თევდორაძეს. ხელისუფლებისა და შსს-ს წარმომადგენლები კი, ადგილზე ლიკვიდაციით დასრულებულ ოპერაციას "უკიდურეს ღონისძიებად" მიიჩნევენ.

საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ ქართველ პოლიციელებს იარაღის გამოყენების უფლებას მართლაც აძლევს. თუმცა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. პოლიციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილში პირდაპირ წერია, რომ **"პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი".**

ამავე კანონში დეტალურადაა განმარტებული, თუ რა არის უკიდურესი ღონისძიება, ანუ რა შემთხვევაში აქვთ პოლიციელებს იარაღის გამოყენების უფლება. ეს საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია, თუმცა იქვე მკაცრად მითითებულია, რომ იარაღის გამოყენებამდე - "გამიზნულ სროლამდე" - პოლიციელმა ჯერ სიტყვიერი გაფრთხილება უნდა გასცეს, შემდეგ ჰაერში გაისროლოს და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინოს "გამიზნული გასროლა".

თუმცა, პოლიციის შესახებ კანონი იმ შემთხვევებსაც განმარტავს, მიუხედავად უკიდურესი აუცილებლობისა, თუ რა დროს არ აქვს პოლიციას იარაღის გამოყენების უფლება. პოლიციის კანონის მე-14 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში გარკვევით წერია: **"აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც შესაძლოა პირის დაშავება; ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას პოლიციის თანამშრომელი მოვალეა, ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად."**

**"ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სრულდება სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, პიროვნების დამნაშავედ აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი,"** - წერია ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციაში.

**"ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით,"** - ეს კი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტია.

წლების წინ თბილისში, ერთხელ უკვე იყო დამკვიდრებული დანაშაულში ეჭვმიტანილთა თუ ბრალდებულთა ლიკვიდაცია. მოგვიანებით თბილისის მაშინდელი პროკურორის მიხეილ ქურდაძის პრინციპულობის შედეგად, რაც პოლიციის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა, ეს წესი დავიწყებას მიეცა...

## გაუმართლებელი ლიკვიდაცია

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გუშინ მომხდარ სისხლიან სპეცოპერაციას გაუმართლებელს უწოდებს. **"ჩემთვის გაუგებარია ასეთ ხალხმრავალ ადგილას ასეთი დონის სპეცოპერაციის ჩატარება; მით უმეტეს, როცა სამართალდამცველები აცხადებენ, რომ მათ ჰქონდათ საკმაოდ დიდი ინფორმაცია დამნაშავეების გადაადგილების თაობაზე და დევნის ოპერაციაც რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს. ასეთი სპეცოპერაცია ასეთ ადგილას სრულიად გაუმართლებელია. ბოლოს და ბოლოს, რა გამოდის, ლიკვიდაცია თვითმიზანია"?** - აცხადებს ომბუდსმენი.

ხალხმრავალ ადგილას ჩატარებულ სპეცოპერაციას გაუმართლებელს უწოდებს პარლამენტის ადამიანიის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. **" ოპერაცია ისე უნდა დაეგეგმათ, რომ ეჭვმიტანილები აეყვანათ. საზოგადოებას არ უნდა გაუჩნდეს კითხვები, სამართალდამცავები სწორედ მოიქცნენ თუ არა",** - აცხადებს დეპუტატი.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე შსს-ს ვერსიას სპეცოპერაციასთან დაკავშირებით აბსოლუტურად დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რომ **"შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ასეთი მასშტაბის ძალის გამოყენება სრულიად გაუმართლებელია".**

## საპარლამენტო უმრავლესობას დასკვნისა და კომენტარის გაკეთება უჭირს

**"სასურველია, რომ სპეცოპერაცია ხალხმრავალ ადგილებში არ ჩატარდეს. თუმცა, ვინაიდან ჩემთვის დეტალები უცნობია, საბოლოო დასკვნის გამოტანა მიჭირს"**, - ასეთია პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარი სანაპიროზე გუშინ ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ. ნინო ბურჯანაძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელს ლევან ბეჟაშვილს სპეცოპერაციის დეტალებში გარკვევა დაავალა.

კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები გუშინ არანაირ კომენტარს არ აკეთებდნენ.

კოტე გაბაშვილის განცხადებით, იგი არც სოდ-ის და არც კუდ-ის წარმომადგენელი არ არის, ამიტომაც სპეცოპერაციებზე იგი კომენტარს ვერ გააკეთებს.

# თევდორაძე გენპროკურორს დამნაშავეების დასჯას მოსთხოვს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ სპეცრაზმის მიერ სვანეთში ნაცემი რევაზ ცალანი მოინახულა.

"მოხდა უსინდისობა. დარწმუნებული ვარ, რომ რასაც დაზარალებული მხარე ჰყვება, სრული სიმართლეა. იმის გარკვევას ვცდილობ, 8 თვის განმავლობაში რატომ არ მოხდა არანაირი რეაგირება სამართალდამცველების მხრიდან," - აცხადებს თევდორაძე.

როგორც ცნობილია, რევაზ ცალანს ცხრა თვის წინ თბილისიდან მესტიაში ჩასულმა პოლიციის თანამშრომლებმა პოლიციის ადგილობრივ სამმართველოში სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც ის დაინვალიდდა და უკურნებელი სენით დაავადდა. აღნიშნული ინციდენტი სვანეთში უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის დღეებში მოხდა. რევაზ ცალანის ოჯახის წევრების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასახელებენ ცემის ფაქტში მონაწილეებს, ისინი პასუხისგებაში არ მიუციათ.

ელენე თევდორაძის განმარტებით, მას უკვე ჰქონდა საუბარი პროკურატურასთან და არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ამ ინციდენტში მონაწილე პოლიციელები კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლები იყვნენ. თუმცა, თევდორაძის თქმით, ის სამი პოლიციელი, რომლებიც მომხდარში მონაწილეობდნენ, თბილისიდან იყვნენ გაგზავნილები.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე დღეს გენერალურ პროკურორს შეხვდება და სვანეთში სპეცრაზმის მიერ ჩატარებული ოპერაციის შესახებ ისაუბრებს, რომლის დროსაც, რევაზ ცალიანს სასტიკად სცემეს. თევდორაძე, როგორც თავად აცხადებს, გენერალურ პროკურორს ინციდენტის მონაწილე დამნაშავეების დასჯას მოსთხოვს.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გენერალურ პროკურორს ქუთაისში ჩატარებული ერთ-ერთი სპეცოპერაციის თაობაზეც გაესაუბრება. თევდორაძის თქმით, ამ სპეცოპერაციის შედეგად დაცხრილულ ეჭვმიტანილს 53 ტყვია აქვს მოხვედრილი.

*24 საათი*

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**...................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**...................

**საკონტაქტო ტელეფონი**...................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს [illegible]

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. [illegible] 77 [illegible] "გაპის" [illegible]

"24 საათის" [illegible] 77 [illegible] "გაპი".

# A′y o p′

აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com



# ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და საქართველო

გიორგი სანიკიძე
ისტორიის მეცნ. დოქტორი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი

უკანასკნელ ხანებში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული რთული სიტუაციის გამო უკიდურესად გაიზარდა ინტერესი ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ირანი განთავისუფლდა როგორც ზესახელმწიფოს მეზობლობისაგან, ისე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური კონკურენციისაგან. ამასთანავე, მას მრავალი ახალი მეზობელი გაუჩნდა, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები. საქართველოს არ აქვს უშუალო საზღვარი ირანთან, მაგრამ ისტორიულად და გეოპოლიტიკურად ჩვენი ქვეყანა შეიძლება ირანის მეზობლად ჩაითვალოს.

მიუხედავად მჭიდრო ლინგვისტური იდენტიფიკაციისა თურქეთთან, აზერბაიჯანელებს ძლიერი კულტურული და რელიგიური კავშირები აქვთ ირანთან. აზერბაიჯანი ერთადერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობა (დაახლ. 70%) შიიტია. მაგრამ თეირანისათვის შეშფოთების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ირედენტისტული განწყობების არსებობა აზერბაიჯანში ირანის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიის უმეტესი ნაწილის მიმართ.

ირანელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი თანამოქალაქე აზერბაიჯანელები (20 მლნ-ზე მეტი) არიან და საუკუნეთა მანძილზე იყვნენ ირანის მოსახლეობის განუყოფელი ნაწილი. ხაზი გაესმევა აზერბაიჯანელთა სრულ ინტეგრაციას ირანულ საზოგადოებაში და მათ დიდ წვლილს თანამედროვე ირანის კულტურაში. ამ წარმოდგენის თანახმად, ირანის კავკასიური ტერიტორიები (მათ შორის ის მიწებიც, რომლებზეც შემდეგ შეიქმნა "ჩრდილოეთ აზერბაიჯანი"), ძალით იქნა მოცილებული ირანისაგან რუსების მიერ XIX საუკუნის დასაწყისში. ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად კი ჩრდილოეთ აზერბაიჯანი უნდა შეუერთდეს თავის ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ სამშობლოს - ირანს.

ჩრდილოაზერბაიჯანული ნაციონალისტური ინტერპრეტაცია ძირეულად განსხვავდება ირანულისაგან. ამ ინტერპრეტაციის მთავარი დოგმატია ის, რომ აზერბაიჯანელები ეთნიკური თურქები არიან. გაერთიანებამ უნდა მიიღოს სამხრეთ აზერბაიჯანის განთავისუფლების ფორმა, ის უნდა შეუერთდეს ჩრდილოეთს და უნდა შეიქმნას ერთიანი აზერბაიჯანული ეთნიკური სახელმწიფო. ამასთან ერთად, ბაქო ყოველთვის ხაზს უსვამს აზერბაიჯანელი ხალხის ერთიანობას. აზერბაიჯანის ოფიციალური კულტურული დაწესებულებები ირანის აზერბაიჯანს ყოველთვის წარმოადგენენ აზერბაიჯანის განუყოფელ ნაწილად. მაგ., აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმებში აზერბაიჯანის რუკებში შეტანილია სამხრეთ აზერბაიჯანიც.

ირანის, როგორც ისლამური სახელმწიფოს, პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიიტური ისლამის პოზიციების გაძლიერებაზე ზრუნვას. მაგრამ ირანის რელიგიური პოლიტიკა აზერბაიჯანში ზოგიერთი სერიოზული წინაღობის წინაშე აღმოჩნდა, რომლებიც აზერბაიჯანული საზოგადოების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანული საზოგადოების სეკულარიზაცია უკვე XIX ს.-ს I ნახევარში, რუსეთთან შეერთების შემდეგ დაიწყო. მოგვიანებით საბჭოთა მმართველობამ ძლიერი დარტყმა მიაყენა რელიგიას. დღესაც, მიუხედავად რელიგიური აღორძინების საერთო ტენდენციისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ისლამი განსაკუთრებულ როლს ასრულებს აზერბაიჯანელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ირან-აზერბაიჯანს შორის უთანხმოების მთავარ წყაროდ კვლავაც რჩება მთიანი ყარაბაღის საკითხი, რომელშიც ირანს საკმაოდ ფრთხილი პოზიცია უკავია. არ არის გამორიცხული, რომ ირანი საკუთარი ინტერესებისათვის მიუღებლად მიიჩნევს ძლიერი და მიმზიდველი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩამოყალიბებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იდენტობის გრძნობის გაღვივება მის საკუთარ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში და ამიტომაც არჩია ნეიტრალიტეტის დაცვა აღნიშნულ კონფლიქტში. საერთო მუსლიმურ ფორუმებზეც კი თეირანი თავს იკავებს სომხეთის პირდაპირი კრიტიკისაგან. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მცირე, მაგრამ ისტორიულად პოპულარული სომხური დიასპორის არსებობამ ირანში, სომხეთის მიერ განხორციელებულმა პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ, რუსეთ-ირანის მჭიდრო ურთიერთობებმა განაპირობა ირანის პრაგმატული დამოკიდებულება ყარაბაღის პრობლემისადმი.

ირანისათვის ერთ-ერთ ყველაზე არასასიამოვნო ფაქტორს წარმოადგენს "დიდი სატანის" - აშშ-ის პოზიციების გამყარება რეგიონში, უპირველესად საქართველოსა და აზერბაიჯანში. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული, ანტიამერიკანიზმი გახდა ირანის ახალი რეჟიმის მამოძრავებელი ძალა. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ირანის ბირთვული პროგრამა დასავლეთის მიერ აღიქმება საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები ნატო-ს ძალების მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გამოყენების შესახებ ირანთან საომარი კონფლიქტის შემთხვევაში. მრავალი ირანელი ანალიტიკოსი სამხრეთ კავკასიას ირანისაკენ ნატო-ს კარიბჭედ აღიქვამს.

დღევანდელი რეალობებიდან გამომდინარე, გადაჭარბებულად გვეჩვენება საქართველოსა თუ აზერბაიჯანის ტერიტორიის ნატო-ს სამხედრო ბაზებად გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ და მისი მოკავშირეები ყოველმხრივ ცდილობენ რეგიონში ირანისათვის ეკონომიკური თუ პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში ხელის შეშლას.

რამდენადაც დასავლეთის ქვეყნები დამოკიდებული არიან სპარსეთის ყურის ნავთობზე, სწორედ მათ ინტერესებში შედის ნავთობის მიწოდების ალტერნატიული გზების ძიება და ამ თვალსაზრისით კავკასიის რეგიონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ირანმა მარცხი განიცადა ნავთობსადენების მარშრუტებისათვის ბრძოლაში. იმ დროს, როდესაც თეირანი ხაზს უსვამდა ნავთობსადენის ირანის ტერიტორიაზე გაყვანის ეკონომიკურ მომგებიანობას, ვაშინგტონმა კავკასიური მარშრუტი აირჩია - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, თუმცა ამ ვითარებაშიც ირანი ინარჩუნებს საკმაოდ ფრთხილ პოზიციას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ირანის დამოკიდებულება 1994 წელს დადებულ აზერბაიჯანის სანავთობო კონტრაქტის მიმართ, როდესაც თეირანს არ განუცხადებია ოფიციალური პროტესტი კონტრაქტზე ხელმოწერის წინააღმდეგ, ამ დროს კი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკმაოდ ხისტი განცხადება გააკეთა.

იმავდროულად თეირანს არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ მარშრუტები ირანის ტერიტორიის გავლით სპარსეთის ყურისაკენ ყველაზე მოკლე და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანია. გარდა ამისა, სპარსეთის ყურის გზით შეიძლება ნავთობის ტრასპორტირება აზიაში, სადაც მოთხოვნილება ნავთობზე განუხრელად იზრდება. მაგრამ ნებისმიერი დიდი ინვესტიცია ირანის ნავთობის სექტორში პრობლემატურია შეერთებული შტატების ეკონომიკური სანქციების გამო.

ამერიკულ-ირანული კონფრონტაციიდან ყველაზე დიდ სარგებელს რუსეთი იღებს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს რუსეთის ყოფილმა ელჩმა ირანში ორი ქვეყანას შორის ურთიერთობებს "სტრატეგიული ურთიერთობები" უწოდა. რუსეთი ირანთან კავშირს აღიქვამს, როგორც ნატო-ს აღმოსავლეთით და სამხრეთით გაფართოების, კავკასიის რეგიონში კასპიის ზღვის ენერგომატარებლების დასავლეთის მიერ კონტროლის, თურქეთის სამხრეთ კავკასიაში გააქტიურების გაწონასწორების საშუალებას. ირანი რუსეთთან მიმართებაში ასევე პრაგმატულ პოლიტიკას ატარებს. მაგალითისათვის, თეირანი თავს იკავებს რუსეთის კრიტიკისაგან ჩეჩნეთში მუსლიმთა წინააღმდეგ წარმართული ომის გამო. მოსკოვის საპატრიარქოს და ირანის მთავრობის ერთობლივი დეკლარაციაც კი არსებობს, რომლითაც იგმობა ჩეჩნური ტერორიზმი.

მიუხედავად დეკლარირებული "სტრატეგიული თანამშრომლობისა", რუსეთ-ირანის ურთიერთობებში არაა გამორიცხული ბზარის გაჩენა. მაშინ, როდესაც რუსეთი საკუთარ თავს აღიქვამს ისლამური ფუნდამენტალიზმის შეკავების ერთ-ერთ მთავარ ძალად, მრავალი ირანელისათვის რუსეთი კვლავაც გარკვეულწილად იმპერიული ძალაა, რომელსაც სურს საკუთარი ბატონობის დამყარება ცენტრალური აზიისა და კავკასიის ახალ სახელმწიფოებში, სადაც ირანს ისტორიულად უზარმაზარი გავლენა ჰქონდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დასავლეთისაგან განსხვავებული პოზიციისა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, საბოლოო ჯამში, რუსეთისათვისაც მიუღებელია ატომური იარაღის მფლობელი სახელმწიფოს არსებობა მის სამხრეთ საზღვრებთან.

რაც შეეხება საქართველო-ირანის ურთიერთობებს, ეს შეიძლება დახასიათდეს, როგორც კეთილმეზობლური, მაგრამ არამჭიდრო (თანამშრომლობის ყველაზე მკაფიო და სასიკეთო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ირანული გაზის მოწოდების მოკლევადიანი კონტრაქტი გასულ ზამთრის ენერგოკრიზისის პერიოდში, რაც რეკორდულად მოკლე ხანებში განხორციელდა).

ისტორიულად საქართველოს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ირანთან. აქ ალბათ ზედმეტია ლაპარაკი ირანის უზარმაზარ კულტურულ და ასევე პოლიტიკურ გავლენაზე. საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ირანული გავლენა ქვეყანაზე, ბუნებრივია, შემცირდა, თუმცა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისში არსებობდა ძლიერი ირანული თემი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ურთიერთობა ირანთან პრაქტიკულად შეწყდა და აღდგა მხოლოდ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პირველი ოფიციალური ხელშეკრულება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გაფორმდა ირანთან, თუმცა შემდგომ საქართველოს გამოკვეთილი პროდასავლური პოლიტიკის პირობებში ურთიერთობების გაღრმავება პრაქტიკულად არ განხორციელებულა.

საქართველოს დასავლური ორიენტაცია და გართულებული ურთიერთობები რუსეთთან, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელისშემშლელი ფაქტორია. საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის ვიზიტი ირანში გასულ წელს უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ორ ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, ისტორიული, მნიშვნელობა შეიძინა პრეზიდენტის შეხვედრამ ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებთან. ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირანის ხელისუფლება ლოიალობას არ იჩენს არასპარსული ენების მიმართ და სპარსული ენა ირანელთა ერთადერთ ენად მიიჩნევა სასკოლო სახელმძღვანელოებში, ოფიციალური თეირანიდან ამ აქტს არანაირი პროტესტი არ მოჰყოლია.

ამ ვიზიტის შემდეგ, ქართულ პრესაში გაჩნდა პოლიტიკურად არაკორექტული და ფერეიდანის ქართული მოსახლეობისათვის საზიანო მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ საქართველო ქმნის "მეხუთე კოლონას" ირანში თავის მოკავშირის, შეერთებული შტატებისათვის ფერეიდნელი ქართველების სახით. ასევე გაიჟღერა აზრმა, რომ საქართველო, როგორც შეერთებული შტატებისა და ნატო-ს მოკავშირე, შეიძლება იქცეს ჰიპოთეტური ირანული ბირთვული იარაღის სამიზნედ. რა თქმა უნდა, დღევანდელ ვითარებაში მსგავსი რეალობის შესახებ ლაპარაკი არასწორია. მეტიც, არ არის გამორიცხული, ირანთან ისტორიული ურთიერთობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენმა ქვეყანამ მომავალში მედიატორის როლიც იკისროს ირანსა და დასავლეთს შორის. მსგავსი პერსპექტივა და საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვაში აქტიური მონაწილეობა, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის ინტერესებში შედის და უთუოდ აამაღლებს საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟს.

მიუხედავად პოზიციებისა და პოლიტიკური ორიენტაციის არათანმთხვევისა, ხაზგასმულად უნდა ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში არ არსებობს კონფრონტაციის ელემენტი. მაგალითისათვის, ირანს არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (თუმცა, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან მიმართებაში, ყარაბაღის კონფლიქტისაგან განსხვავებით, ირანს არ გამოუმჟღავნებია სამედიატორო ფუნქციის შესრულების სურვილი).

საბოლოოდ, ირანის პოლიტიკა საქართველოსადმი შემდეგი ასპექტებით შეიძლება დახასიათდეს: 1. ირანს, როგორც ტერიტორიულად დაკმაყოფილებულ სახელმწიფოს, არ აქვს პრეტენზიები მეზობლების, მათ შორის, საქართველოს მიმართ და აღიარებს ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას; 2. საქართველოს მაგალითზე ირანი გამოდის აშშ-ისა და ნატო-ს პოზიციების გაძლიერების წინააღმდეგ რეგიონში და მხარს უჭერს რუსეთის ინტერესებს; 3. ნავთობსადენის ბაქო-ჯეიჰანი-თბილისი მშენებლობა არ შეესატყვისება ირანის ეკონომიკურ ინტერესებს და ამცირებს მისი, როგორც კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ტერიტორიის მნიშვნელობას; 4. ირანი დაინტერესებულია საქართველოს სატრანზიტო გზებით შავი ზღვისა და ევროპისაკენ; 5. ირანი ყურადღებას აქცევს საქართველოს მუსლიმურ მოსახლეობას. როგორც აზერბაიჯანში, საქართველოშიც ამ თვალსაზრისით მას უხდება კონკურენცია თურქეთთან. ეს პირველ რიგში ეხება საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას.

# დიდი ფეხბურთის პატარა ეპიზოდი

კახა დევდარიანი
სპორტკომპლექს "ქარიშხალას" დირექტორი, "ფუტსალის" ასოციაციის პრეზიდენტი

ეს იყო რაღაც არაკომუნისტური მშვენიერება. ბათუმიდან გადიოდა "ტარას შევჩენკო". თქვეს: ბულგარეთში მიდისო. ანთებული ფერადი სინათლეებით, საყვირის ხმაზე გუგუნით ნელა, ღამის წიავში ადიოდა ცისკენ და უჩვენოდ ტოვებდა მიწას, რომელიც მყარად ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა საქართველოს, სადაც რვაასი წლის შემდეგ თვით შოთა რუსთაველიც გემი გახდა. სწრაფად იშლებოდა ქართველთა კულტურული არგონავტიკა დიადი საბჭოეთის მთელ სივრცეზე. წარმატებით იპყრობს ამ სივრცეს ანსამბლი "ორერა", რომელსაც "მზიურიც" სრული სვლით დაედევნა უკან. გამოიგონეს ჩაის საკრეფი მანქანა "საქართველო"; ცეკვავდნენ სუხიშვილები, მღეროდა "რუსთავი" და იქ გალობდა ჰამლეტ გონაშვილი; გვაყავდა სახელოვანი თბილისის "დინამო". მალე 1981 წლის 13 მაისიც დადგება. სულ ინგლისშია გასტროლებზე რუსთაველის თეატრი; წელიწადში ორ-სამ შედევრს ქმნის კინოსტუდია "ქართული ფილმი".

მთელი თბილისის ბიჭები ფეხბურთს კიროვის ბაღში ვთამაშობთ. აქ ხშირად დათო ყიფიანიც ჯადოქრობს. ასი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეეწირება ეს თაობაც. იწერებოდა უამრავი მეცნიერული ნაშრომი; სისტემატურად იბეჭდებოდა საშუალო დონის მხატვრული ლიტერატურა, სადმე შემოქმედებით საღამოზე მაინც გაიგებდა კაცი ღირებულ რამეს - თუ წიგნის კითხვა ისე არ უყვარდა, "მოამბეში" მაინც მოუსმენდა პოეტის ლექსს, ხშირად ნეკროლოგთან ერთად. თითქოს ერთი კაცის განდიდებისთვის მუშაობდა მთელი ქვეყანა, ის ორდენოსანი კაცი კი ბოროტებითაც ვერ დაიკვეხნიდა.

ძნელი იყო მაშინ დიდი ფეხბურთის თამაში. მთელი ქვეყანა ბურთს აგორებდა. იყო: უმაღლესი, პირველი, მეორე ლიგა, რომელიც თავის მხრივ დაყოფილი იყო ზონებად. ყველა ქარხანას თუ კოლმეურნეობას თავისი გუნდი ჰყავდა, მილიონობით მოზარდი თამაშობდა ქალაქის ქუჩებში თუ სოფლის მინდვრებში. იქმნებოდა რაიონული ნაკრებები, გამარჯვებულები მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის, შემდეგ რესპუბლიკის, ბოლოს კი საკავშირო გათამაშებებში.

შენს ბედზე პიროვნულად არავინ აგებდა პასუხს. შეიძლება ეთქვათ - გამხდარი ხარო და გათავდა. შენც კარგად იცოდი, გამხდარი რომ იყავი, მეტი ძალა კი სოფლელ ბიჭებს ჰქონდათ ... მწვანე მთებშია ჩაფლული ჩვენი სოფელი. ჩინური კედები მაცვია, ცხელა. თიხიან აღმართს მივუყვებით. ადრე, ზემოთ, წმინდა გიორგის ეკლესი იდგა. იქ, მაღლა, ცაცხვის ხეების უკან ბიბინებს მწვანე მინდორი - მოლს რომ ეძახიან ზემო იმერეთში. მთელი თრიალეთის ქედია ირგვლივ ტრიბუნასავით გარს შემოვლებული. ალვის ხეზე თუ აძვრები, შავი ზღვის ლურჯი კიდეც იმზირება აქედან კარგ ამინდში. ძალიან მინდა, მარაკანაზე ვითამაშო... ხის დაბრეცილი ეკლესიის ძელებია მიწაში ჩარჭობილი. მე გარაჟებიან მოგრძო ეზოში გაზრდილი ფეხბურთელი ვარ, საკმაოდ ცნობილი იმ ეზოს კვალობაზე. თუ ოთხამდე იყო თამაში, იმ ოთხიდან ორი-სამი მე გამიტანია ხშირად. სხვა ეზოებიდანაც მიმიღია მოწვევა, თხოვნაც - მათი ეზოს სახელით მეასპარეზა საერთაშორისო არენაზე... ეხლა შენ, როგორ გინდა, ფეხშიშველა სოფლელ ბიჭებს სირბილში გაასწრო? ცოტა ჭკუა უნდა იხმარო, მოკლეზე თამაში არ გამოვა, ვერც პასს ვერ ეთამაშები ვერავის, კაი სამოცი ნაბიჯია სიგრძით მინდორი. თუ ბურთი დაგორდა ქვევით, მშვიდობით, ოცი წუთი უნდა ამოტანას. ძნელია სამმეტრიან სიმინდის ყანაში ბურთის მოძებნა. ვინც გადააგდებს, ის მიდის მოსაძებნად. სულ მეშინია, გველს არ დავადგა ფეხი... მივიღე ბურთი, დაველოდე, ახლის მოსვლაც ვაცალე, მერე გავიგდე მარჯვნივ და ადგილზე გავქვავდი - ნამდვილი ტყავის სუნი ასდის, ლოგინშიც მეწვა ეს ბურთი. საიდანაც მორბის, საწინააღმდეგოდ ვიწევი, მერე ბურთიანად ისევ აქეთ გადმოვდივარ. მთავარია, მე შევთავაზო მეტოქეს ჩემთვის სასურველი თამაშის რიტმი. ცერი თუ მომარტყა, დამთავრებულია ყველაფერი. ვგრძნობ, სადღაც საჯარიმოსკენ მივედი, ოდნავ სწრაფად შეიძლება წასვლა წინ, კიდევ მომატებაც შემიძლია, ბოლოს პატარა აფეთქება იქნება საჭირო. მწიფდება გოლი, ბურთის გვერდზე გაგდება და კარისკენ ათლა ერთი უნდა იყოს, ამათ "კრუჩნოის" დარტყმაც არ იციან, ეტყობა...

ტელევიზორში ვხედავ, პელეს მიაწოდეს ბურთი. მიღება მახსოვს პელესაგან ამ ბურთის. პანტერასავით გაიგდო გეტრიან ფეხზე, ჩამოიღო და პირდაპირ, შეუფერხებლად დაიძრა კარისკენ ერთ მთლიან მელოდიად გადაქცეული. შორიდან მოფრინავს ბურთი ბზრიალით, ხმელი ფოთოლი ჰქვია მაგას ბრაზილიურად. ხედავს პელე - საჩოთირო, მკვახე გასაჩერებელია. ერთიც ვნახოთ, ელოდება გაშეშებული ბუცის წვერით და ბურთის სიმძიმის ცენტრს ეხება, ოდნავ წაჰკრავს თავისკენ და იჭერს ჩიტუნას... სიჩუმეა, თითქოს კარგი კაცის გასვენებაში მოსულა კარგი ხალხი...

ბებიაჩემს დავყავარ ფორტეპიანოზე. გამიგია კომპოზიტორი ფრანც შუბერტი და ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი, კომპოზიტორი იოჰან სებასტიან ბახი და ფეხბურთელი იოჰან კრუიფი... თამაშია, ღია ფანჯრებიდან გვიყურებენ მეზობლები. იმ პენსიონერმა კაცმა პურის დანით ბურთი დაგვიჭრა. საშინელი ამბავი იყო, გიჩივლებთო, გვიყვიროდა. ბოთლების შეგროვებას ვიწყებთ ქუჩაში, ახალი ბურთი უნდა ვიყიდოთ. ვიღაცამ ხურდებით შეგროვილი შვიდი მანეთი მოგვპარა. ის გოგო მეორე სართულზე ცხოვრობს, თუ მიყურებს, წუთში ორი გოლი გამაქვს. მგონი, მიყვარს, მგონი, დედამისიც მიყვარს. დედას ჰგავს, მამა უშნო კაცია, საიდან გამოუვიდა იმ უშნო კაცს ქერათმიანი მზეთუნახავი? უკვე ის დრო იყო, როცა პასუხს ადრე ჩადენილი ცოდვის გამო არავინ აგებდა; ბელადის გინება საშიში აღარ იყო, კეთილი კაციაო, ამასაც ამბობდნენ და საქართველოც უყვარს თავისებურადო. ოჯახები იყო, სადაც ერთ ბაბუას მეორე ბაბუა ჰყავდა დახვრეტილი, თუ პირადად არა, შინაგანი თანხმობით მაინც. ბურთი ვინც დაგვიჭრა, იმასაც ასეთი ცივი, ცრუ მოხუცის გაწყალებული თვალები ჰქონდა...

ასფალტს აგებენ ჩვენს ქუჩაზე. დღევანდელივით ვხედავ ამ კადრს შავ-თეთრად. ერთი მუშა ისვენებდა ჩრდილში, რაღაცას სვამდა. ვუყურებ, "კატოკი" ასწორებს იმის ნიჩბით გადმოყრილ ცხელ ასფალტს. კატა მიუცუცქდა, ასფალტზე გაცილებით შავი. ბოთლი მოიშორა, სწრაფად დაიხარა, სტაცა ხელი მობუზულ ცინდალს და მოახლოებული "კატოკის" ქვეშ შეაგდო საწყალი ...მეგონა, მე შემაგდეს მიწის ქვეშ, სამუდამოდ ბნელში. ვნახე ბუნებრივი ბოროტება პრიმიტივისტის შესრულებით, ოდნავი ღიმილის თანხლებით, რომელიც ბევრს ზედ ტუჩზე დასთამაშებს. სიცილი სხვაა. ხარხარიც მინახავს დიდი ჩხუბის, ცემა-ტყეპის მერე. ჯანსაღი კაცები სხვანაირად იცინიან. კარგი ფეხბურთელებიც გულიანად იცინიან, კარგი ქალებიც გულით იცინიან...

ფეხბურთზე მინდა ოფიციალურად სიარული. ყველა ბიჭი დადის ან აპირებს ფეხბურთზე სიარულს ვოვა ელოშვილთან. ისიც უარს არავის ეუბნება და ხათრით ცოტა ხნით კარში მაინც აყენებს. მსოფლიო ჩემპიონები ვართ ჰოკეიში, ჩვენ რა - რუსები. მაშინ "ბატენის საროჩკები" იყო მოდაში, პირსახოცის წინდები - ოდესის "ტალკუჩკაზე" ან ლვოვში იყიდებოდა. რუსთაველზე ციგნები ყიდდნენ "პედროს", "ლეზვიას", ცირკთან კი - რეზინზე გამობმული პრიალა, ფერად ბურთებს და საწუწნ მამალოს. მოდაში იყო დასაკეცი "ლისიჩკა" დანა. ეს იყო ზომიერად საშიში, თითქმის ყველასთვის მისაღები ცივი იარაღი ბლაგვი პირით. სადმე რესტორანში თუ მოხდებოდა სერიოზული უსიამოვნება, იარაღიც ერთ-ორ კაცს თუ უსროლია მაშინ კაცისთვის დამიზნებით...

ბავშვები ადრე ვიძინებდით. ვუყურებდით დიაფილმებს, ხელით ვატრიალებდით ლენტს. მეზობელთან კედელზე გავუშვით "ზოლუშკა", რუსულ ტექსტს დედამისი გვიკითხავდა ფარდებით ჩაბნელებულ ოთახში. აკუმულატორის ტყვიის ფირფიტებისგან ნიკეს მსგავსი რაღაც ჩამოვასხი. როდის იქნება საქართველო თავისუფალი? როდის ითამაშებს საქართველოს ნაკრები დამოუკიდებლად მსოფლიო ჩემპიონატზე? ალბათ ჩემს გვარსაც გამოაცხადებენ მარაკანაზე. კალათბურთის ბურთი მემძიმება და ფრჩხილებს მამტვრევს. სკოლაში კიდევ სულ კალათბურთს გვათამაშებენ. ხელბურთი მომწონს, წყალბურთელები კარგად ჩხუბობენ... კიროვის ბაღის გარდა ჩვენს საფეხბურთო ოცნებას მალე სპორტკომპლექსი "იმედიც" (დღევანდელი "ქარიშხალა") აუბამს მხარს. ის ტრიალ მინდორში ამოიმართება გემივით. ღამით სინათლეებს ანთებენ. ლამაზია. გვიანობამდე ვთამაშობთ ფეხბურთს. თუ დენი არ გამოგვირთეს, ხუთი წუთი გვინდა კიდევ, ბოლო ბურთი გასატანია... მერე უბნების ჩემპიონატიც დაიწყება, ყველა აქ მოვა, ვისაც დიდმა ფეხბურთმა გვერდი აუარა ან შემთხვევით დროებით ჩამოაშორა. და აქედან ისევ იქ მიწევს დაბრუნება - ეს თითქოს ის ბაქანია, რომელზეც ყველა მატარებელმა უნდა ჩაიაროს თავისი ბედითა თუ უბედობით, თავისი ომით, გმირობით, სიკვდილით, ღალატით... უხაროდა ბიჭს, ის ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, ის მოცურავე უნდა გამხდარიყო, ის - მოკრივე, ის - მორაგბე... მიყვარს მეგობრებთან ერთად იმ ძველი ამბების გახსენება. ნეტავ, როდის ჩამოდგება ნამდვილი სიმშვიდის გემი ჩვენს ნაპირებზე?



# აფიშა

## 3 მაისი

### თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
ანტონ ჩეხოვი
"დათვი"
რეჟისორი დავით ზურაბაშვილი
დასაწყისი: 19.00

**სამეფო უბნის თეატრი**
იუკიო მისიმა
"ჩემი მეგობარი ჰიტლერი"
რეჟისორი დავით მღებრიშვილი
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ახმეტელი"**
"ტრისტანი და იზოლდა"
დასაწყისი: 14.00; 20.30
"ძალიან საშიში კინო 4"
დასაწყისი: 17.00
"16 კვარტალი"
დასაწყისი: 17.00; 22.00
ბილეთის ფასი: 4-5 ლარი

**"ამირანი"**
"დანიშნულების პუნქტი 3"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 20.00
"ორმაგი თამაში"
დასაწყისი: 17.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"ტრისტანი და იზოლდა"
დასაწყისი: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00

### გალერეა

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრები

**"ვერნისაჟი"**
მანანა ძოძუაშვილი
ფერწერა და გრაფიკა

**"კოპალა"**
ქეთი მღებრიშვილის პერსონალური გამოფენა
ფოტონამუშევრები

**"ორიენტი"**
თანამედროვე ტიხრული მინანქარი

# თურქეთი ბრიტანეთის მუზეუმს ედავება

თურქეთის მთავრობამ ბრიტანეთის მუზეუმიდან დეკორაციული სტელა მოითხოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც თურქმა დიპლომატმა შეამჩნია სტელა იაპონიაში გამართულ გამოფენაზე - "ალექსანდრე დიდი: კულტურათა კონტაქტები საბერძნეთიდან იაპონიამდე", - ნახა.

ბაზალტური სტელა, რომელიც თარიღდება ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნით და ასახავს ჰერაკლესა და მზის ღმერთს და ბერძნული ასოებითაა ამოტვიფრული მეორე მხარეზე, გათხრების დროს ლეონარდ ვულის ექსპედიციის მიერ თურქეთ-სირიის საზღვართან 1917-1920 წლებში აღმოაჩინეს. ის ბრიტანეთის მუზეუმმა 1927 წელს გამოისყიდა. ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორი გაკვირვებულია თურქეთის მხარის ამ მოთხოვნით, რომელიც გაკეთდა სტელას აღმოჩენიდან დაახლოებით 80 წლის შემდეგ. მან თქვა, რომ ვულის ექსპედიცია მოქმედებდა თურქეთის მთავრობის ნებართვით და არანაირი დოკუმენტაცია არ არსებობს იმის შესახებ, რომ სტელა გატანილია თურქეთიდან არალეგალურად. "ასე რომ თურქეთის მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია",- აცხადებს დირექტორი.

CRDF
U.S. CIVILIAN RESEARCH & DEVELOPMENT FOUNDATION
სსგფ GRDF

**საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) და აშშ სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდი (CRDF) აცხადებენ ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო პროგრამას.**

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს კომპანიებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და მიღებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური შედეგების შემდგომი კომერციალიზაციის (დანერგვის) გზით საინოვაციო სექტორის განვითარებას.

საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტები უნდა ითვალისწინებდნენ როგორც სამეცნიერო კვლევებს, ასევე ბაზრის წინასწარ შეფასებას, მომხმარებლის მოთხოვნის ანალიზსა და ბიზნესის განვითარების კომპონენტებს.

პროექტის ხანგრძლივობაა 12 თვე, ხოლო გრანტის ოდენობა შეადგენს არა უმეტეს 5,000 აშშ დოლარს. უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებშიც კომპანიების ფინანსური მონაწილეობის წილი იქნება საგრანტო თანხის მინიმუმ 10%. თანხა მთლიანად უნდა იყოს გამოყენებული მეცნიერთა გუნდის ხარჯებისთვის.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია მოთავსებულია სსგფ-ს ვებ-გვერდზე: www.grdf.ge

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:
საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)
**მისამართი: ქ. თბილისი, 0168, მინდელის ქ. N7, მე-3 სართული.**
**ტელეფონი: 31 67 48 ფაქსი: 31-41-89**
**ელ.ფოსტა: alexander@grdf.ge**
**საკონტაქტო პირი: ალექსანდრე ასლანიშვილი**

# აუცილებლად ეწვიეთ მუზეუმს

თეონა ჯაფარიძე

ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ერთმანეთში ირევა ფერთა სიჭრელე, ორნამენტი, უამრავი დამთვალიერებელი და ნაფტალინის სუნი. ეს უფრო სიძველის სუნია, რომელსაც ღრმა წარსულში მივყავართ და რომელიც თან ამოჰყვა მუზეუმის ფონდებში წლების მანძილზე გამოკეტილ უნიკალურ კოლექციას. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ცდილობს თავის ფონდებში დაცული უცნობი კოლექციები საზოგადოებისათვის ნაცნობი გახადოს. ამჯერად ის ხალიჩა-ფარდაგებს უნიკალური კოლექციის გრანდიოზულ გამფენაზე გვეპატიჟება, რადგან კიდევ უფრო მეტი შევიტყოთ დღეს ასე მოდური ფენომენის - ხალიჩის შესახებ. ძველი ხალიჩები და ფარდაგები ხომ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია. ქსოვილის ფერებში, ორნამენტებსა და შესრულების ტექნიკაში მათი შემქმნელი ეთნოსის უძველესი კულტურული ტრადიცია, ცხოვრების წესი სამეწარმეო ჩვევა, და სამყაროსადმი დამოკიდებულება ჩანს.



იური მეჩითოვის ფოტო

გია ყანჩელი, გურამ მელივა და ბიძინა კვერნაძე.

გამოფენაზე წაროდგენილი კოლექციის ეს ნაწილი, ეთნოგრაფიული ფონდის არსებობის მანძილზე არ გამოფენილა. აქ ერთ საგამოფენო სივრცეში თავმოყრილია თურქმენული, ავღანური, ირანული, აზერბაიჯანული, სომხური, დაღესტნური და ქართული ქსოვილები.

საგამოფენო დარბაზში სენსორული ეკრანები გვამცნობენ, რომ ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგია შორეულ წარსულში, ნეოლითში იღებს სათავეს. ეკრანზე თითის ერთი დაჭერით საჭირო ინფორმაციას ვიღებთ ქსოვის ტექნოლოგიაზე, ცალკეულ დეტალებზე, ტერმინოლოგიაზე თუ წარმოდგენილი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ორნამენტთა ფორმასა და ფერებზე. მაგალითად, ვიგებთ, რომ **გიოლი** - ეს ორნამენტის სახელწოდებაა, რომელიც თურქმენულ და ავღანურ ხალიჩებზე გვხვდება და ის ვარდის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. **შადა** ფარდაგია, ის უფრო აზერბაიჯანში მზადდებოდა და მასზე აქლემების ქარავანსაც გამოსახავდნენ. **ქილიმი** კი ფარდაგია. და ა. შ..

პროფესიონალებს კი სენსორული ეკრანებიდან ინფორმაცია არ სჭირდებათ. ისინი თვალის ერთი შევლებითაც მშვენივრად ერკვევიან ხალიჩა ირანულია თუ ავღანური, ქართულებიდან თუშური ფერები და ორნამენტებია გამოყენებული თუ მთიულური, ერთი შეხედვით ცნობენ კვანძების რაოდენობას თუ ხაოს სიმაღლეს. ასეთი დამთვალიერებელი კი დარბაზში საკმაოდ მრავლადაა. გამოფენის **კურატორი, ხელოვნებათმცოდნე ანანო მელივა** მათ მილოცვებს იღებს. ექსპოზიციაზე მუშაობა მუზეუმის თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად რამდენიმე თვეს გრძელდებოდა.

დახვეწილი ხელოვნება არ მოითხოვს აღმატებულ ფორმებს, ამიტომაც გამოფენის გახსნაზე ოფიციალური სიტყვები არ წარმოუთქვამთ არც ეროვნული მუზეუმის დირექტორს, არც გამოფენაზე მოწვეულ კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, არც პროექტის სპონსორს - საქართველოს ბანკის წარმომადგენელსა და არც უცხოურ საელჩოთა წარმომადგენლებს.

ყველაზე მეტი დამთვალიერებელი უძველესი აზერბაიჯანული შადას წინ ირეოდა. ის მე-18 საუკუნის ბოლოთი თარიღდება. მუზეუმის პირველი ხალიჩა კი 1866 წელს მუზეუმის დირექტორს - გუსტავ რადეს შეუძენია.

ექსპოზიცია მთელი ზაფხულის მანძილზე იქნება წარმოდგენილი ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. იმედია, გამოფენას ბევრი ტურისტი, აღმოსავლური და კავკასიური კულტურით დაინტერესებული ადამიანი ნახავს. გირჩევთ, აუცილებლად ეწვიოთ მუზეუმს.

# ქართული ოპერა - შესრულებული მისია

## ვარიაციები თემაზე "გველისმჭამელი"

სოფო კილასონია

ზუსტად აღარ მახსოვს, ოპერისა და ბალეტის თეატრში ხელმძღვანელობა როდის შეიცვალა, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ პირველი დღიდან მათგან ქართულ რეპერტუარს ითხოვდნენ. განსაკუთრებით საოპერო ხელოვნების მიმართულებით. აქ კიდევ იყო პრობლემები - სადადგმო ფინანსების უქონლობა. ცნობილია, რომ ბალეტს არა აქვს მსგავსი სიძნელეები. საბალეტო დასი თავად საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით განსაკუთრებული სუბსიდიის წყალობით პრივილეგირებულია. შესაბამისად, მისი მენეჯმენტიც მარტივია და არც არანაირი ფინანსური პრობლემები არ ექმნება. ამაზე მისი პრემიერების რაოდენობაც მეტყველებს. სულ სხვაგვარადაა საქმე ოპერის მხრივ... თუმცა, ნებისმიერი პრივილეგია დროის საკითხია და სულ მალე ყველა თეატრი საოპერო დასის მდგომარეობაში აღმოჩნდება - დამოუკიდებლად მოუწევს საკუთარი მენეჯმენტის აწყობა. სადადგმო თანხებსაც სახელმწიფოსგან კი არ მიიღებს, არამედ კერძო დონორებისგან, თუ, რა თქმა უნდა, მათთან ურთიერთობის აწყობას მოახერხებს.

წარმატებით თუ წარუმატებლად, ოპერის თეატრი ასეთ ახლებურ და შეუჩვეველ გარემოში მუშაობს და პრემიერებსაც მართავს. მომატებული ხელფასები და თეატრის სახელმწიფო პრიორიტეტად აღიარება ავალდებულებს მას, ერთი მხრივ, ყველანაირი ხერხით გაამდიდროს რეპერტუარი, დააკმაყოფილოს ე.წ. დაკვეთა და, მეორე მხრივ, ნაწილობრივ მაინც განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა და პრიორიტეტი.

რამდენად გამოსდით, სხვა საქმეა, მაგრამ, როგორც ვხვდები, თეატრის ახალი სპექტაკლი - ოთარ თაქთაქიშვილის "მინდია" ყველა ამ მიმართულებას მეტ-ნაკლებად პასუხობს. პირველი ის, რომ ახალი წარმოდგენა დროულია... მეორე ის, რომ ქართულ ოპერას ითხოვდა მისი ერთგული მაყურებელი. და კიდევ: ქართული ოპერა ხომ მაინც უნდა გადიოდეს თბილისში, თორემ რუსული საბალეტო წარმოდგენებით დაიღალა ჩვენი თვალები. ჰოდა, არჩევანი შეაჩერეს თაქთაქიშვილზე. თუმცა, დიდი არჩევანი ალბათ არც ყოფილა.

ვხვდები, რომ თეატრის ფინანსურ მხარეებზე ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კითხვაზე, რატომ ეცვათ ძველი კოსტიუმები, უფულობის ბრალიაო, - მიპასუხეს. მოკლედ, სხვა ყველაფერი ახალი იყო. მუსიკალური შესრულება, რეჟისურა და სცენოგრაფია. უნდა აღინიშნოს, რომ ორკესტრი და გუნდი შესანიშნავად წარდგა და მათი მორიგი წარმატებული პრემიერა, როგორც წესი და რიგია, ზოგადად დირიჟორის, ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად ზაზა აზმაიფარაშვილის წარმატებად უნდა აღვიქვათ.

რეჟისურა, რომელიც გეორგ რუტერინგს ეკუთვნის, როგორც ვამბობთ ხოლმე, მინიმალისტურია. უფრო კონკრეტულები რომ ვიყოთ, მთავარი ჩანაფიქრი გარკვეული სტატიკური სცენის შექმნაა, სადაც წარმოდგენა ისე მიმდინარეობს, როგორც კინოსურათი და სულ რაღაც ორ განზომილებაში, კინო-თეატრის ეკრანის მსგავს უზარმაზარ სარკმელში და მის წინ, ავანსცენის ზოლზე ვითარდება. რეჟისურა კარნახობს სცენოგრაფიას და რეჟისურაა თავად სცენოგრაფია. ასე რომ, თუ ამ "ეკრანის" ჭრელა-ჭრულა განათებას და იმ ნაჭერს არ განვიხილავთ, რომელსაც აქეთ-იქიდან ხან ვინ ექაჩება და ხანაც ვინ, სხვა სათქმელი არაფერია.

ეს არ არის ნოვაცია ზოგადად საოპერო თეატრისთვის და არც დიდად გამაოგნებელი ქართულისთვის. "მორიდებული" დადგმაა, რომელიც, მეჩვენება, რომ დაუსრულებელს ჰგავს, რაღაც უთქმელია, "ნაცრისფერია" და ბევრად მეტის გაბედვა შეიძლებოდა. მით უფრო მაშინ, როცა პროგრამაში "მულტი-მედია" ჩაიწერა და ამ მიმართულებასთან ახლობლობის მიზნით ერთი სცენა, ყველაზე მომხიბვლელი და ნაცნობი ამ ოპერიდან (მინდიას არია, მეორე მოქმედება), ილუზორული სივრცის, განათებით შექმნილ ტყის გარემოში მიმდინარეობს და გარკვეულ ეფექტს მაინც ახდენს, გმირის "მარტოობა" კი მუსიკისა და ტექსტის ადეკვატურია.

რაც შეეხება თავად ოპერას, რომლის ლიბრეტო რევაზ თაბუკაშვილს ეკუთვნის და რომლის ტექსტიც ხანდახან ღიმილის მომგვრელია... ეს არის ნაწარმოები, რომელიც ქართულ საოპერო მუსიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ხოლო მუსიკისმცოდნეები ამბობენ, რომ საეტაპოა. თაქთაქიშვილისადმი, როგორც კომპოზიტორისადმი დამოკიდებულება მრავალგვარია. ერთნი მას სოცრეალისტური მუსიკის ავტორად მიიჩნევენ, მეორენი კი ქართული, თანაც მეტად ღირებული ოპერის ერთ-ერთ საუკეთესო ავტორად, რომლის მუსიკალურ ტექსტებში ხან შოსტაკოვიჩის ასოციაციები ჩნდება და ხანაც ვაგნერის ინტონაციები. ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში "მინდია", რომელიც ვარიაციებია ვაჟა-ფშაველას "გველისმჭამელის" თემაზე და არა მხოლოდ ამ ნაწარმოების თემაზე, ქართული მუსიკისა და ხელოვნების ისტორიაა, თუნდაც სოცრეალისტური საფუძვლებით. სწორედ იმ სოცრეალისტურით, რომელსაც ვერსად გადავმალავთ, რადგან ჩვენი წარსულია და რომელმაც ბევრი მომაბეზრებელი იდეოლოგიური შაბლონის გარდა, ცოტა, მაგრამ ალბათ რაღაც მაინც დატოვა საინტერესო, რამაც დღევანდელობაშიც შეიტანა გარკვეული წვლილი.

რაც შეეხება შემსრულებლებს... სპექტაკლი, რომელიც ვიხილე, ბოლო საპრემიერო წარმოდგენა გახლდათ და მყარ შემადგენლობას რამდენიმე ახალბედა შეერთებია. იმ დღეს თეატრში პირველ სპექტაკლზე საუბრობდნენ, კონკრეტულად კი ელდარ გეწაძის მიერ ჩალხიას პარტიის შთამბეჭდავ შესრულებაზე. მე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ თემურ გუგუშვილი და მის მიერ შესრულებული მინდია მაგონდება. შემსრულებელი, რომელიც არათუ უბრალოდ ფორმაშია, არამედ ეს ბოლო ორი სეზონი განსაკუთრებულად გვხიბლავს თავისი ოსტატობით. სწორედ ასეთ შემთხვევებში მაგონდება ხოლმე ერთი მეგობრის საყვარელი ფრაზა: "ძველი სკოლა სულ სხვაა!" ოღონდ მაგონდება რუსულად.

# ლიტერატურული TOP 15

## "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" სამი საუკეთესო მწერალი გამოავლინა

ია ვეკუა

საუკეთესო 15 მოთხრობის ერთწლიანი მარათონი დასრულდა და "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" საკუთარი "ცხელი 15-ეული" გამოაქვეყნა. ტრადიციულად, კრებულში "15 საუკეთესო ქართული მოთხრობა" თითქმის ყველა თაობისა და ჟანრულ-ენობრივი გაქანების ქართველი მწერლის მოთხრობა მოხვდა, თუმცა სამი მათგანი განსაკუთრებით დაფასდა - უკვე მეორე წელია კრებულის გამოსვლას სამი პრიზიორის გამოვლენაც ახლავს.

წლევანდელმა ცერემონიალმა აღდგომის დღესასწაულის გამო ერთი კვირით დაიგვიანა. როგორც წესი, მსგავსი ღონისძიებები, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს - 23 აპრილს იმართება. თუმცა დაგვიანებულმა დღესასწაულმა თავისი მისია მაინც შეასრულა და ქართული წიგნის ბაზარს კიდევ ერთი კრებული შესძინა.

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემია წელს გენდერული და ასაკობრივი თანასწორობის პრინციპით განაწილდა. მესამე ადგილზე გავიდა ქართული მწერლობის სუსტი სქესის ძლიერი წარმომადგენელი ანა კორძაია-სამადაშვილი მოთხრობით "ისტორიული მეხსიერება". "ეს ჩემი გმირი ერთობ ნაკითხი ქალი იყო", - ასე იწყებს თხრობას კორძაია-სამადაშვილი და ამ ნაკითხი ქალის "სიყვარულის ამბების დასაწყისსა" და "სიყვარულის ამბების დასასრულს" ტიპური ქალური ტექსტებით აგრძელებს. საერთოდ, "ქალურად წერა" კორძაია-სამადაშვილის სტილია, რასაც გამომცემლებიც უფასებენ და მკითხველიც.




მეორე ადგილი ბოლო დროის აღმოჩენას, წლევანდელი "პენ-მარათონისა" და "ცხელი 15-ეულის" ყველაზე მცირეწლოვან წარმომადგენელს 16 წლის ნიკუშა ანთაძეს ხვდა წილად. ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა და თემებიც შესაბამისი აქვს. მისი მოთხრობა "რამდენიმე ერთი გაკვეთილი" თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებას აღწერს. მართალია, ანთაძე ვერ ახერხებს ლაშა ბუღაძის "ბოლო ზარის" მსგავსი ტექსტების შეთხზვას, მაგრამ ვინაიდან თავადაც ამ თაობის წარმომადგენელია, წერს ზუსტად ისე, როგორც ტიპური თბილისელი მოსწავლეები ცხოვრობენ, ერთობიან, უყვართ და ჩხუბობენ. ამ კრებულში მოხვედრა ნიკუშა ანთაძისთვის კიდევ ერთი კარგი ტრამპლინია, თუმცა მას უკვე აქვს გამოცემული საკმაოდ საინტერესო მოთხრობების კრებული "ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები", რომელიც მხოლოდ ავტორის თანასკოლელებში არ სარგებლობს პოპულარობით.

წლის საუკეთესო მოთხრობის ავტორად კოტე ჯანდიერი დაასახელეს. მისი მოთხრობა "გლობალიზაცია" გემრიელი კახური კილოთია დაწერილი და ამავე კუთხის დამახასიათებელ იუმორს და ცხოვრებისეულ დეტალებს აერთიანებს.

კრებულში "15 საუკეთესო ქართული მოთხრობა" ასევე შევიდა პაატა ბერიკაშვილის, თეონა დოლენჯაშვილის, ირმა მალაციძის, აკა მორჩილაძის, მარიანა ნანობაშვილის, ზაალ სამადაშვილის, ირმა ტაველიძის, დავით ქართველიშვილის, ეკა ღაღანიძის, ნუგზარ შატაიძის, გელა ჩქვანავასა და ბესო ხვედელიძის მოთხრობები. მათგან ოთხი: მორჩილაძე, ქართველიშვილი, შატაიძე და ხვედელიძე, შეიძლება ითქვას, ამ კრებულისა და, შესაბამისად "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ნებიერები არიან, რადგან მათი გვარი კრებულის ოთხივე გამოცემის ყდაზეა დაფიქსირებული.

"15 საუკეთესო ქართულ მოთხრობას" "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" უკვე ოთხი წელია გამოსცემს. იმისთვის, რომ მოთხრობა კრებულში მოხვდეს, რამდენიმე მარტივი პირობა უნდა დააკმაყოფილოს: პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს ლიტერატურული ღირებულება, იყოს საინტერესო ენითა და ფორმით შეთხზული და, რაც მთავარია, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" რედაქტორების გემოვნება უნდა დააკმაყოფილოს. თუმცა, როგორც გამომცემლობის დირექტორი თინათინ მამულაშვილი ამბობს, წლის განმავლობაში იმდენი ლიტერატურული მასალა ქვეყნდება, რომ 15 მოთხრობის შერჩევა არც ისე ძნელია. მისი თქმით, საკმაოდ იშვიათად გამოერევა ახალი სახელები და არჩევანის გაკეთება ერთსა და იმავე მწერლებს შორის უწევთ.

ტელეკრიტიკა

# რუპერტ მერდოკი ქართულ მედია სივრცეში

პირველი გვერდიდან

### რა შეიძლება გვაშინებდეს?

რასაკვირველია, პირველი შთაბეჭდილება, წინასწარი ვარაუდი, რაც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდა, ის გახლავთ, რომ არა კონკრეტულად მერდოკს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებს აწყობს საქართველოს ტერიტორიაზე მედიასივრცის კონტროლი და აწყობს სამომავლო გეგმების განსახორციელებლად. მაშინ, როდესაც ის ირანს დაარტყამს, ჩვენი ტერიტორიით და ქვეყნით დაინტერესება კი, სწორედ ამ მიზნით არის განსაზღვრული, მას ნამდვილად არ აწყენს ამ ტერიტორიაზე მედიასაშუალებების ფლობა. არ აწყენს და ხელს შეუწყობს უფრო აქტიური აგიტაცია პროპაგანდისათვის, რომელიც მსოფლიოს და მათ შორის ჩვენც დაგვარწმუნებს, რომ კეთილი ამერიკა არ დაიშურებს საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლეს და გაათავისუფლებს ირანელ ხალხს. რასაკვირველია, ეს სავარაუდო საშიშროების მოლოდინი მერდოკის შემოსვლასთან დაკავშირებით სრულიად ლოგიკურია. მითუმეტეს, რომ ცნობილია ქართული ხელისუფლების ბრმა და მონური ნდობისა და ერთგულების პოლიტიკა ამერიკასთან დაკავშირებით. ამის დასტურად ჩვენ ცოცხალი ადამიანის ქუჩაც კი დავაარსეთ, ერაყში საზეიმო განწყობით ვისტუმრებთ ქართველ ჯარისკაცებს საომრად და სხვა მრავალი დეტალები, რომლის ჩამოთვლაც ჩვენ შორს წაგვიყვანს.

კიდევ უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუპერტ მერდოკი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან, ის ბუშის პოლიტიკის აქტიური და ღია მხარდამჭერია. მის მფლობელობაში არსებულ მედიასაშუალებებში, როგორც ბეჭდურ, ასევე სატელევიზიო მედიაში ის მემარჯვენე ცენტრისტული იდეოლოგიის გამტარებლად არის მიჩნეული. ამის დასამტკიცებლად მან ტედ ტერნერის მიერ დაფუძნებული, ყველაზე პოპულარული საინფორმაციო არხის **CNN**-ის საპირისპიროდ, 1999 წელს ალტერნატიული არხი **Fox News**-ი დაარსა, რომელიც დღემდე აქტიურად ამტკიცებს, რომ ამერიკული ჯარების "გამანთავისუფლებელი" საბრძოლო მოქმედებები ერაყში ერთმნიშვნელოვნად გამართლებულია. ერთი სიტყვით, რუპერტ მერდოკი ამერიკული და ქართული ხელისუფლების თანამოაზრე და იდეური პარტნიორია. მაგრამ...

### უცნაურია

უცნაურია ის, რომ რუპერტ მერდოკი ქართულ მედიაბაზარზე იმ ადამიანთან მოლაპარაკების შედეგად შემოდის, რომელიც დღეს არც თუ ისე დამტკბარ კავშირშია დღევანდელ ქართულ ხელისუფლებასთან. თანაც ეს მაშინ ხდება, როდესაც ურთიერთობის სიმწვავე პიკს აღწევს. აქედან გამომდინარე, როგორ უნდა ვიფიქროთ - პატარკაციშვილს მერდოკი ჩვენი მთავრობის გულის მოსალბობად ჩამოჰყავს თუ მათ შესაშინებლად და საკუარი პოზიციების მეტად გასამყარებლად? სინამდვილისგან შორს, არც ერთი ვერსია არ დგას, მაგრამ საბოლოო განაჩენის გამოტანისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ და მოვლენების განვითარებას დაველოდებით. ფაქტი ერთია, - როგორც ქართულ საზოგადოებას ნაწილობრივ ახარებს **News Corporation**-ის შემოსვლა და ნაწილობვირვ აშფოთებს, ასეთივე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქართული ხელისუფლებასაც.



### რა ახრებს საზოგადოებას და რამ უნდა შეაშფოთოს ხელისუფლება?

არაქართველი აქციონერის შემოსვლა ქართულ მედიაბაზარზე, ბუნებრივად გააძლავრებს მედიის კონტროლს ხელისუფლებაზე და არა პირიქით, როგორც ეს დღემდე იყო. მაგალითად, უმრავლესობის თვალსაჩინო ლიდერები საჯაროდ ველარ გამოთქვამენ საკუთარ პრეტენზიებს კონკრეტულად ამ არხის, ანუ ტელეკომპანია "იმედის" და მისი ჟურნალისტების მისამართით. ამ ჟურნალისტს უკვე ექნება იმის უფლება, ამგვარი ბრალდებები გაასაჩივროს (მაგალითად ხშირად ისმის ამ შინაარსის ბრალდება: "თქვენ არ ხართ ობიექტურები და ხართ ტენდენციურები") საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც თავისუფალი ჟურნალისტის უფლებებს იცავენ. მისი პროფესიული უფლებები ასევე დაცული იქნება, ისეთი მარტივი და კონკრეტული საშუალებით, როგორც არის კონტრაქტი.

ასევე დაირღვევა ის მანკიერი ჯაჭვი, რომელიც ხელისუფლებასა და მედიას აერთიანებს. ხელისუფლებას სჭირდება მორჩილი მედია საკუთარი რეიტინგისათვის და მომავალი არჩევნებისათვის. მედიას კი სჭირდება ხელისუფლების კეთილგანწყობა მომავალი, სტაბილური არსებობისათვის. დღევანდელ საქართველოში არც ერთ მსხვილ თუ წვრილ ბიზნესმენს არ გააჩნია ხელშეუხებლობის გარანტია, უფრო სწორედ კი მისი უფლებები არ არის დაცული, ამის მიზეზი არა მხოლოდ ხელისუფლებაა. საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებამ იცის ყველა ბიზნესმენის სუსტი მხარე (ან წერტილი) და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს მას. ამიტომ, ქართველი მედიამფლობელი მეტად თუ ნაკლებად მაინც დამოკიდებულია ხელისუფლებაზე და ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გათავისუფლდება მისგან. აქედან გამომდინარე, უცხოელი, უცხო ქვეყნის მოქალაქე მედიამფლობელის შემოსვლა ასუსტებს ჩვენი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმებსა და საშუალებებს. როგორც არ უნდა გაბრაზდეს, მაგალითად მაია ნადირაძე მომავალში "იმედის" ეთერში გასულ სიუჟეტზე ან კი რომელიმე ჟურნალისტზე, თუ თოქ-შოუს წამყვანზე, ის ვერ დაემუქრება მას და საკუთარი, სუბიექტური შეფასებებისგანაც თავის შეკავება მოუწევს. ეს არის უცხოელი აქციონერის შემოსვლის პოზიტიური მხარე ქართულ მედია ბაზარზე. მაგრამ ამით არ დამთავრებულა...

### არის კიდევ საერთაშორისო ინფორმაცია

რუპერტ მერდოკის მიერ შეძენილი აქციები, თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ტელეკომპანია "იმედი" საერთაშორისო მაუწყებლობების რიცხვს შეუერთდება და მისი სრულუფლებიანი წევრი გახდება.

დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ საქართველოში, სინამდვილეში, არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია არ გადის მის ფარგლებს გარეთ. ინფორმაციის რეალური გამტანები თავად ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რომელნიც მათი წარმატებების შესახებ კეთილ სიტყვებს არ იშურებენ და მხოლოდ საკუთარ მიღწევებზე საუბრობენ. თუმცა არ ახსენედებათ, რომ სამწუხაროდ საქართველოში ჯერ პრობლემები გაცილებით მეტია, ვიდრე სასიამოვნო პროგრესი. საერთაშორისო მედიაბაზარზე გასვლა კი პირველ რიგში იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავიდეს და მხოლოდ რამდენიმე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციაში გასაჩივრებით არ შემოვიფარგლოთ. მაშინ, როდესაც გაჩნდება ამის საშუალება, ეს, თავისთავად გაზრდის კონტროლს ხელისუფლებაზე და მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ მედია არა მხოლოდ ხელისუფლების პროპაგანდის სამსახური, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში, კონტროლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ასე რომ, რუპერტ მერდოკის, როგორც მას უწოდებენ, ცნობილი მედიამონსტრის შემოსვლას საქართველოში, ბევრი მოსალოდნელი პოზიტიური და ნეგატიური სიახლეები ახლავს. ჯერ ეს მხოლოდ ვარაუდია, დასკვნების გაკეთების საშუალება კი ალბათ რამდენიმე ხანში გახდება შესაძლებელი. ამჟამად მხოლოდ ის ვიცით, რომ ქართულ მედია სივრცეს კიდევ ერთი და ყველაზე ძლიერი მფლობელი შეუერთდა და

And dear Mr. Murdoch you come down from on high
You even bought up the airwaves, you control all our sky...

*Roger Taylor*

# მიხეილ თუმანიშვილი ასე არც ფიქრობდა და არც წერდა

პირველი გვერდიდან

მაგრამ, აქვე მინდა გულისტკივილით ვამცნო საზოგადოებას, რა შედეგით დასრულდა ესოდენ კეთილი წამოწყება - როგორია 2004 წელს გამოცემული წიგნი "მ. თუმანიშვილი ფიქრობს".

თარგმანი, რომელიც ყოველმხრივ გამართულ ორმოცდაათგვერდიან წინასიტყვაობას მოსდევს, უმეტეს შემთხვევაში, გაუმართავი ქართულითაა შესრულებული, დამახინჯებულია, აცდენილია ორიგინალს, ზოგჯერ კი, უბრალოდ, აზრს არის მოკლებული. თვალსაჩინოებისთვის სულ რამდენიმე ნიმუშს წარმოგიდგენთ, თუმცა, სამწუხაროდ, წიგნში გვერდი არ არის ისეთი, შეცდომა რომ არ იყოს. აღარაფერს ვამბობ გრამატიკულ, კორექტურულ თუ სხვა სახის შეცდომებზე, მაგალითად, როდესაც აბზაცებია არეული და გარკვეულ ტექსტს სულ სხვა ადგილიდან "გადმომხტარი" აბზაცი ებმის.

გვ. 66

1. წიგნის ტექსტი: "...ხარის გაცეცხლებულმა დაჭრილ-დაჩეხილმა ხორცმა გვერდით ჩამოუქროლა".

2. ორიგინალი: "...это разгоряченная, израненная туша быка прогрохотала мимо".

3. თარგმანის სავარაუდო ვარიანტი: "... გაცეცხლებული ხარის დაჭრილ-დაჩეხილმა სხეულმა გვერდით ჩაიგრიალა";

გვ. 80

1. "...აღმოცენდება არაჩვეულებრივად თეთრი, ალებასტრივით შიშველი ქალი."

2. "... возникает необыкновенно белая, алебастровая голая красивая женщина" "...

3. "ჩნდება ლამაზი შიშველი ქალი, საოცრად თეთრი - როგორც ალებასტრი";

გვ. 87

1. "არ არის ადვილი ჰარმონიის, წონასწორობის დაცვა ტრადიციასა (ეს ის კარგია, რაც წარსულში იყო) და ნოვატორობას (ეს კი ის კარგია, რომელსაც თანამედროვეობა გვთავაზობს) შორის."

2. "Не так легко найти гармонию, равновесие между традицией (это то, что было хорошего в прошлом) и новаторством (это то, что дает хорошего современное)".

3. "არც ისე იოლია, მონახო ჰარმონია, წონასწორობა ტრადიციასა (ე.ი. რაც რამ კარგი იყო წარსულში) და ნოვატორობას (ე.ი. რასაც თანამედროვეობა გვთავაზობს კარგს) შორის.";

გვ. 93

1. "თეატრის სამყარო პარადოქსულია და სხვას არაფერს გაქვს. იგი იდუმალია, გაუგებარი და თითქოს გაუცხოებულია ცხოვრებისაგან. რას ჰგავს იგი? მხატვრის სახელოსნოს? არა, არ ჰგავს, რადგან სახელოსნოში არ არის წარმოება, აქ კი უბრალოდ მუშაობაა, ყოველდღიური, დამქანცველი. სპორტი - სპორტი არ არის, არც პოეზიაა - პოეზია. როგორ შეიძლება შექმნა პოეზია ამ ხალხმრავალ სოდომში".

2 " Парадоксален и непохож ни на что другое мир театра. Он скрытен, непонятен и как будто бы отчужден от жизни. На что он похож? На мастерскую художника? Нет, не похож, потому что в мастерской нет производства, а здесь просто работа, каждодневная, изнуряющая. Спорт - не спорт, поэзия - не поэзия, потому что, как же можно заниматься поэзией в таком многолюдном Содоме маться поэзией в таком многолюдном Содоме".

3. "თეატრის სამყარო პარადოქსულია და სხვას არაფერს ჰგავს. ის თავის თავში ჩაკეტილია, გაუგებარი და თითქოს ცხოვრებისგან გაუცხოებული. რას ჰგავს იგი? მხატვრის სახელოსნოს? არა, არ ჰგავს, რადგან სახელოსნოში არ არის წარმოება, აქ კი უბრალოდ შრომაა, ყოველდღიური, ქანცგამომცლელი შრომა. სპორტია? - არა. პოეზიაა? - არც პოეზიაა, რადგანაც შესაძლებელია განა პოეზიის შექმნა ამ ხალხმრავალ სოდომში?!";

გვ. 94

1. "ძველ დროში მხატვარ-ილუსტრატორი, ფაქტიურად, "ილუსტრაციას" უკეთებდა ავტორის ტექსტს."

2. "В старое время художник-иллюстратор буквально "иллюстрировал" текст автора. "

3. "ძველ დროს მხატვარ-ილუსტრატორი, ფაქტობრივად, ავტორის ტექსტის "ილუსტრირებას" ახდენდა.";

გვ. 96

1. "მსახიობის ოსტატობის დონე ან დაქვეითდა, ან მის ქვეშ ახლა ისეთ რამეს არ ვგულისხმობთ, რასაც ადრე".

2. "Уровень актерского мастерства или снизился, или мы стали подразумевать под этим совсем не то, что подразумевали раньше".

3. "ან მსახიობის ოსტატობის დონე დაქვეითდა, ანდა ახლა მასში წინანდელისგან სრულიად განსხვავებულ რამეს ვგულისხმობთ";

გვ. 109

1. "სტილების იდუმალ სამყაროში უკუქცევა"

2. "Отступление в таинственную страну стилей".

3. "წიაღსვლა სტილთა იდუმალ სამყაროში";

გვ. 110

1. "როგორც ისტორიის კილომეტრიანი ბოძები, ისინი დღესაც გვაოცებენ თავიანთი კულტურის საბუთებით, მუდამ უჭკნობი თავიანთი შედევრებით"

2. "И до сегодняшнего дня, как километровые столбы истории, они потрясают нас свидетельствами своей культуры, своими никогда не увядающими шедеврами."

3. "როგორც ისტორიის ნიშანსვეტები, ისინი დღესაც გვაოგნებს თავისი კულტურის უტყუარი ნიშნებით, თავისი მარადიული შედევრებით.";

გვ. 114

1. "ჯოტო ქმნის ფრესკებს, სადაც ტანჯული თანდათან დნებიან და ცოცხალ ადამიანებად იქცევიან".

2. "Джотто создает фрески, где мученики постепенно оттаивают и превращаются в живых людей".

3. "ჯოტო ქმნის ფრესკებს, რომლებზეც მოწამის სახე თანდათან ფერმკრთალდება და ხორციელი ადამიანის იერს იღებს";

გვ. 115

1. "ამ ორი მხატვრის ტილოებზე ბატკნები მწვანე მდელოებზე სეირნობენ თეატრალურ კოსტუმებში გამოწყობილ მეცხვარე ვაჟთა და ქალთა მეთვალყურეობის ქვეშ".

2. "На картинах этих двух художников барашки гуляют по зеленым лугам под присмотром пастухов и пастушек в театральных костюмах".

3. "ამ ორი მხატვრის ტილოებზე ბატკნები მწვანე მდელოზე დასეირნობენ თეატრალურ კოსტიუმებში გამოწყობილი მწყემსი გოგო-ბიჭების მეთვალყურეობით";

გვ. 118

1. "...შემოქმედებითად აფეთქებული ვულკანების სახით ჩნდებოდნენ დიდებული თეატრალური სკოლები, რომლებმაც შედევრები შექმნეს."

2. "... как вулканы творческих вспышек, рождались великие театральные школы, создавшие шедевры."

3. "... როგორც შემოქმედებითი აფეთქების ვულკანები, ისე ჩნდებოდა უდიდესი თეატრალური სკოლები, რომლებმაც შედევრები შექმნეს";

გვ. 125

1. "მსახიობი ელექტრიკოსის მიერაა განათებული."

2. "Актер освещен искусством электрика."

3. "მსახიობი ელექტრიკოსის ოსტატობის მეშვეობით ნათდება";

გვ. 159

1. "რეჟისორი სხვადასხვანაირ რეპეტიციას ატარებს - იმპროვიზაციულს, როდესაც წარმოსახვა აკიაფდება, სხეული და აზრი მოძრავი, თვინიერი, დამყოლი ხდება, როდესაც ადვილი და სასიამოვნოა სცენაზე სიცოცხლის შეთხზვა და უკუნი, ჩლუნგი რეპეტიციები, როდესაც მსახიობები ვერ ალვიძებენ საკუთარ შინაგან სამყაროს, მონოტონურად იმეორებენ ავტორის სიტყვებს, მათ მიღმა ვერაფერს პოულობენ..."

2. . "Разные бывают у режиссера репетиции - ИМПРОВИЗАЦИОННЫЕ, когда вспыхивает воображение, тело и мысль становятся подвижными, податливыми, подчиняющимися, когда легко и приятно сочинять на сцене жизнь и репетиции БЕСПРОСВЕТНЫЕ, ТУПЫЕ, когда актеры, не разбудивши своего внутреннего мира, скучно повторяют слова автора, ничего не обнаруживая за ними . . . "

3. "რეჟისორმა შეიძლება სხვადასხვაგვარი რეპეტიცია ჩაატაროს: იმპროვიზაციული, - როდესაც წარმოსახვა ინთება, აზრი და სხეული უფრო მოძრავი, მოქნილი, დამყოლი ხდება, როდესაც სცენაზე ადვილად და სიამოვნებით თხზავ ცხოვრებას, და - ულიმღამო, აზრს მოკლებული რეპეტიცია, როდესაც მსახიობები არ ცდილობენ, გამოაღვიძონ საკუთარი შინაგანი სამყარო და მოსაწყენად იმეორებენ ავტორის სიტყვებს, ისე, რომ არ ძალუძთ, მათ მიღმა რაიმე აღმოაჩინონ..."

კიდევ რამდენიმე მაგალითი, როგორც იტყვიან, უკომენტაროდ:

1.პირველივე კაბას დაავლებს ხელს, გზადაგზა ჩაიცვამს **ჩულქებს**, ... (გვ. 151)

2. გარდა ამისა, მალევე შეამჩნევთ, რომ **აიღებთ რა ამა თუ იმ საფუძველს სარეპეტიციოდ, თქვენზე მისი ზემოქმედების შედეგად თქვენს სულში უფრო მეტხანს იქნებით, ვიდრე მისგან ამას მოელით**. (გვ. 169)

3. ერთი მსახიობის იმპროვიზაციის შერწყმა პარტნიორთა იმპროვიზაციებთან, ეს არის ნახტომი **რიტუალური მდგომარეობის სტიქიაში, იმ პროცესში, როდესაც მთელი ცნობიერება და ინტუიცია ერთდებიან იმისთვის, რომ იცურაონ თავისუფლად აღმოცენებულ ხმათა გუნდში, ქცევის მოტივებში და არ დაიხრჩონ ან არ ჩამორჩნენ მეგობრებს**. (გვ. 169)

წიგნის შემდგენლებს რამდენჯერმე ვთხოვე, ნათარგმნი ტექსტი მუშაობის პროცესში ეჩვენებინათ ჩემთვის. მაგრამ მასალა პირველად მაშინ ვნახე, როდესაც უკვე გამოცემული წიგნი მომიტანეს. ცოტა არ იყოს, შევცბი. კიდევ უფრო გავოცდი მაშინ, როდესაც თავფურცელზე ნ. ურუშაძისა და მ. გეგეჭკორის სახელების გვერდით საკუთარიც ამოვიკითხე. გამოდის, წიგნზე მიმუშავია ისე, რომ მისი არც ერთი გვერდი, არც ერთი სტრიქონი თვალით არ მინახავს.

წიგნში არსადაა მითითებული რედაქტორი ან კორექტორი - ჩანს, არ ჰყოლია და იმიტომ. წიგნში არც ის არის მითითებული, რომ ტექსტი ნათარგმნია. მაშასადამე, ასეთი ყოფილა მიხეილ თუმანიშვილის ნაფიქრ-ნააზრევი, ასეთი ყოფილა მისი საარქივო ჩანაწერები. მე კი, მისი შვილი, ნაცვლად იმისა, რომ ეს ჩანაწერები სადმე შორს გადავმალო, ურცხვად, უტიფრად ვაქვეყნებ მათ!

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოცემისთანავე მოეწყო წიგნის პრეზენტაცია, რომელზეც პერსონალურად დარიგდა რამდენიმე ეგზემპლარი. მინდა, ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას და განვაცხადო: მამაჩემს ამ წიგნთან არაფერი აქვს საერთო.

როდესაც წიგნს გავეცანი, კვლავ ვთხოვე შემდგენლებს, დანარჩენი ორი ტომის ტექსტი მაინც ეჩვენებინათ ჩემთვის თარგმნის პროცესში. ავუხსენი, რომ მამა გამოსაქვეყნებელ მასალას უმეტესწილად მე მათარგმნინებდა, მერე კი ერთად ვასწორებდით და ვხვეწდით ტექსტს; რომ მისი ლექსიკა - რაც სავსებით ბუნებრივია - უბრალოდ ყურში მაქვს გამჯდარი და შემიძლია განვსაზღვრო, ვიგრძნო, რომელ სიტყვას უფრო იხმარდა იგი ამა თუ იმ შემთხვევაში. პასუხი იყო ასეთი: რადგან ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერი ეწერა, ტექსტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მაჩვენებდნენ, თუკი ქ. დოლიძისგან შესაბამისი ნებართვა იქნებოდა. სრულიად უგულებელყვეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნაც - სანამ პირველი წიგნის ტექსტი ჩემი მონაწილეობით არ შესწორდებოდა, მეორე და მესამე წიგნზე მუშაობა არ გაგრძელებულიყო. საბოლოო სურათი კი ასეთია: გამოცემული წიგნი პირვანდელი სახით დარჩა, მეორე წიგნი უკვე დასტამბულია, მესამე - გამზადებული დასაბეჭდად. ვგონებ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ არც ერთი მათგანი თვალით არ მინახავს და მათი დაბეჭდვის ამბავიც შემთხვევით შევიტყვე.

რაც შეეხება ქსეროასლების საბოლოო ადგილსამყოფელს: როდესაც, ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებისამებრ, მოვითხოვე მათი დაბრუნება, ასეთი პასუხი მივიღე: ქ. დოლიძემ შემოთვალა, ვინაიდან ასლების გადაღების ხარჯი ფონდმა "ტერა ინკოგნიტამ" გაიღო, ქსეროასლებიც ამავე ფონდში უნდა დარჩესო. არადა, წიგნის შემდგენელთ, მასალის საკუთარი სურვილისამებრ შერჩევა რომ შესძლებოდათ, მათივე მონიშნული 60 საქაღალდის სრული ქსეროასლი გადავეცი (გარდა რამდენიმე განსაკუთრებით პირადული ხასიათის ჩანაწერისა). ეს კი გახლავთ საკმაოდ დიდი მოცულობის გამოუქვეყნებელი მასალა, რომლის, ცხადია, მხოლოდ მცირე ნაწილი უნდა შესულიყო სამტომეულში. დიდი ძალისხმევის შედეგად ისღა შევძელი, რომ პირველი წიგნის ქსეროასლები დავიბრუნე, ისიც - არასრულად.

როგორც მემკვიდრემ და საავტორო უფლებების მფლობელმა, მინდა, საჯაროდ განვაცხადო: მ. თუმანიშვილის მემკვიდრეობის მიმართ ასეთი უდიერი დამოკიდებულებისა და მისი სახელისა და პატივის შელახვის გამო, მოვითხოვ, ფონდმა "ტერა ინკოგნიტამ" შეწყვიტოს აღნიშნული სამტომეულის გამოცემა და მისი შემდგომი გავრცელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივმართავ სასამართლოს.

**P.S.** ამ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ ვდუმდი, რომ ვერიდებოდი მამას ახლობელი ადამიანების უხერხული კუთხით წარმოჩენას, თანაც, მიუხედავად ყველაფრისა, ვიტოვებდი იმედს, რომ ისინი მიხეილ თუმანიშვილის სახელით ასეთ "წიგნს" არ დაუტოვებდნენ მომავალ თაობებს.

## „ლუფთჰანზას“ ერთი წელი



ავიაკომპანია "ლუფთჰანზას" ცენტრალური, მიუნხენის აეროპორტი მიმდინარე წელს 30 მილიონი მგზავრის მომსახურებას გეგმავს, რაც ერთი საათის განმავლობაში დაახლოებით 60-ზე მეტი თვითმფრინავის მიღებას ნიშნავს. "ლუფთჰანზას" შემთხვევაში ეს არ არის მხოლოდ გეგმა - ეს რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით გაკეთებული გათვლებია.

თბილისში რეგულარული რეისების გახსნიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ მსოფლიოში ცნობილი ავიაკომპანია "ლუფთჰანზა" კვირაში მეოთხე რეისს ამატებს. აღნიშნული ინიციატივა კომპანიის ხელმძღვანელობამ აღმოსავლეთ ევროპაში მგზავრების რაოდენობის გაზრდისა და კერძოდ საქართველოს ბაზრის გაფართოების შემდეგ მიიღო.

"ლუფთჰანზას" აღნიშნული ინიციატივა 13 მაისიდან განხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მგზავრები ამ ავიაკომპანიის მომსახურებით ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ისარგებლებენ. ფრენა კი თანამედროვე კომფორტით აღჭურვილი აერობუს A320-ით განხორციელდება.

ამ სიახლესთან დაკავშირებით ავიაკომპაბნია "ლუფთჰანზას" გენერალური დირექტორი საქართველოში შტეფან შვარცი შემდეგს აცხადებს: "მოხარული ვარ და ვამაყობ იმით, რომ საქართველოს დედაქალაქში კიდევ ერთი რეისის დამატება შეგვიძლია და ეს ამ ქვეყნის ავიაბაზარზე დამკვიდრებიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში მოვახერხეთ. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რამდენად გაიზარდა მგზავრების რაოდენობა საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპაში, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიამ კარგად იმუშავა. დარწმუნებული ვარ, დამატებითი რეისი ჩვენს მგზავრებს მეტ კომფორტს შეუქმნის. მთლიანობაში ავიაკომპანია "ლუფთჰანზა" ფრენას რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების 19 ქალაქიდან ახორციელებს".

ახალი რეისის დამატებასთან და საქართველოში ერთწლიან წარმატებულ მუშაობასთან დაკავშირებით ავიაკომპანია "ლუფთჰანზა" სპეციალურ კამპანიას იწყებს, რომლის ფარგლებშიც თბილისის აეროპორტიდან ნებისმიერი მიმართულებით გამგზავრებულ მგზავრებს სპეციალურ ფასებს სთავაზობს.





# ენერგეტიკა - პოლიტიკური ბერკეტი

## დიდი რვიანი, ჩვენ და რუსები

პირველი გვერდიდან

**- ბრიტანეთში რა ენერგეტიკული პრობლემები აქვთ, ისინი ხომ რუსეთის მეზობლები არ არიან?**

- მთავარი თემა ენერგომატარებლებზე მაღალი ფასი იყო - რამდენ ხანს შეიძლება არსებობდეს ეს მაღალი ფასი და რა გავლენას მოახდენს ეს საერთაშორისო ბაზარზე, როდის არის მოსალოდნელი კლება, თუ ეს საერთოდ მოსალოდნელია და სხვა. თითოეული კომპანია საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ცდილობდა ამის ჩვენებას. აბერდენში თხევადი გაზის ქარხანა მოვინახულეთ, ვიყავით ქარის წისქვილის, ანუ ქარის ელექტროგენერაციის ობიექტების სანახავად...

**- იქ ეს პოპულარულია?**

- ამას ძალიან სერიოზულად უყურებენ, ბოლო სამი წლის განმავლობაში კი მნიშვნელოვან თემად იქცა.

**- ევროპაში ზამთრის ენერგოკრიზისის დროს მოგიხდათ ყოფნა და თან ისეთ კომპანიებში, რომელთაც პირდაპირ უნდა შეხებოდათ ეს კრიზისი. როგორ ხვდებიან საფრთხეს ძლიერი ენერგოკომპანიები და რამდენად დიდი დარტყმა იყო ეს მათთვის?!**

- ჩრდილოეთის ზღვაში 1973 წელს ნავთობისა და გაზის საბადოების აღმოჩენის შემდეგ, ბრიტანეთი ევროპაში ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი იყო, მაგრამ ეს რეზერვები იწურება. ამავე დროს, ბრიტანეთი არის გაზის ძალიან მსხვილი მომხმარებელი. წელს ბრიტანეთმა პირველად განახორციელა 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის იმპორტი. ბრიტანეთი, როგორც წინდახედული ქვეყანა, ზომებს იღებს იმისთვის, რომ კრიზისის წინაშე არ აღმოჩნდეს.

**- იყო ეს ზამთარი მათთვის კრიზისული, თუ არც ისეთი პანიკა იყო, როგორც ამას საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემდნენ?**

- პანიკა ნამდვილად არ იყო, მაგრამ ევროკავშირის კომისია გააქტიურდა და აქტიურად ჩაერთო რუსეთთან მოლაპარაკებებში. მძიმე ზამთრის გამო რუსეთმა ევროპისთვის გაზრდილი მოცულობების მიწოდება ვერ მოახერხა და სწორედ ეს იყო მოლაპარაკებების სერიოზული თემა. რუსეთი ამას უკრაინას აბრალებდა, მაგრამ დასავლეთში იყო ეჭვები, რომ არა მხოლოდ უკრაინა იყო "დამნაშავე", არამედ რუსეთისთვისაც კი უჩვეულოდ ცივი ზამთრის გამო მოხმარება გაიზარდა, ამას ევროპის ცივი ზამთარი დაერთო და რუსებმა გაზრდილი მიწოდება ვერ მოახერხეს.

**- ევროკავშირის გაზის ბაზარი მრავალწლიანი კონტრაქტებით შევსებულია, ახალი კონტრაქტები 2010 წლის შემდეგ დაიდება. სწორედ ამ დროიდან აპირებდა ევროკავშირი გაზზე მოთხოვნის გაზრდას. გასული ზამთარი რა კორექტივებს შეიტანს ამ მოთხოვნებში?**

- ევროკავშირში მოსალოდნელია გაზზე მოთხოვნის სერიოზული ზრდა. მათ ეჭვი აქვთ, რომ თუ რუსეთმა თავის ენერგეტიკულ სექტორში დასავლური ენერგოკომპანიები და კაპიტალი არ დაუშვა, რუსეთი ვერ შეძლებს ევროკავშირის გაზის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასათვისებელია ახალი საბადოები, რადგან ძველის წარმადობა იკლებს. ამის გამო საფრთხის წინაშე დგას ევროპა, რომელსაც შეიძლება ამ მოცულობების მოლოდინი ჰქონდეს. მაგრამ, ევროპა ნამდვილად არ არის დამოკიდებული მხოლოდ რუსეთზე. ის აქტიურად მუშაობს თხევადი გაზის სადგურების მშენებლობაზე. ევროპა თხევად გაზს კატარიდან მიიღებს. კატარი თხევადი გაზის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ქვეყანაა.

**- როგორ უჭირავს თავი რუსეთს ევროპასთან მოლაპარაკებებში?**

- ევროპა ცდილობს დიალოგს რუსეთთან, სურს, ურთიერთობები იყოს ორმხრივად მომგებიანი და არ გადაიზარდოს პოლიტიკურ დაპირისპირებაში. ამ პროცესში არ უნდა იყოს ჩართული პოლიტიკური ბერკეტები. მაგრამ, რუსეთთან ურთიერთობა იოლი არ არის. რუსეთი ენერგეტიკის საერთაშორისო ბაზარზე არსებული მდგომარეობის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობს, ეს ყოველთვის დიდ საფრთხეს ქმნის.




*ლია ჭერვალიძე "24 საათის" რედაქციაში.*

"გაზპრომი" აქტიურად ცდილობს, შევიდეს ევროპისა და დიდი ბრიტანეთის დისტრიბუციაში, რაც გაზის ნაკადების უშუალოდ ევროპის ტერიტორიაზე გაკონტროლებას ნიშნავს. რასაკვირველია, ეს ევროპისთვის გამაფრთხილებელი სიგნალია, რადგან "გაზპრომი" თავის საბადოებზე დასავლურ კომპანიებს არ უშვებს. თუ რუსეთს სურს ლიბერალური გაზის ბაზარი ჰქონდეს ევროპაში და დისტრიბუციაში შესვლა მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, მან იგივე უნდა გააკეთოს საკუთარ ბაზარზე, თამაშის წესები ორივე მხარისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს. რუსეთს მონოპოლიზებული აქვს თავისი ენერგოსექტორი და ევროპის ბაზარზე მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესით სარგებლობას ცდილობს. თუკი ევროკავშირი ლიბერალურია საკუთარ ბაზარზე და ცდილობს, ლიბერალიზაციის გზით გავლენა მოახდინოს იმაზე, რომ ენერგომატარებლებზე ფასები ძალიან არ გაიზარდოს, მაშინ რუსეთმა იგივე თამაშის წესები უნდა მიიღოს.

**- მოგეხსენებათ, წელს დიდი რვიანის ხელმძღვანელობა რუსეთს უწევს. ეს სტატუსი აყენებს მას განსაკუთრებულ მდგომარეობაში ევროპასთან მოლაპარაკებების პროცესში და აძლევს თუ არა დამატებით პოლიტიკურ ბერკეტებს?**

- ნამდვილად ასეა. ევროკავშირი და ამერიკა დიდი რვიანის შეხვედრაზე რუსეთთან ამ საკითხების აქტიურად განხილვას და გარკვეული კონსენსუსის მიღწევას შეეცდებიან.

**- დიდი რვიანის შეხვედრის მთავარი თემა რა იქნება?**

- ყველაფერი, რადგანაც პოლიტიკა და ეკონომიკა ერთნაირად ეხება ენერგეტიკას. საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ყველა მომხმარებელ ქვეყანას კითხვები უჩნდება მწარმოებელი ქვეყნების შესაძლო პოლიტიკის მიმართ და ურთიერთობების ისე წარმართვას ცდილობენ, რომ მომხმარებელი ქვეყნის ინტერესები არ დაზიანდეს.

**- თქვენი აზრით, რა იქნება ვაჭრობის საგანი დიდი რვიანის შეხვედრაზე?**

- ყველა ცდილობს, წარმოიდგინოს, რა იქნება ეს თემა. ევროკავშირი შეეცდება რუსეთის დათმობებზე წამოყვანას, შეეცდება, გაახსნევინოს საკუთარი ენერგეტიკული ბაზარი, შიდა მოპოვებაში პირდაპირი ინვესტიციები და მილსადენში მესამე მხარე დააშვებინოს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ დასავლურმა კომპანიებმა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ცენტრალურ აზიაში იმუშაონ.

რუსეთის მილსადენებში მესამე მხარის დაშვება ძალზე კრიტიკული მომენტია და შეიძლება იყოს განხილვის საგანი, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რუსეთი ამ დათმობებზე წავიდეს, რადგანაც მილები მისი სტრატეგიის ბერკეტია, მიზნის მისაღწევი მთავარი საშუალებაა. ეს თემა რუსეთს კარგად აქვს დამუშავებული, კარგად იცის, როგორ გამოიყენოს ენერგეტიკული სექტორი პოლიტიკურ ბერკეტად ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

**- აქამდე ეს რუსეთს კარგად გამოსდის...**

- დიახ, რადგან ჯერჯერობით მილსადენს ალტერნატივა არ აქვს და მინიმუმ, 5 წელი არც ექნება. თუ ამ პერიოდში ტექნოლოგიური ნახტომი მოხდა და ცისტერნებით თხევადი გაზის გადაზიდვა შესაძლებელი გახდა, მაშინ რასაკვირველია, ეს სერიოზულად დაარტყამს რუსეთის პოლიტიკას. დღეს ყველა სერიოზული ნავთობკომპანია აქტიურად მუშაობს ამაზე. ყველას აქვს საკუთარი კვლევითი ცენტრები.

**- სხვადასხვა კომპანიათა ანალიტიკური და კვლევითი ცენტრების შედეგები ერთმანეთს ემთხვევა?**

- ეს ნამდვილად არ ვიცი, რადგან უახლესი ტექნოლოგიები დაფარულია და მიღწევებზე ჯერ არ საუბრობენ.

**- ხართ თუ არა საქმის კურსში, როგორ ემზადება ჩვენი მთავრობა ზამთრის და შესაძლო კრიზისების შესახვედრად? 2005 წელს ჩვენი გაზეთისთვის მოცემულ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ირანული გაზის თემის უკან აუცილებლად იქნება რუსული ინტერესი. გასულ ზამთარს ფორსმაჟორული ვითარების გამო ირანული გაზი საქართველოში შემოვიდა, სად იყო აქ რუსული ინტერესი?**

- აქ არ ვიყავი და მხოლოდ იმის მიხედვით შემიძლია ვიმსჯელო, რა ინფორმაციაც აღწევდა ჩემამდე. ეს იყო დროებითი და ძალიან მეგობრული ჟესტი ირანის ხელისუფლების მხრიდან. ასეთ ვითარებაში მტრულად განწყობილი სახელმწიფოც კი არ წავა კონფრონტაციაზე სახელმწიფოსთან, რომელთანაც გარკვეული ინტერესები აქვს. ირანისთვის კი ეს რეგიონი საინტერესოა, რადგან ირანიც კასპიისპირეთის ქვეყანაა და ამ ქვეყნებთან საკუთარი ურთიერთობების დარეგულირებას ცდილობს. ეს იყო ხანმოკლე და ფორსმაჟორულ სიტუაციაში დადებული კონტრაქტი. მე, როგორც პროფესიონალმა და ადამიანმა კეთილმეგობრულ ჟესტად აღვიქვი და ვერაფერი საეჭვო ამაში ვერ დავინახე.

ერთი რამის თქმა კი შემიძლია - ბირთვული პროგრამების გამო დასავლეთთან კონფრონტაცია ძალიან აახლოებს ირანს რუსეთთან. მეეჭვება, ამ მჭიდრო კავშირების არსებობის მანძილზე ირანი რუსეთის წინააღმდეგ წავიდეს, თუნდაც, გაზის ტრანსპორტირების გზების თვალსაზრისით. ეს სერიოზული თემაა და დასავლეთი მუშაობს იმაზე, რომ რუსეთ-ირანის ამგვარი ურთიერთობები გაზის ტრანსპორტირებაზე არ აისახოს. მაგრამ, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით არსებული დაძაბული ვითარება ირანს მთლიანად რუსული პოლიტიკის გავლენის ქვეშ აქცევს, ეს სამწუხარო რეალობაა.

**- როგორ შეიძლება საერთაშორისო თანამეგობრობა ამას წინ აღუდგეს?**

- ირანის ახალი ხელისუფლება მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მას აქვს სამოქალაქო მიზნებისთვის ბირთვული ენერგიის წარმოების უფლება. ევროპაშიც არიან ჯგუფები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს არც ერთ ქვეყანას არ უნდა ეკრძალებოდეს, მაგრამ არის ერთი გარემოება, რაც ირანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს და მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას აღვივებს. ეს არის მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. სპარსეთის ყურიდან ყოველდღიურად 16 მილიონი ბარელი ნავთობი გადის. როდესაც ირანში თხევადი გაზის ქარხნების მშენებლობა დასრულდება, სპარსეთის ყურიდან დამატებით ირანის თხევადი გაზით დატვირთული ტანკერები გავა. კატარის თხევადი გაზის ტანკერებიც იგივე გზას გაივლიან და ეს გზა ენერგომატარებლების დიდი რაოდენობის ტრანსპორტირების არტერია გახდება. ამიტომ, არ შეიძლება ერთ ქვეყანას ჰქონდეს ბირთვული იარაღი. იმ შემთხვევაში, თუ ირანი სამოქალაქო ელექტროგენერაციიდან ბირთვული იარაღის წარმოებაზე გადავა (რისი ეჭვიც დასავლეთს აქვს), ამ რეგიონში ბალანსი დაირღვევა და ირანი აღმოჩნდება დომინანტი იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც ამგვარი სამხედრო რესურსი არ გააჩნიათ. ეს არის თემა, რომელიც ამჟამად ყველაზე მეტად აღელვებს და აშინებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაშინ დაბალანსებისთვის იგივე ტექნოლოგიები უნდა ჰქონდეს საუდის არაბეთს, ან სპარსეთის ყურის სხვა რომელიმე ქვეყანას.

**- ამგვარ ქვეყანასთან ტერიტორიული სიახლოვე რა საფრთხეებს უქმნის საქართველოს?**

- ირანის პოზიციიდან გამომდინარე, მთლიანად რეგიონის სტაბილურობაა ძალიან მყიფე. ეს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ ჩვენც შეგვეხება. მიმაჩნია, რომ ძალიან ფრთხილი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ.

**- ვის მიმართ?**

- ჩვენსავით პატარა და ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფო უნდა იყოს ფრთხილი, მოქნილი, არა ხისტი, და ყველანაირად უნდა შევეცადოთ, არ გავხდეთ საერთაშორისო ძალების დაპირისპირების პოლიგონი. ამისთვის ყველანაირი საფუძველი გვაქვს - გვყავს მეზობლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ რეგიონის სტაბილურობით, რადგან აქ საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტები გადის. ამ მილების დაზიანება საერთაშორისო ბაზარზე კიდევ უფრო აწევს ენერგომატარებლების ფასს. ჩვენ ეს სიტუაცია უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ პოლიგონი არ გავხდეთ.

**- ტრანსნაციონალურმა ენერგეტიკულმა პროექტებმა ჩვენს ქვეყანას გარკვეული სტატუსი მიანიჭა. ირანის პოზიცია რა საფრთხეს უქმნის ამ სტატუსს დიდი რვიანის შეხვედრის წინ?**

- საერთაშორისო წყაროები იტყობინებიან, რომ ამერიკა დიდი რვიანის ფარგლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწესრიგების საკითხის დაყენებას აპირებს. ეს ძალზე სერიოზული თემაა და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის აშშ-ს მიმართ. ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა არღვევს სტაბილურობას ქვეყნის შიგნით და ჩვენი მეგობრებისა და მეზობელი ქვეყნების ინტერესი, რომ ჩვენ ეს პრობლემა დავძლიოთ, დიდია.

მაგრამ, მიმაჩნია, რომ მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა, დიალოგი უნდა შეგვეძლოს ჩვენგან დაცილებულ ტერიტორიულ ერთეულებთან და მათ ამჟამინდელ ხელისუფლებებთან. იძულებით სამშიდობო პროცესის თავსმოხვევის წარმატებული პრაქტიკა მსოფლიოში ძალიან იშვიათია. უნდა შევეცადოთ, ჩვენი პოლიტიკით და მოქნილობით ახალი დაპირისპირებების საფუძველი არ შევქმნათ. იყო მომენტები, როდესაც საქართველოს ხელისუფლება სწორად მოქმედებდა. მაგალითად, ბაგაფშის არჩევნებში საქართველოს ხელისუფლების ჩაურევლობა და ხიდების გადების მცდელობა აფხაზეთის ახალ დე ფაქტო ხელისუფლებასთან. მგონია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები სერიოზულ წინაპირობას ქმნის იმისთვის, რომ ჩვენმა ტერიტორიულმა ერთეულებმა, რომელთაც რუსული პოლიტიკის გამო არ სურდათ ჩვენსკენ მობრუნება, საკუთარ პოზიციებს გადახედონ.

**- მუდმივი თემა - მილსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვა. ენერგეტიკის მინისტრი ამბობდა, რომ ამაზე მოლაპარაკებები მიდის; პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებდა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ დგას; სახელმწიფო მინისტრმა კი თქვა - მერე რა, რომ გავყიდოთო. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ნამდვილად არ ვიცი, რა აქვს განზრახული საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ ვიცი, რომ მილსადენის გაყიდვასთან დაკავშირებით, ჩვენი პარტნიორების დამოკიდებულება ნამდვილად არ შეცვლილა. თუ ჩვენ პატივს ვცემთ პარტნიორებს და მათგან დახმარებას ველით და ვიღებთ, უნდა გავითვალისწინოთ მათი ინტერესებიც. მით უფრო, რომ ეს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენი პარტნიორები - აშშ, ევროკავშირის ქვეყნები ჩვენსავით ენერგოდეფიციტური ქვეყნები არიან. ისინი საკუთარი გამოცდილების გაზიარებას ცდილობენ, რათა არ დავუშვათ შეცდომები, არ აღმოვჩნდეთ იგივე, ან უარეს ვითარებაში მით უფრო, რომ ჩვენ მათზე პატარა ქვეყანა ვართ და რუსეთზე ზემოქმედების ნაკლები ბერკეტები გაგვაჩნია. მათი რჩევები მათი გამოცდილებიდან მომდინარეობს. მილსადენების გაყიდვის შემთხვევაში, ჩვენ აბსოლუტურად მონოპოლიური ენერგეტიკული ბაზარი გვექმნება, სადაც მომწოდებელი ამავე დროს ტრეიდერიც იქნება და მილსადენების ოპერატორიც. ეს მძიმე მონოპოლიურ სურათს შექმნის ჩვენს ენერგეტიკაში და არანაირად არ წაადგება ჩვენს ეკონომიკურ განვითარებას, ვინაიდან მონოპოლიურ ენერგობაზარზე ლიბერალური ეკონომიკა ვერ აღმოცენდება.

**- 90-იან წლებში რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენა შეიარაღებული ძალა, მუდმივად იყენებს ენერგეტიკულ ბერკეტს, ახლა ამას დაემატა ბორჯომი, ღვინო და ციტრუსი...**

- ეს არის დარტყმა, რომლის საფრთხე მუდმივად არსებობს და ამას ახალი საფრთხეები დაემატა. ჩვენ ძალიან ცოტა, თითებზე ჩამოსათვლელად გვაქვს საექსპორტო პროდუქცია. წლების განმავლობაში ჩვენი ეკონომიკა სტაგნაციას განიცდიდა, ახალი არაფერი შექმნილა - არც ქარხნები, არც წარმოება. ერთადერთი, რაც შემოგვრჩა, ტრადიციული წარმოებებია ღვინისა და მინერალური წყლების სახით. ამ ტრადიციული ბაზრის დაკარგვა მაშინ, როდესაც ახალი საექსპორტო პროდუქცია შექმნილი არ არის, ძალიან მძიმე დარტყმა იქნება. არ ვიცი, რა მოცულობის ზარალზეა საუბარი, მაგრამ ღვინის კომპანიები ფეხზე დგანან, ხალხს ასაქმებენ და უამრავ ოჯახებს ინახავენ. ეს დარტყმა მარტო სახელმწიფოს არ მიადგა, ეს არის დარტყმა იმ ოჯახებზე, რომელიც ამ კომპანიების უკან დგას, ეს არის დარტყმა მთელი კახეთის რეგიონზე. დროზე უნდა დავიბრუნოთ ეს ბაზარი.

რა თქმა უნდა, პარალელურად ძალიან სწორია ხელისუფლების მცდელობა, მოიძიოს სხვა ბაზრები, მაგრამ ეს ასე იოლი არ არის. ჩვენ რუსეთს, როგორც დიდ მეზობელს, გვერდს ვერ ავუვლით.

**- მეგობრობა უკვე ვცადეთ - შევედით დსთ-ში, დავკარგეთ ტერიტორიები და სხვა. ამ ახალ რეალობაში მეგობრობა როგორ გესახებათ?**

- სანამ საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები იქნებოდა მიღებული, რუსეთი აქტიურად მუშაობდა საქართველოში დესტაბილიზაციაზე, რადგან არასტაბილური ვითარება ხელს უშლიდა ამ საერთაშორისო და კონკურენტული პროექტების განხორციელებას. დღეს ეს ეტაპი განვლილია, საერთაშორისო პროექტები განხორციელდა და მათ უკან დგანან სერიოზული ძალები, რომელთან დაჯახებაც რუსეთს მოუწევს, თუ კიდევ შეეცდება დესტაბილიზაციას. რუსეთი ამ მილებს ველარ შეცვლის, ეს არის რეალობა. დღეს ახალი ეტაპია - რუსეთი ვერ შეძლებს ჩრდილოეთ კავკასიაში სტაბილიზაციას, თუ ჩვენთან არასტაბილური გარემო იქნება. რეალურად მეტი საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ რუსეთთან სწორად წარმოებული მოლაპარაკება შედეგიანი იყოს. დიპლომატია ურთიერთობების ხელოვნებაა...

**- და კომპრომისების.**

- დიახ, კომპრომისების და ურთიერთობების. ჩვენი დიდი პარტნიორების მხარდაჭერის ფონზე საქართველოს შეუძლია ჰქონდეს სტაბილური და გამართული ურთიერთობა რუსეთთან.

**- ამბობენ, დიდი რვიანის დაშლა გამორიცხული არ არისო...**

- დიდ ბრიტანეთში ყოფნისას ერთ შეხვედრაზე რუსეთიდან მაღალი ეშელონის ოფიციალური პირები იყვნენ მოწვეულნი. ამ შეხვედრაზე ევროპასთან ურთიერთობებზე ვსაუბრობდით. რუსული ოპოზიციიდან იყო ჯგუფი, რომელიც დასავლეთს არწმუნებდა - რუსეთში მიმდინარე პროცესები არ ქმნის იმის საფუძველს, რომ რუსეთი დიდი რვიანის წევრი იყოსო. ასეთი რადიკალური გამოსვლა ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში გარი კასპაროვს.

უნდა იყოს თუ არა რუსეთი დიდი რვიანის წევრი, ეს არც რუსეთის სურვილზეა დამოკიდებული და არც საქართველოს შეფასებაზე. ეს არის იმ ძალების გადასაწყვეტი, ვინც დაინტერესებულია რუსეთში პოლიტიკური და ენერგეტიკული სტაბილურობით. რუსეთი შემთხვევით არ არის დიდი რვიანის წევრი. ამ ორგანიზაციის სხვა წევრებმა ჩვენზე უკეთ იციან, რომ მისი ეკონომიკა პორტუგალიის ეკონომიკაზე მეტი არ იყო, მაგრამ რუსეთი ენერგეტიკული რესურსებით უმდიდრესი და უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული ქვეყანაა, რომელსაც დიდი პოტენცია აქვს. რაც მთავარია, დღეს რუსეთს მართავს ძალიან ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა. ისინი წარმატებას აღწევენ დასავლეთთან მოლაპარაკებებში და საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებისთვის სწორად იყენებენ საკუთარ მდგომარეობას.

თუ რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა დიდი რვიანის ქვეყნებისთვის, ის მით უმეტეს ანგარიშგასაწევი ძალაა ჩვენთვის და რამდენადაც განაწყენებული არ უნდა ვიყოთ, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან, რეალური გეოპოლიტიური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა შევძლოთ მათთან მეგობრული თუ არა, არამტრული და არადაძაბული ურთიერთობის დამყარება. სხვაგვარად სტაბილურ მდგომარეობას ვერ მივაღწევთ.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ფინანსური პოლიცია შიდა ქართლში ღვინის ქარხნებს ამოწმებს

## რუსეთის მოსახლეობის ნახევარი ქართული და მოლდოვური ღვინოების იმპორტის აკრძალვას მიესალმება

B2

## ნავთობი ისევ ძვირდება

## Hummer-ი H1 მოდელის ავტომობილებს აღარ გამოუშვებს

B3



## აჭარკოოპკავშირმა თავისი და მეპაიეების ქონება სახელმწიფოს გადასცა

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3712 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0107 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4947 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8169 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8452 |
| 1 ბულგარული ლევი | BGL | 1,1670 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3059 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3163 |
| 1 ევრო | EUR | 2,2815 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4587 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3494 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3764 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1591 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2808 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1990 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2447 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4038 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6172 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,2215 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,5526 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3987 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2940 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5893 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6104 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0666 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1478 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4072 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5653 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4881 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6115 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8659 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2191 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1462 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4441 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2455 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4488 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0803 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2268 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2343 |




# ელექტროენერგიას ახალი კომერციული ოპერატორი გაყიდის

## საბითუმო ბაზრის ლიკვიდაცია გადაწყვეტილია

ნინო ნატროშვილი

*მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა, თანხების უდანაკარგოდ მობილიზაციის მიზნით, სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ საქმიანობას გადახედა. ცნობილია, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიის გაყიდვით მიღებული თანხები საბოლოოდ საბითუმო ბაზარში იყრიდა თავს. მაგრამ ორი დღის წინ საერთაშორისო კონსორციუმ "იბერდროლას" ენერგეტიკის სამინისტრომ საბითუმო ბაზრის მართვის კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა "24 საათს" განუცხადა, რომ "სააქციო საზოგადოების ფორმით, ახალი კომერციული ოპერატორი დაფუძნდება.*

- საბითუმო ბაზრიდან "იბერდროლას" წასვლის ოფიციალურ მიზეზად ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის რეორგანიზაცია სახელდება.
- ხელისუფლება საბითუმო ბაზარში არსებული ფინანსური ნაკადების და კომპანიის პასივებისა და აქტივების შესახებ არ საუბრობს. არსებული კანონმდებლობით კი, კომპანიის ლიკვიდაციის რეჟიმში გადასვლის შემთხვევაში კომპანიის პასივების, აქტივების, დავალიანების და კრედიტორების არსებობის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე უნდა იყოს.

B2

# აზიის საქმიანი სამოთხე

## კაპიტალდაბანდება ჰონგ კონგის ბრწყინვალე ბიზნეს-გარემოსა და საკურორტო ზონაში

გოჩა ქიმუცაძე

*მშვენიერი ბუნებით და მეტად განვითარებული ეკონომიკით განთქმული ჰონგ კონგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიაა და ამჟამად ჩინეთის შემადგენლობაში შედის. 1997 წლის 1 ივლისს ჰონგ კონგს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიანგანის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი ეწოდა. კუნძულის გადაცემა განხორციელდა პრინციპით "ერთ ქვეყანაში ორი სისტემა", ანუ ჩინეთის ხელისუფლებამ ჰონგ კონგში კაპიტალისტური სისტემის 2047 წლამდე უცვლელად შენარჩუნების შესახებ თანხმობა განაცხადა. გარდა ამისა, არ შეცვლილა ინგლისელების მიერ დანერგილი მმართველობის სტრუქტურა, კანონმდებლობა, საგადასახადო და ფინანსური სისტემა, რომლებიც დასავლური მოდელის მიხედვითაა აწყობილი.*



B3

# სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგი" დღეში 10,000 ლარს ანაზღაურებს

მიმდინარე წლის სტატისტიკით "ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ დღეში ანაზღაურებულმა თანხამ დაახლოებით 10,000 ლარი შეადგინა. ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის გაორმაგდება. ყველაზე მეტი თანხა სამედიცინო დაზღვევის მიმართულებითაა ანაზღაურებული, რაც დაახლოებით 500,000 ლარის ტოლია. სულ, სამედიცინო ხარჯები 10,745 ადამიანს აუნაზღაურდა.

ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ავტოდაზღვევა. სულ, წლის დასაწყისიდან კომპანიამ ავტომობილის ქურდობის ან ავარიის გამო 184 ავტომფლობელს აუნაზღაურა ზარალი.

მთლიანობაში, "ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ ანაზღაურებულმა თანხამ წლის დასაწყისიდან დღემდე 1,209,000 ლარი შეადგინა.






## სემეკმა ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის საკითხის განხილვა გადადო

ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის საკითხის განხილვა 6 მაისისათვის გადადო. როგორც სემეკში განცხადეს, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებისა და გენერაციის ობიექტების სატარიფო განაცხადების განხილვას სემეკი 3,4,5 მაისს გეგმავდა, თუმცა გადაწყდა, რომ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის საკითხზე კომისია ერთი დღის განმავლობაში იმსჯელებს.

**"ნაწილ-ნაწილ სატარიფო განაცხადების განხილვა კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია, ამიტომ გადაწყდა ყველა სატარიფო განაცხადის ერთ დღეს განხილვა,"** - განაცხადეს კომისიაში. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა და გენერაციის ობიექტებმა სემეკში შეტანილი განაცხადით, სამომხმარებლო ტარიფში კუთვნილი წილების გაზრდა მოითხოვეს.

ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" დღეს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შენობასთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს. ამის შესახებ ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა.

**"ხელისუფლება ელექტროენერგიის ტარიფებს უპრეცედენტოდ ზრდის, დედაქალაქში - 12-დან 15 თეთრამდე, რეგიონებში კი - 8-დან 14 თეთრამდე. დღეს სემეკი რუსული კომპანიის სასარგებლოდ ზრდის ტარიფს და ეს ჩვენი ხელისუფლების ჭეშმარიტი სახეა. რუსეთთან მიმართებაში ჩვენი მთავრობა ერთს ამბობს, მეორეს კი აკეთებს,"** - განაცხადა დავითაშვილმა.

დეპუტატ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის ძირითად მოტივად ბუნებრივი აირიც დასახელდება.

**"ჩვენთან წარმოებული ენერგიის უმეტესობა ჰიდროელექტროსადგურების მიერაა გამომუშავებული, ამიტომ გაუგებარია ამ გადაწყვეტილების შინაარსი. გამორიცხული არ არის, რომ არსებობდეს გარკვეული ბიზნესგარიგებები სადისტრიბუციო კომპანიის ხელმძღვანელსა და ხელისუფლების მაღალ ეშელონებს შორის,"** - განაცხადა ძიძიგურმა.

მისი თქმით, სააკაშვილის ხელისუფლება შევარდნაძის მთავრობაზე გაცილებით გაბედული აღმოჩნდა.

**"სააკაშვილმა კონსტიტუცია ისე შეცვალა, როგორც შევარდნაძეს სურდა, საარჩევნო კოდექსიც, როგორც შევარდნაძეს სურდა. ეს არის საზოგადოების გამოწვევა ხელისუფლების მხრიდან. მოსახლეობას მოვუწოდებთ, მიიღოს ეს გამოწვევა,"** - განაცხადა ძიძიგურმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დეპუტატებმა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოაცხადეს. **24 საათი**

## ნავთობპროდუქტების მიწოდება შეღავათიანი რეჟიმით დაიბეგრება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მოხმარებელთა კავშირის თხოვნა გაითვალისწინა. ამიტომ, საერთაშორისო საზღვაო რეისების განმახორციელებელ გემებზე ნავთობპროდუქტების მიწოდება შეღავათიანი რეჟიმით დაიბეგრება.

როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში განაცხადეს, არსებული საგადასახადო რეჟიმის გამო, ამჟამად საქართველოს ნავსადგურებში საერთაშორისო საზღვაო რეისების განმხორციელებელ გემებზე ნავთობპროდუქტების (მაზუთი, დიზელის საწვავი, საწვავ-საპოხი და სხვა) მიწოდება არ ხორციელდება.

**"საერთაშორისო საზღვაო რეისების განმხორციელებელი ის გემები, რომლებიც შემოდიან საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, გემების ნავთობპროდუქტებით გამართვას ჩვენი ქვეყნის ნავსადგურებში ვერ ახერხებენ და იძულებულნი არიან, გამართვა სხვა ქვეყნებში განახორციელონ. ამით საქართველო საკმაო შემოსავალს კარგავს. თანაც, ილახება მისი, როგორც საზღვაო ქვეყნის, პრესტიჟი, რადგან აღნიშნული სახის მომსახურება მსოფლიოს ნებისმიერ პორტში ხორციელდება,"** - განმარტავენ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიში.

კავშირის ექსპერტული გათვლებით, ნავსადგურებში ყოველწლიური მინიმალური მოხმარება მაზუთზე უნდა იყოს 400 000 ტონა, ხოლო დიზელის საწვავზე - 60 000 ტონა. **"აქედან გამომდინარე, შემოსავლები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე ნავსადგურებისათვის საკმაოდ სოლიდურია და მილიონებს შეადგენს. ფინანსთა სამინისტროს ვთხოვეთ, საერთაშორისო საავიაციო გადაზიდვებისათვის დაწესებული საგადასახადო რეჟიმის შეღავათები საზღვაო გადაზიდვებზეც გავრცელებულიყო. სამინისტრომ თხოვნა დააკმაყოფილა, რაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განსახილველად წარსადგენ "საქართველოს საგადასახადო კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტში აისახება." ინტერპრესნიუსი**

## ქართულ-ესტონური ბიზნესფორუმი თბილისში

10 მაისს ფორუმი სასტუმრო "თბილისი-მერიოტში" 14 საათზე დაიწყება და დღის ბოლომდე გაგრძელდება. ბიზნესფორუმს დაესწრება ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი და ესტონეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების მინისტრი ედგარ სავისაარი. ბიზნესფორუმში ასევე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები და კერძო ქართული კომპანიები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სსბ-ს სავაჭრო სესიები

საქართველოს საფონდო ბირჟაზე აპრილში 8 სავაჭრო სესია გაიმართა. დაიდო 249 გარიგება, გარიგებათა მოცულობამ 400 542 ფასიანი აქცია შეადგინა, მათმა ღირებულებამ კი - 1 442 000 ლარი.

| | | ლარი |
|---|---|---|
| GEB | საქართველოს ბანკი | 596 280 |
| BSK | ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი | 416 081 |
| #GEB0N | საქართველოს ბანკი (ობლიგაციები) | 114 819 |
| KAPM | კაპშენი | 110 174 |
| SOPM | ბიზნესცენტრი "სოფშენი" | 75 164 |
| UTC | გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია | 57 546 |
| სხვა: | | 71 936 |

| თვე | გარიგებების რაოდენობა | გარიგებების ღირებულება(ლარი) | გარიგებების მოცულობა (ფ/ქ) |
|---|---|---|---|
| იანვარი | 179 | 1 222 232 | 337 781 |
| თებერვალი | 223 | 2 972 461 | 201 835 |
| მარტი | 289 | 1 205 705 | 452 931 |
| აპრილი | 249 | 1 442 000 | 400 542 |

# ელექტროენერგიას ახალი კომერციული ოპერატორი გაყიდის

პირველი გვერდიდან

ახალი კომერციული ოპერატორი საწარმო მკაფიოდ და ზუსტად ასახავს ბაზარზე მოთამაშე სუბიექტების ინტერესებს, უზრუნველყოფს მათ ფინანსურ განვითარებას, სტაბილურობას, და ენერგოსექტორში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საბაზრო პრინციპებს დაამკვიდრებს. სააქციო საზოგადოების წილები გადანაწილდება ენერგოსუბიექტებზე. ამისთვის მომზადებულია პროექტი, რომელიც პარლამენტში განიხილება. პროექტის მიხედვით, ენერგოსუბიექტებს შორის პირდაპირი ორმხრივი ხელშეკრულებები გაფორმდება, რადგან დღეს ვინ ვისგან ყიდულობს ელექტროენერგიას, საბითუმო ბაზარში ბურუსითაა მოცული. ახალი ურთიერთობების შედეგად კი შეიქმნება საბალანსო ბაზარი, რაც იმას ნიშნავს, რომ გარიგება იმ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის მოხდება, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს უპასუხებს და ერთი დამატებითი რგოლი - საბითუმო ბაზარი გამოირიცხება."

ესპანურ კონსორციუმ "იბერდროლას" ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, ხუთწლიანი მართვის უფლებით, 2002 წლის თებერვლიდან გადაეცა. მისი კონტრაქტის ვადა 2006 წლის 1 მაისს ამოიწურა. ენერგობაზარზე მოთამაშე სუბიექტების ინტერესებს მალე ახალი კომერციული ოპერატორი განსაზღვრავს. საბითუმო ბაზრის ლიკვიდაცია კომერციული ოპერატორის შექმნის პარალელურად მოხდება. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის შესახებ მთავრობის სხდომაზე უკვე იმსჯელეს. მომავალ კვირას ახალ პროექტს საკანონმდებლო ორგანოც განიხილავს.

ჯერჯერობით, ახალი პროექტის თანახმად, ცნობილია კომერციული ოპერატორის შექმნის იურიდიული მხარე. თუმცა ხელისუფლება საბითუმო ბაზარში არსებული ფინანსური ნაკადების და კომპანიის პასივებისა და აქტივების შესახებ არ საუბრობს. არსებული კანონმდებლობით კი, კომპანიის ლიკვიდაციის რეჟიმში გადასვლის შემთხვევაში კომპანიის პასივების, აქტივების, დავალიანების და კრედიტორების არსებობის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე უნდა იყოს.

საბითუმო ბაზრიდან "იბერდროლას" წასვლის ოფიციალურ მიზეზად ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის რეორგანიზაცია სახელდება. ამის შესახებ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საერთაშორისო კონსორციუმის "იბერდროლას" საბითუმო ბაზრის მართვის ხუთწლიანი კონტრაქტი დასრულდა და მთავრობამ ამ კონტრაქტის გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩათვალა. "მიუხედავად იმისა, რომ "იბერდროლამ" სისტემაში მუშაობით რეალური შედეგები გვაჩვენა, კონტრაქტის გაგრძელება აღარ ვისურვეთ, ვინაიდან სისტემის რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს. მათ კი თავიანთი შესაძლებლობები ამოწურეს," - განაცხადა გილაურმა მისი თქმით, საბითუმო ბაზრის ბაზაზე ჩამოყალიბდება კომერციული ოპერატორი, რომელსაც, ძირითადად, სისტემაში წარმოქმნილი დეფიციტის დაბალანსების ფუნქცია ექნება.

არსებული ელექტრობაზრის ნაცვლად, ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის დაარსებასთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტის შექმნას საბითუმო ბაზრის წარმომადგენლებიც უჭერენ მხარს. ამ დროისთვის კონსორციუმის მიერ მოვლინებული სესბ-ის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი და ოპერაციათა დირექტორი ჯონ სვინსკო თბილისში არ იმყოფებიან.

როგორც "24 საათს" საბითუმო ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითა და ფუნქციებით ელექტრობაზარმა ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები და აუცილებელია ელექტრობაზრის თანამედროვე, მოქნილი სტრუქტურის ჩამოყალიბება. ახალი პროექტის თანახმად, ენერგოსექტორი პირდაპირ კონტრაქტებზე გადავა. ახალი კომერციული სუბიექტი კი, ძირითადად, საბალანსო ენერგიის ყიდვა-გაყიდვას და იმპორტ-ექსპორტს განახორციელებს.

# "ნატახტარმა" კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა



სალომე ძაძამია

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ კომპანია "ნატახტარმა" ბრენდის საუკეთესო სატელევიზიო რეკლამისთვის კონკურსი გამოაცხადა. კომპანიაში 8 ათასამდე სცენარი მოვიდა. საკმაოდ რთული აღმოჩნდა მათ შორის საუკეთესოს გამოვლენა, რადგან მოთხოვნებს ყველა მათგანი პასუხობდა.

ჟიურის მიერ არჩეულ იქნა 100 საუკეთესო სცენარი, რომლის ავტორები წამახალისებელი პრიზებით დასაჩუქრდნენ. კერძოდ, კონკურსში გამარჯვებული სცენარის ავტორი დასაჩუქრდა პრიზით - 1000 აშშ დოლარი. კომპანიის მიერ დამატებით დაწესდა ორი სპეციალური პრიზი - 200 და 100 აშშ დოლარის ოდენობით.

სამომავლოდ კომპანია მსგავსი სახის კონკურსებს კვლავ გეგმავს. ამ ეტაპზე შემოსული ყველა სცენარი მომავალ კონკურსშიც ავტომატურად მიიღებს მონაწილეობას. კომპანია შემოსულ სცენარებს განიხილავს, როგორც ერთგვარ ბაზას მომავალი სარეკლამო საქმიანობისთვის. სარეკლამო რგოლის გადაღების შემთხვევაში სცენარის ავტორები შესაბამის ჰონორარს მიიღებენ.

ჟიურის წარმომადგენლები - ლევან ყუბანეიშვილი, გიორგი გურგულია და გია ჭანტურია ერთხმად აცხადებდნენ, რომ ბევრ საინტერესო სცენარში ერთის გამორჩევა გაუჭირდათ. აქედან გამომდინარე, კომპანიამ დამატებითი პრიზები დააწესა. 1000 დოლარის მფლობელი მერაბ დოლიძე გახდა, 200 დოლარი გივი ცაგარეიშვილს, ხოლო 100 დოლარი თიკო მახარაძეს ერგო.

**"ბევრი ლამაზი სცენარი იყო, თუმცა არ ჩაჯდა კომპანიის მარკეტინგის მიერ გათვალისწინებულ ჩარჩოში. ჩვენი ფუნქცია იყო, სწორედ შეგვერჩია ისეთი სცენარი, რომელიც ეკრანზე კარგად გამოჩნდება, იუმორით იქნება გაჯერებული და ლუდთან ასოციაციას შექმნის, ხაზგასმული იქნება ჯანსაღი ცხოვრების საჭიროება და მეგობრებთან ერთად ლუდის სმა. ამ სცენარს მაყურებელი მალე იხილავს,"** - განაცხადა გია ჭანტურიამ.

სააქციო საზოგადოება "ლომისის" მარკეტინგის მენეჯერი კახა პაიჭაძე: **"როდესაც ჩვენ ლუდის წარმოება გადავწყვიტეთ, ჩავიფიქრეთ, რომ ეს ლუდი ხალხის ყოფილიყო და მათი ყველა მოთხოვნისთვის ეპასუხა. გვინდოდა, ჩვენს საქმიანობაში მომხმარებელიც ჩაგვერთო და აღნიშნული კონკურსი ამიტომ გამოვაცხადეთ. ქართველები ნიჭიერი ერი ვართ და საინტერესო იდეებიც მრავლად იყო. თუმცა, აქედან საუკეთესოები ჟიურიმ გამოავლინა. ეს იდეა ჩვენ დავნერგეთ და ამ სახის კონკურსებს მომავალშიც გავაგრძელებთ."** ლუდ "ნატახტარის" სარეკლამო კლიპის გადაღება ორ კვირაში დაიწყება.

# "აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" პირველი ტრანში გადმორიცხა

"აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" (ემ-სი-ჯი) ანგარიშზე პირველი ტრანში, 3,1 მლნ აშშ დოლარი გადმორიცხა.

როგორც ემ-სი-ჯი-ში განაცხადეს, პირველი ტრანშით გათვალისწინებული თანხები განკუთვნილია ემ-სი-ჯი-ს 30 ივნისის ჩათვლით განსახორციელებელი საქმიანობის დასაფინანსებლად. კერძოდ, აღნიშნული თანხა 5 პროექტის პარალელურ რეჟიმში განხორციელების დაწყებას მოხმარდება.

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" შემდეგი პროექტების განხორციელებას გეგმავს: სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც 102,2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება; რუსეთთან დამაკავშირებელი, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია, რაც 49,5 მლნ აშშ დოლარი დაჯდება; რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება, რისთვისაც 60 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება; საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის შექმნა, რომელიც 32,5 მლნ დოლარის დაფინანსების ფარგლებში მცირე და საშუალო საწარმოებს უზრუნველყოფს გრძელვადიანი და სარისკო კაპიტალით და ტექნიკური საშუალებებით; აგრობიზნესის განვითარების პროექტი, რომელიც 15 მლნ დოლარის დაფინანსების ფარგლებში გრანტებით, ტექნიკური, ტექნოლოგიური და საინფორმაციო დახმარებით უზრუნველყოფს ფერმერებს და მცირე აგრობიზნესებს.

"აშშ-ს ათასწლეულის განვითარების კორპორაციამ" საქართველოსთვის 5-წლიანი 295,3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება 2005 წლის აგვისტოში, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე მიიღო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფინანსური პოლიცია შიდა ქართლში ღვინის ქარხნებს ამოწმებს

ფინანსური პოლიცია შიდა ქართლის რეგიონში მდებარე ღვინის ქარხნებს ამოწმებს. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, შემოწმება ტარდება შპს "ატენის ღვინის ქარხანაში", შპს "ოკამში", შპს "ჯეოვაინში", შპს "ალიანსში", შპს "როსტლანში" და შპს "ლიახვში".

ამ ეტაპზე, წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 204-ე მუხლებით დაიწყო, რაც "ფალსიფიკაციასა" და "საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას" გულისხმობს.

დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. მიმდინარეობს ქარხნების საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია. რაც შეეხება უშუალოდ ალკოჰოლურ ნაწარმს, ყველა ქარხნიდან აიღება სასინჯე მასალა და ჩაუტარდება ლაბორატორიული კვლევა, რომელიც მის თვისობრიობას განსაზღვრავს.

გაზის და ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფის ფორსირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 145 მლნ ლარი დაიხარჯება. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, სუბსიდიას გაჭირვებული ოჯახები მიიღებენ. მისი თქმით, მოსახლეობის დაახლოებით 1/3-ს ელექტროენერგიის ტარიფის ცვლილება არ შეეხება. პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას მოუწოდებს, რომ სუბსიდიების მისაღებად განცხადებები სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოში შეიტანონ, რათა შემდგომ ამ მონაცემების დამუშავება მოხდეს.

პრემიერი აცხადებს, რომ 145 მლნ ლარიდან, ზამთრის განმავლობაში უკვე დაიხარჯა 90-95 მლნ. ლარის სუბსიდია, მოსკოვის მიერ გაძვირებული გაზის გამო. **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთის მოსახლეობის ნახევარი ქართული და მოლდოვური ღვინოების იმპორტის აკრძალვას მიესალმება

ფონდმა "საზოგადოებრივმა აზრმა" იმ გამოკითხვების შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც რუსეთის ფედერაციის 44 რეგიონში ჩაატარა. როგორც ფონდში აცხადებენ, უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში რუსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, 73 პროცენტს, არც ერთი ზემოაღნიშნული ქვეყნის ღვინო არ დაულევია. ყოველი მეათე გამოკითხული ორივეს, 9 პროცენტი - მხოლოდ მოლდავურ ღვინოს, ხოლო 5 პროცენტი კი - მხოლოდ ქართულ ღვინოს სვამდა. მათგან 12 პროცენტს უხარისხო ღვინო არ დაულევია, 2 პროცენტმა აღნიშნა, რომ ქართული, ხოლო 5 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ უხარისხო მოლდოვური ღვინო უგემია.

გამოკითხულთა 4 პროცენტი მთავრობას გადაწყვეტილებას უწონებს იმ მოსაზრებით, რომ სამამულო ბაზარი უხარისხო საქონლისაგან დაცული უნდა იყოს, ხოლო რესპონდენტთა 3 პროცენტი კი - სიმთვრალის გამო. **"ყველაფერი, რაც ალკოჰოლური სასმელების აკრძალვას ეხება, ვამართლებ, რადგან მთელი რუსეთი ლოთობს,"** - აცხადებენ ისინი.

ისინი, ვინც მხარს არ უჭერენ ონიშენკოს გადაწყვეტილებას, საკუთარ პოზიციას იმით ხსნიან, რომ ქართული და მოლდოვური ღვინოები უყვართ და მათ ხარისხიანად მიიჩნევენ. ზოგიერთი მათგანი (გამოკითხულთა 6 პროცენტი) ეთანხმება მოსაზრებას, რომ შესაძლოა, ეს ღვინოები უხარისხოც იყოს, მაგრამ ამაში რუს "მეკობრეებს" ადანაშაულებს.

რესპონდენტთა ნაწილი (4 პროცენტი) მიიჩნევს, რომ აკრძალულ ღვინოებს ფალსიფიცირებული დაბალფასიანი არაყი ჩაენაცვლება, ადამიანები უფრო მეტს დალევენ და ღვინოც გაძვირდება. ერთი პროცენტი კი მიიჩნევს, რომ პრობლემის გადაწყვეტა არა იმპორტის აკრძალვით, არამედ მის ხარისხზე კონტროლის გამკაცრებით არის შესაძლებელი.

გამოკითხულთა 44 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქართული და მოლდოვური ღვინოების იმპორტი სანიტარული ნორმების დარღვევის გამო აიკრძალა, ხოლო 27 პროცენტი კი სხვა მიზეზებს ასახელებს. მათგან 17 პროცენტი ამ ფაქტს საქართველოსა და მოლდოვაზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის მოხდენის მცდელობად აფასებს.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობას 1500 ადამიანი იღებდა, მათგან 600 რესპონდენტი მოსკოვში ცხოვრობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Boeing-ის უმსხვილესი გარიგება

ავიაჰოლდინგი Boeing-ი ავიადეტალების მწარმოებელ დამოუკიდებელ კომპანია Aviall-ს 1,7 მილიარდ დოლარად იყიდის. თუ ამ გარიგებას აშშ-ს ანტიმონოპოლიური ორგანოები მწვანე შუქს აუნთებს, იგი ბოლო ათი წლის განმავლობაში Boeing-ის მიერ განხორციელებული უმსხვილესი შენაძენი იქნება. მისი საშუალებით, განთქმული ავიაჰოლდინგი სამხედრო და სამოქალაქო ავიატექნიკის ბაზარზე თავის წილს საგრძნობლად გაზრდის. აშშ-ს უმსხვილესი ავიამწარმოებელი Aviall-ის თითოეულ აქციაში 48 დოლარს გადაიხდის, რაც 27,2 პროცენტით მეტია, ვიდრე აპრილის ბოლოს დაფიქსირებული საბაზრო ღირებულება.

## Intel Corp.-ი განვითარებად ქვეყნებს დაეხმარება

მსოფლიოში მიკროპროცესორების მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია Intel Corp.-ი განვითარებად ქვეყნებს დახმარების ხელს გაუწვდის. ცნობილია, რომ კომპანია ამ პროგრამის ამოქმედებისთვის ერთ მილიარდ ამერიკულ დოლარს გამოყოფს. სანაცვლოდ კი ახალი პროგრამა კომპანიას ახალ ბაზარზე გასვლის საუკეთესო საშუალებას მისცემს. World Ahead პროგრამის ჩარჩოებში, კომპანია დაახლოებით ერთ მილიარდ ადამიანს ინტერნეტში ძალიან სწრაფად და უპრობლემოდ შეღწევის საშუალებას მისცემს. ამასთან, ასი ათასი ინტერნეტ-მომხმარებელი ახალი ტექნოლოგიის სასწავლო ტრენინგს გაივლის. აღნიშნულ პროგრამაზე Intel-ი, უკვე ხუთი წელია, მუშაობს. მისი ამოქმედებისთვის კომპანიის ხალმძღვანელობამ ერთი მილიარდი დოლარი გამოყო. "განვითარებადი ქვეყნების ინტერნეტ-ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ეს ათწლიანი პროგრამა მთელი სამყაროსთვის მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენი მოღვაწეობა ამით არ დასრულდება. კომპანიას კიდევ ბევრი იდეა აქვს განსახორციელებელი," - აცხადებს intel-ის გენერალური დირექტორი პოლ ოტელინი.

კომპანიის ახალი მომსახურება განვითარებადი ქვეყნების სკოლის იმ მოსწავლეებსაც გაუწევს დახმარებას, რომელთაც კომპიუტერის შეძენის შესაძლებლობა არ აქვთ.

კომპანიის სამომავლო გეგმებში WiMax ტექნოლოგიის ათვისებაც შედის. სპეციალისტები აცხადებენ, რომ აღნიშნული პროგრამა ღატაკ ქვეყნებს დაფარვის დიდ ზონაში მარტივად და იაფად მოხვედრის საშუალებას მისცემს. მიკროპროცესორების მწარმოებელი კორპორაცია Intel-ი უახლოეს მომავალში კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერების წარმოების გაზრდასაც აპირებს.

## მსოფლიო ბანკი აზერბაიჯანს 90 მილიონი დოლარით დააკრედიტებს

აზერბაიჯანში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განსახორციელებლი სამი პროექტის ირგვლივ მოლაპარაკებები ბაქოში 11-19 მაისს გაიმართება. ამის შესახებ სააგენტო ტრენდს მბ-ს ბაქოს ოფისში აცნობეს.

მბ-ს 2006 საფინანსო წელს (30 ივნისამდე) დაგეგმილია სამი პროექტის დამტკიცება: აზერბაიჯანის სასამართლო სისტემის მოდერნიზაცია, ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება და სოფლის მეურნეობის დაკრედიტების და განვითარების პროგრამის მეორე ფაზა.

სასამართლო სისტემის პროექტის ღირებულება $33,6 მილიონს შეადგენს, საიდანაც $20 მილიონს მსოფლიო ბანკი დააფინანსებს. ჯანდაცვის პროექტის ღირებულება $86 მილიონს შეადგენს, საიდანაც $50 მილიონი მბ-ზე მოდის. საერთაშორისო განვითარების ასოციაცია პროექტისათვის $20 მილიონს გამოყოფს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# აზიის საქმიანი სამოთხე

პირველი გვერდიდან

მსოფლიოს ამ მეტად მჭიდროდ დასახლებული რეგიონის ეკონომიკური აყვავება მისმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ და არსებულმა ლიბერალურმა სისტემამ განაპირობა. ამჟამად ჰონგ კონგი, ნიუ იორკის და ლონდონის შემდეგ, მსოფლიოს უმსხვილესი ფინანსური ცენტრია. მის ტერიტორიაზე განთავსებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონამდე მსხვილი ბანკის და კომპანიის შტაბ-ბინა. ჰონგ კონგის პორტს კონტეინერული გადაზიდვების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. კუნძულის ხელმძღვანელობა ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე გამუდმებით ზრუნავს და, ამიტომაც არის, რომ ტრადიციულ ჩინურ სიბრძნესთან შერწყმულმა დასავლურმა გამოცდილებამ და არსებულმა უნიკალურმა ატმოსფერომ შედეგი გამოიღო და ადგილობრივი ეკონომიკა საოცარი ტემპებით ვითარდება.





### სუპერლიბერალური ბიზნეს-გარემო

ჰონგ კონგი კლასიკური გაგებით ოფშორული ტერიტორია არ არის, თუმცა, ერთობ დაბალი გადასახადებით კი გამოირჩევა, რომლებიც მის ტერიტორიაზე მოღვაწეობით მიღებული შემოსავლის მიხედვით ირიცხება. კუნძულზე არსებობს გადასახადი კაპიტალის საბაზრო ღირებულების გაზრდაზე და მოგებაზე (წლიური 5-16 პროცენტი), ყოველწლიურად იბეგრება ის კომპანიები, რომლებიც შემოსავალს აგროვებენ და ბრუნვაში არ უშვებენ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა, თითქმის არ არსებობს საბაჟო გადასახადი იმპორტსა და ექსპორტზე, აქციზური დაბეგვრა ხორციელდება მხოლოდ თამბაქოს ნაწარმზე, სპირტიან სასმელებზე, პარფიუმერიაზე, მეთილის სპირტსა და ნავთობპროდუქტებზე. არ არსებობს სავალუტო კონტროლი და, კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ კერძო პირები კაპიტალდაბანდებისაგან მიღებული შემოსავლის ან კაპიტალის საბაზრო ღირებულების გაზრდის გადასახადს არ იხდიან. ეს კანონი ვრცელდება ყველაზე, მათ შორის, არარეზიდენტებზეც.

ასე რომ, კუნძულზე უცხოური კაპიტალის შესვლას, ფაქტობრივად, არანაირი ბარიერი არ აყოვნებს, ხელისუფლება ბიზნესში არ ერევა, რაც ჰონგ კონგის ეკონომიკური განვითარებისათვის უდიდესი სტიმულია. შეზღუდული პასუხისმგებლობის ღია საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარდა, ხელისუფლება მინიმალურ ინფორმაციას და კაპიტალიზაციას ითხოვს. ხოლო თუ კომპანია რეგისტრირებულია, როგორც მთლიანად ჰონგ კონგური, ფინანსური დეკლარაციის შევსებაც არ არის საჭირო.

სამუშაოს მქონე პოტენციურ რეზიდენტებს ადგილობრივი ხელისუფლება 6-თვიან ვიზას აძლევს, ხოლო მათ ცოლ-შვილს შეუძლია, სპეციალური ნებართვის გარეშე იმუშაოს. ჰონგ კონგში არ არსებობს პროფკავშირების წევრობის აუცილებლობა, ხოლო საავტორო უფლება ინგლისური წესების მსგავსად დაცულია, რადგან ჰონგ კონგი პარიზის კონვენციის წევრია.

ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, უცხოეთში ბიზნესის წარმოების, საერთაშორისო დონეზე გასვლისა და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის მსურველი ადამიანისათვის ჰონგ კონგი არა მარტო აზიაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც ნამდვილი სამოთხეა.

რაც შეეხება უძრავი ქონების ბეგარას, ოფისის იჯარით აღების შემთხვევაში, წლიური ქირის 10-20 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. ხოლო უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში, წლიურად მისი საბალანსო ღირებულების 1,2-დან 5 პროცენტამდე გადაიხდით.

### ძვირი სიამოვნება

ჰონგ კონგი საკმაოდ ძვირი ტერიტორიაა, კომპანიის პირველადი რეგისტრაციისათვის პროფესიონალური მომსახურება დაახლოებით 1400 ამერიკული დოლარი დაგიჯდებათ, ხოლო პირველი წლის განმავლობაში ოფისის რეგისტრაცია და იურიდიული კონსულტაცია - კიდევ 1300 დოლარი. შემდეგ კი ყოველწლიური მომსახურება 2300 დოლარამდე იზრდება. ამ თანხაში არ შედის ბუღალტერიის წარმოება, აუდიტი, და, რა თქმა უნდა, ოფისის იჯარა. ეს ყველაფერი ადგილმდებარეობისა და მომსახურებაზე დახარჯული დროის მიხედვით სხვადასხვაა.

ოფისის დაქირავება საკმაოდ ძვირი დაგიჯდებათ. კერძოდ, სიანგანის პრესტიჟულ, საქმიან რაიონში მაღალი დონის ოფისში ყოველთვიურად 20-დან 40 ათასამდე დოლარის გადახდა მოგიწევთ. თუმცა, კუნძულის ნაკლებად პრესტიჟულ რაიონებში ოფისის ბევრად იაფად, მაგალითად, თვეში 800-1000 დოლარად დაქირავებაც შეიძლება.

ასევე ძალიან ძვირია საცხოვრებელი ფართიც. მისი ღირებულება, ადგილმდებარეობის გარდა, განაშენიანების ტიპზეც არის დამოკიდებული. ელიტარულ რაიონებში მაღალი დონის აპარტამენტები 200-დან 700 ათას დოლარამდე დაგიჯდებათ, ვილა კი - 900 ათასიდან 15 მილიონ დოლარამდე. ხოლო თუ ეგზომ მაღალი დონის საცხოვრებელი არ გსურთ და მოკრძალებულ ყოფას დასჯერდებით, მაშინ ჰონგ კონგის სხვადასხვა რეგიონში კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს 1500-დან 4 ათასი დოლარის ფარგლებში შეიძენთ.

ჰონგ კონგის განსაკუთრებით პრესტიჟული რაიონები გახლავთ: სიანგანის ცენტრალური უბნები, სადაც განლაგებულია სამთავრობო დაწესებულებები, საფინანსო-საბანკო, საქმიანი და სავაჭრო ცენტრები, სიანგანისავე დასავლეთით მდებარე, ტურისტებისათვის მიმზიდველი ტრადიციული ჩინური სტილის უბნები, ხელოვნების ცენტრად მიჩნეული ვანჩაი, ღამის ცხოვრებით განთქმული კოზუეი ბეი, უძველესი საპორტო დასახლება აბერდინი და ტურისტებისათვის ერთობ მიმზიდველი სამხრეთ სანაპირო.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჰონგ კონგის კანონმდებლობით, არარეზიდენტი კერძო პირისათვის მიწის ნაკვეთის მიყიდვა აკრძალულია. ამიტომ, სანამ კუნძულზე საკუთარ ბიზნესს წამოიწყებთ და რეზიდენტი ან მოქალაქე გახდებით, ვილაზე უარის თქმა მოგიწევთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჰონგ კონგს დიდი ხნით მიაშურებთ, საცხოვრებელი ფართის დაქირავებასთან შედარებით, თქვენს ჯიბეს მისი შეძენა უფრო ნაკლებად დააზარალებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ უძრავი ქონების კაპიტალიზაცია საიჯარო გადასახადების ზრდას ჩამორჩება. წელიწადში ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის იჯარით აღება მისი ღირებულების 10 პროცენტამდე ჯდება. საცხოვრებელი ფართის შეძენა უფრო მომგებიანი იმიტომაც არის, რომ ისედაც ძვირი ჰონგ კონგური უძრავი ქონების ფასი გამუდმებით მატულობს, რასაც საოცრად მზარდი ადგილობრივი ეკონომიკა და თავისუფალი ფართის რაოდენობის შემცირება განაპირობებს. უძრავი ქონების უფრო ძვირად გაყიდვის შემთხვევაში, მიღებული შემოსავლიდან საკმაოდ მცირე, 0,2-3 პროცენტის გადახდა მოგიწევთ.

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ჰონგ კონგში მიწის ნაკვეთის შეძენა და მშენებლობის წამოწყება მეტად სარფიანი საქმეა. მართალია, როგორც აღვნიშნეთ, მიწის შეძენაზე გარკვეული შეზღუდვა არსებობს, მაგრამ, სანამ რეზიდენტი გახდებით, შეგიძლიათ იქვე იურიდიულ პირად დარეგისტრირდეთ ან სამშენებლო ბიზნესი ადგილობრივ პარტნიორთან ერთად წამოიწყოთ. 1 კვადრატული მეტრი მიწა ჰონგ კონგში, რეგიონის პრესტიჟულობის გათვალისწინებით, 700-დან 10 000 დოლარამდე ღირს. სამაგიეროდ, ლიბერალური საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის და ადგილობრივი, ძირითადად, ჩინეთიდან ჩასული მუშახელის სიიაფის გამო მშენებლობა ძვირი ნამდვილად არ დაგიჯდებათ და გვარიან მოგებასაც ნახავთ.

ჰონგ კონგური უძრავი ქონების მემკვიდრეობით გადაცემისას არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ მაშინაც კი, თუ რეზიდენტი არ ხართ. თანაც, ამ დროს ქონების ღირებულების მხოლოდ 6-დან 11 პროცენტის გადახდა მოგიწევთ.

ასე რომ, შეგიძლიათ, აზიის ამ საქმიან სამოთხეს თამამად მიაშუროთ, მშვენიერ სუბტროპიკულ ზონაში ცხოვრებით ისიამოვნოთ და საკუთარი ბიზნესი ამ აყვავებულ რეგიონში ააწყოთ.

# Hummer-ის H1 მოდელის ავტომობილებს აღარ გამოუშვებს

კომპანია Hummer-ის ხელმძღვანელობა Hummer-H1 მოდელის ავტომობილების წარმოების შეწყვეტას აპირებს. ავტობიზნესის წარმომადგენლებისთვის ეს ინფორმაცია ახალი აღარ არის. ამ მოარულ ხმებს კომპანიის ახალი შეფი მარტინ ულოში ოფიციალურად არ ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ კომპანიის მიერ აღნიშნული ავტომობილების წარმოების შეწყვეტა გამორიცხული სულაც არ არის. მისივე ინფორმაციით, კომპანია, Hummer H1-ის



ნაცვლად, Hummer H2-ის მოდელის ავტომობილს გამოუშვებს. სპეციალისტები აცხადებენ, რომ აღნიშნული მოდელის ავტომობილებზე მოთხოვნილება შედარებით ნაკლებია, რაც მისი წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. Hummer-ი წელიწადში დაახლოებით 400 ასეთ ავტომობილს აწარმოებს და მათი ღირებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში 140 ათასს დოლარია.

შეგახსენებთ, რომ კომპანია, ამ ეტაპზე, სამი სახის ავტომობილს აწარმოებს - Hummer H1-ს, ახალ და უფრო კომპაქტურ Hummer H2-ს და Hummer H3-ს, რომელიც Chevrolet Colorado-ს ბაზაზეა აწყობილი.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ ზრდაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გუშინწინდელი ტენდენცია გაგრძელდა და ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ნავთობის ისევ გაძვირების მიუხედავად, ინვესტორთა განწყობაზე კვლავ დადებითად იმოქმედა ამერიკის ეკონომიკის ზრდის შესახებ გუშინწინ გავრცელებულმა ინფორმაციამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წამყვანი ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია Verizon Communications-ის და აშშ-ს სიდიდით მეორე საერთაშორისო კავშირის ოპერატორის MCI Inc-ის უახლოეს მომავალში დაგეგმილი შერწყმის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ. გარიგების ღირებულება ჯერჯერობით უცნობია.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,25 პროცენტით, 11.371,62 პუნქტამდე მოიმატა, 0,25 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.310,46 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-ი 0,31 პროცენტით, 1.309,28 პუნქტამდე გაიზარდა.










## ნავთობი ისევ ძვირდება

მცირეოდენი შესვენების შემდეგ, გუშინ ნიუ იორკის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე კვლავ ნავთობის ფასის ზრდა დაფიქსირდა. ამის მიზეზი გახდა ბოლივიის პრეზიდენტის მიერ ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ გაკეთებული განცხადება, ოპოზიციონერ მებრძოლთა ახალი აქცია ნიგერიაში, ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული დაძაბული მდგომარეობა და იტალიაში კომპანია ERG-ის კუთვნილ, დღეღამეში 160 ათასი ბარელის წარმადობის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარი ხანძარი, რომელმაც მისი გაჩერება გამოიწვია.

საბოლოოდ, Brent-ის მარკის 1 ბარელი ნავთობის ფასმა 74,17 დოლარს მიაღწია, Light-ის მარკის 1 ბარელი ნავთობი კი 73,72 დოლარამდე გაძვირდა. შესაბამისად, მოიმატა "ოპეკის კალათის" ფასმა, რომელმაც ბარელ ნავთობზე 66,22 დოლარს მიაღწია. თუმცა, ეს მაჩვენებელი შორს არის მიმდინარე წლის 24 აპრილს დაფიქსირებული აბსოლუტური რეკორდისაგან, როცა "ოპეკის კალათა" 67,37 დოლარამდე გაძვირდა.

## ბოლივიური ნავთობი სახელმწიფოსია

ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ქვეყნის ნავთობისა და გაზის მოპოვების ნაციონალიზაციის პირველი ეტაპის დაწყების შესახებ განცხადება გააკეთა. მისი ბრძანებით, ამიერიდან, ბოლივიაში მომუშავე ყველა ადგილობრივი და უცხოური ფირმა ვალდებულია, მათ მიერ მოპოვებული ნავთობი და გაზი სახელმწიფო კომპანია Yacimientos Petroliferos Fiscales Bolivianos-ს მიჰყიდოს.

ბოლივიის მთავრობის გეგმის მიხედვით, შემდეგი ეტაპი ნავთობის მრეწველობის მთელი კერძო სექტორის, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციისას წარმოიშვა, ნაციონალიზაცია იქნება.

ქვეყნის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ბოლივიელ ხალხს საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრის დაბრუნება მიულოცა და, თანაც, უცხოური კომპანიები გააფრთხილა, რომ თუ ისინი ახალ წესებს არ დაემორჩილებიან, ბოლივიიდან გაპანღურებული იქნებიან. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ბოლივიაში მოღვაწეობს ისეთი მსხვილი უცხოური კომპანიები, როგორებიცაა: ბრიტანული British Gas და British Petroleum, ფრანგული Total, ესპანური Repsol YPF და ბრაზილიური Petroleo Brasileiro SA (Petrobras).

## Hyuindai-ის ხელმძღვანელი დააპატიმრეს

სამხრეთ კორეაში, ავტოკონცერნ Hyuindai-ის ხელმძღვანელი ჩონ ონ კუ დააპატიმრეს. სასამართლომ ავტომწარმოებელი კოლოსალური თანხების უკანონო მითვისებასა და გაფლანგვაში დაადანაშაულა. Hyuindai-ის ხელმძღვანელი სასამართლოს ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ უდანაშაულოა. პროკურორები ახადებენ, რომ დამნაშავე ბიზნესმენს ქალაქ სეულის წინასწარი გამოძიების იზოლატორში გადაიყვანენ, სადაც ის გამოძიების შეკითხვებს უპასუხებს. სამხრეთ ჩინეთის კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული პროცედურა 20 დღის მანძილზე გასტანს. ამის შემდეგ კი ბრალდებულს ბრალს ოფიციალურად წაუყენებენ.

## საქართველოს მთავრობა რუსული ლუდის იმპორტის აკრძალვას არ აპირებს

საქართველოს მთავრობა რუსული ლუდის იმპორტის აკრძალვას არ აპირებს. ამის შესახებ გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველო რუსეთის საპასუხოდ არ მიიღებს "უაზრო პოლიტიკურ და უსამართლო" გადაწყვეტილებას და რუსეთის პროდუქციის იმპორტს არ აკრძალავს. **"ამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ სტანდარტებზე დაყრდნობით მივიღებთ და რუსეთს არ დავემსგავსებით,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. მისივე თქმით, რუსული ლუდის იმპორტის აკრძალვის საკითხი მთავრობაში არც კი განიხილება. **ინტერპრესნიუსი**

## "საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ" ხელშეკრულება გაფორმდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ხვალ, ბრიუსელში საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის "საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ" ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, ამ შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის "საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმებები ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვა. კერძოდ, ევროგაერთიანების წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში, მეორე წევრი ქვეყნის მიერ დაფუძნებული საჰაერო გადამზიდველი უკვე შეუზღუდავად დაიშვება საქართველოს ავიასივრცეში და მათი ლიცენზირება ევროგაერთიანების კანონების მიხედვით მოხდება.

**"ეს გადაწყვეტილება საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს საავიაციო სფეროს განვითარებისა და ფრენების სიხშირის გაზრდისთვის,"** - აცხადებენ სამინისტროში.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული შეთანხმება არ იმოქმედებს საქართველოს საჰაერო გადამზიდველების მიმოსვლის ბალანსზე და უფლებებზე - ის წარმოადგენს "საჰაერო მიმოსვლის შესახებ" ორმხრივი ხელშეკრულებების დამატებას და მათში არსებული სხვა დებულებები შესწორებებსა და ცვლილებებს არ საჭიროებს. ევროგაერთიანების მხრიდან შეთანხმებას ხელს მოაწერს ევროკომისარი ტრანსპორტის დარგში ჟაკ ბარო. **ინტერპრესნიუსი**

## "ელექტროკავშირისა" და ბათუმის პორტის პრივატიზაცია ფინიშს უახლოვდება

**"ელექტროკავშირისა" და ბათუმის პორტის პრივატიზაციაში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება სრულდება,"** - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე დღეს განაცხადა. მისი თქმით, დასასრულს უახლოვდება "თბილგაზის" გაკოტრების პროცესიც. **"ეს ყველაფერი კი საქართველოს მთავრობის უახლოესი პერიოდის ამოცანებია,"** - განაცხადა მან. ნოღაიდელმა ეკონომიკურ გუნდს მიმართა, მაქსიმალურად მობილიზებულად იმუშაოს აღნიშნული პროცესის მოსამზადებლად.

**"ვიდრე "თბილგაზის" გაკოტრების პროცესი დასრულდება, "თბილგაზს" მივცეთ დავალება, რომ ტარიფის გაზრდა 1 მაისიდან დაიწყოს და არა მანამდე. მაისის დასაწყისამდე გახარჯულ გაზზე ძველი ტარიფი უნდა შენარჩუნდეს,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, მექანიზმები ბიუჯეტიდან სუბსიდირებისათვის უკვე შემუშავებულია. სუბსიდიას მოსახლეობის ის კატეგორია მიიღებს, რომელიც განსაკუთრებულად გაჭირვებულია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "თბილგაზის" გაკოტრების პროცესი 12 მაისს დასრულდება

"თბილგაზის" გაკოტრების პროცესი 12 მაისს დასრულდება, რის შემდეგაც მის პრივატიზაციაზე განაცხადების მიღება დაიწყება, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სამშაბათს მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, საწარმოს პრივატიზაციით "ყაზმუნაიგაზი"-ს შვილობილი კომპანია არის დაინტერესებული, რომელთანაც გარკვეული მოლაპარაკებები შედგა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრისას ნოღაიდელმა არ დაადასტურა ინფორმაცია საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართებით საპასუხო ეკონომიკური ზომების მიღების თაობაზე, კონკრეტულად რუსული ლუდის იმპორტის აკრძალვაზე. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო ასეთი სახის უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილებას არ მიიღებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 3/05 | 4/05 | 5/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 21 | 18 | 17 |
| რიგა | 17 | 19 | 18 |
| ვილნიუსი | 13 | 15 | 12 |
| მოსკოვი | 20 | 19 | 16 |
| მინსკი | 16 | 17 | 17 |
| პარიზი | 21 | 23 | 22 |
| რომი | 23 | 24 | 22 |
| ლონდონი | 19 | 18 | 19 |
| მადრიდი | 24 | 21 | 24 |
| ბონი | 23 | 23 | 22 |
| ვარშავა | 16 | 16 | 16 |
| ათენა | 19 | 16 | 17 |
| ბერნი | 22 | 25 | 21 |
| ამსტერდამი | 14 | 16 | 17 |
| ოსლო | 8 | 12 | 16 |
| ანკარა | 19 | 20 | 21 |
| ვარნა | 13 | 16 | 14 |
| დელი | 46 | 48 | 48 |
| ტოკიო | 25 | 25 | 25 |
| კოპენჰაგენი | 9 | 13 | 13 |
| ბაქო | 16 | 21 | 20 |
| ერევანი | 25 | 25 | 26 |
| ასტანა | 12 | 1 | 1 |
| ჰელსინკი | 12 | 16 | 15 |
| დუბლინი | 8 | 6 | 7 |
| ლისაბონი | 22 | 22 | 20 |
| პრაღა | 17 | 16 | 15 |
| სოფია | 10 | 16 | 15 |
| ბუდაპეშტი | 18 | 16 | 20 |
| ბუხარესტი | 18 | 23 | 19 |

# აჭარკოოპკავშირმა თავისი და მეპაიეების ქონება სახელმწიფოს გადასცა

ემზარ დიასამიძე

*აჭარკოოპკავშირის გამგეობამ თავისი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ დადგენილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება ისე იქნა მიღებული, რომ ათასობით მეპაიესთვის ამის შესახებ არავის უცნობებია. მეპაიეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ეს ხელისუფლების ზეწოლის შედეგად გააკეთა. ამის შესახებ არაოფიციალურად აჭარკოოპკავშირშიც ლაპარაკობენ.*

პროფკავშირების შემდეგ ხელისუფლება ცეკავშირის ქონებითაც დაინტერესდა. ამის მიზეზი 3 მილიონ ლარზე მეტი დავალიანებაა, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციას ბიუჯეტის მიმართ აქვს. თავისი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება უკვე აჭარკოოპკავშირმაც მიიღო, რომლის საბიუჯეტო დავალიანება 600 ათას ლარს აღემატება. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ გადაწყვეტილებებს აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეპაიეთა მიზანმიმართული ძარცვა ხდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ექსპერტთა კავშირის" თავმჯდომარის, თამაზ ცინცაძის განცხადებით, აჭარკოოპკავშირის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა, რომელიც კერძო საკუთრებაა, არასწორად ხდება: "აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელობამ, კანონის დარღვევით, ხელისუფლების მოთხოვნა შეასრულა და თავისი ქონება სახელმწიფოს გადასცა. როგორც ჩანს, აჭარკოოპკავშირის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას რაღაც ცოდვებისა ეშინია, მას ხელისუფლება დაჭერით აშანტაჟებს და ამგვარ გადაწყვეტილებას აღებინებს," - აცხადებს ცინცაძე. მისი ინფორმაციით, ჯერ კრებები რაიკოოპკავშირებში ჩაატარდა და იქ იქნა ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული, ხოლო შემდეგ ანალოგიური რამ აჭარკოოპკავშირმაც გაიმეორა. ცინცაძის განცხადებით, კრებები დახურული იყო და მეპაიეთა უმრავლესობამ ამის შესახებ არაფერი იცის.

იურისტი ნოდარ დიასამიძე, რომელსაც მეპაიეთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით არაერთი პროცესი ჰქონია, აცხადებს, რომ მათი უფლებების იგნორირება ხდება. "კომუნისტების დროს სოფელში, ვინც განვადებით რაიმე ნივთს შეიძენდა, მას კოოპკავშირში აწევრიანებდნენ (წინააღმდეგ შემთხვევაში, განვადებას არ გაუფორმებდნენ). ასეთ მეპაიეთა რიცხვი ძალზე დიდია, მაგრამ ისინი დღეს არსად არ არიან დაფიქსირებულნი. ახლა აჭარკოოპკავშირში მხოლოდ ათასზე მეტი კაცია აღრიცხული. ეს, ვინც აქტიური მეპაიეა, ანუ 1990 წლის მერე აქვს ამ გაერთიანებაში ფული შეტანილი. ახლა, როცა აჭარკოოპკავშირის ქონების სახელმწიფოზე გადაცემა ხდება, მეპაიეებს შენატანებს არავინ აუნაზღაურებს. ჩემი ერთ-ერთი კლიენტის სასარგებლოდ სასამართლომ აჭარკოოპკავშირს რამდენიმე ათასი ლარის გადახდა დააკისრა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, სააღმსრულებლო ბიურო ქონებას ყადაღას არ ადებს. ჩვენი ინფორმაციით, ეს მათ ზემოდან აქვთ დავალებული."

აჭარკოოპკავშირის ერთ-ერთი მეპაიე, თენგიზ თავდგირიძე აცხადებს, რომ ორგანიზაციაში, დიდი ხანია, გაურკვევლობაა: "1992 წელს 5 ათასი მანეთი შევიტანე. ამ ბოლო წლებში რამდენჯერმე მივმართე რაიკოოპერატივს, რომ ჩემი დივიდენდების რაოდენობა განესაზღვრათ, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიმიღია. ჩემისთანა აქ ძალიან ბევრია." მეპაიე ზურაბ სირაბიძეს კი იმ პერიოდში 15 ათასი მანეთი აქვს შეტანილი. მისი განცხადებით, აჭარკოოპკავშირი მსხვილ მეპაიეებს ბათუმში ბინებით უზრუნველყოფით ახალისებდა. მისთვის დღემდე არც ბინა მიუცია არავის და, როგორც ჩანს, არც კუთვნილ პაის დაუბრუნებენ. მეპაიე ვლადიმერ გოგიტიძის განცხადებით კი, აჭარკოოპკავშირმა მეპაიეთა სიიდან ათასობით ადამიანი უცერემონიოდ ამოიღო, ხოლო ვინც დარჩა, არც მათ აგდებს სათვალავში. "წლების განმავლობაში ათას კაცამდე მარტო მე გავაწევრიანე, მაგრამ დღეს არავინაა დაფიქსირებული. მხოლოდ აქტიური, მსხვილი მეპაიეები ფიქსირდებიან. საბოლოოდ, ლიკვიდაციის შესახებ კრებები ისე ჩატარდა, ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. აჭარკოოპკავშირში კრების შესახებ შევიტყვეთ და მივედით, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა ოქმში არ დაუფიქსირებიათ. მე 1990-1992 წლებში 32 ათასი მანეთი მაქვს შეტანილი და თუ ქონება სახელმწიფოს გადაეცემა, მე ვინ დამიბრუნებს ჩემს წილს?!"

არასამთავრობო ორგანიზაცია "ანტიკორუფციული საბჭოს" ხელმძღვანელი, ლადო მგალობლიშვილი აჭარკოოპკავშირის გადაწყვეტილებაში კანონდარღვევებს ხედავს. "როცა ორგანიზაციას ათასობით მეპაიე ჰყავს, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იგი სააქციო საზოგადოება უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, როცა საკუთარი ქონების გასხვისებასა და ლიკვიდაციაზე მიდის საუბარი, მეპაიეთა საერთო კრება უნდა ჩატარდეს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღება. აქ კი ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ხელმძღვანელი რგოლების მიერაა მიღებული, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ."

ამ საკითხის გამო თავად აჭარკოოპკავშირშიც შეწუხებულები არიან, თუმცა ოფიციალურად საუბარს გაურბიან. არაოფიციალურად კი ასეთი გადაწყვეტილების მოტივად სახელმწიფოს სურვილს ასახელებენ. "გვითხრეს, თქვენ ამ ქონებას ვერ უვლით, ამიტომ ჩვენ გადმოგვეცით და მას ჩვენ უკეთ მოვუვლითო." აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელს შოთა ჭურკვეიძეს კი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვერ დავუკავშირდით.

# "Moody s Investor Service"-ი "საქართველოს ბანკის" კრედიტუნარიანობას მაღალი სარეიტინგო მაჩვენებლებით აფასებს

ნინო ნარჩემაშვილი

*რამდენიმე კვირის წინ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "Fitch"-ის მიერ "საქართველოს ბანკისათვის" ოთხი მნიშვნელოვანი სარეიტინგო მაჩვენებლის მინიჭების შემდეგ, მეორე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "Moody's Investor Service"-ი "საქართველოს ბანკის" საქმიანობას B3/ NP უცხოური ვალუტის, Baa3/P-3 ადგილობრივი ვალუტის და E+ ფინანსური სიძლიერის რეიტინგების მინიჭებით აფასებს. სარეიტინგო სააგენტოები "საქართველოს ბანკის" სარეიტინგო მაჩვენებლების ცვლილებებს ახლო მომავალში არ მოელიან. "საქართველოს ბანკი" არის პირველი კომპანია საქართველოში, რომელიც Moody's საეთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ შეაფასა.*

რას წარმოადგენს რეიტინგის აღნიშნული მაჩვენებლები და რატომ დაიმსახურა ისინი "საქართველოს ბანკმა"? "Moody's"-ის შეფასებით, "საქართველოს ბანკი", რომლის საბაზრო წილი (2006 წლის 1 მარტის მონაცემებით) დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს, მთლიანი აქტივები კი (2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) 257 მილიონი აშშ დოლარია, პირველ რიგში, საუკეთესოდ აკონტროლებს რისკებს, რასაც ნებისმიერი ბანკის წარმატებული საქმიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. რაც შეეხება უშუალოდ B3, Baa3/P-3 და E+ რეიტინგებს, მათივე განმარტებით, B3 რეიტინგი განსაზღვრავს "საქართველოს ბანკის" დეპოზიტების დაბალ რისკიანობას უცხოურ ვალუტაში, რასაც, პირველ რიგში, განაპირობებს ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ამ მაჩვენებლის შემდგომი გაუმჯობესება შესაძლებელი ხდება მხოლოდ საერთო ეკონომიკური გარემოს შემდგომი გაუმჯობესების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ "საქართველოს ბანკი"-სათვის მინიჭებული Baa3/P-3 მოკლე და გრძელვადიანი ადგილობრივი ვალუტის რეიტინგი ე.წ. "საინვესტიციო რანგს" წარმოადგენს და მაქსიმალური რეიტინგია საქართველოში არსებული ბანკებისათვის. Baa3 ასახავს "საქართველოს ბანკის" მნიშვნელობას საბანკო სისტემაში E+ რეიტინგი კი განსაზღვრავს ფინანსური სიძლიერის მაჩვენებელს გარე მხარდამჭერი ფაქტორების გარეშე და "საქართველოს ბანკი"-სათვის მისი მინიჭებაც სწორედ ბანკის ფინანსური სიძლიერის დამადასტურებელია. "Moody's"-ის განმარტებით, "საქართველოს ბანკისათვის" აღნიშნული რეიტინგის მინიჭების საფუძველს არაერთი ფაქტორი წარმოადგენს. კერძოდ, ის, რომ "საქართველოს ბანკს" აქვს კარგად ცნობადი სახელი და სწორად განვითარებადი ფრანჩიზა შიდა ბაზარზე; ბანკის მუშაობამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბანკის მმართველობაში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ; "საქართველოს ბანკს" აქვს დივერსიფიცირებული და გამჭვირვალე აქციონერების სტრუქტურა, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უცხოელი ინსტიტუციონალური ინვესტორები; გააჩნია საკრედიტო და ფინანსური რისკების მართვის მკაცრი პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს აქტივების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას; გარდა ამისა, "საქართველოს ბანკს" აქვს კარგად დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი და დეპოზიტების ბაზა. აღსანიშნავია ისიც, რომ "საქართველოს ბანკის" დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების კოეფიციენტი დსთ-ს სივრცეში მოღვაწე მსგავსი მონაცემების მქონე ბანკების კოეფიციენტზე ბევრად უფრო დაბალია.

Moody's შეფასების შედეგად, საქართველოს ბანკი დღეისათვის ერთადერთი კომპანიაა ქვეყანაში, რომელსაც ორმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ მიანიჭა შეფასება. შეგახსენებთ, 2006 წლის აპრილში საქართველოს ბანკს Fitch-მა მიანიჭა B-/B- რეიტინგი.

# რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის ოპერატიული ინფორმაციით, მიმდინარე წლის აპრილის თვეში გადაზიდვის მაჩვენებელმა 2 057 596 ტონა შეადგინა, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში რეკორდულია.



გადაზიდული ტვირთიდან ნავთობი და ნავთობპროდუქტები 1 278 606 ტონას შეადგენს. აპრილის თვეში საშუალო დატვირთვამ დღე-ღამეში 68 586 ტონას მიაღწია. მიმდინარე წლის აპრილის თვის გადაზიდვის მაჩვენებელმა გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს - 557 452 ათასი ტონით, ხოლო 2004 წლისას 868 310 ტონით გადააჭარბა.

როგორც "საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს რკინიგზის მეზობელ ქვეყნებთან და გადამზიდავ კომპანიებთან კოორდინირებულმა მუშაობამ განაპირობა. საქართველოს რკინიგზაზე გადაზიდვების მსგავსი მაღალი მაჩვენებელი ბოლოს 1991 წელს დაფიქსირდა.

მიმდინარე წლის პირველი 4 თვის სატვირთო გადაზიდვის მონაცემი 7 195 487 ტონას შეადგენს და გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 2 210 816 ტონით აღემატება.

წინასაწარი პროგნოზით, შემდგომ პერიოდშიც გადაზიდვა ანალოგიური დატვირთვით გაგრძელდება, რის შედეგადაც მიმდინარე წლის გადაზიდვა, სავარაუდოდ, 22 მილიონ ტონას შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართულ ავიაბაზარზე ლატვიური და ყაზახური ავიაკომპანიები შემოდიან

ლატვიური ავიაკომპანია "ეარ ბალტიკი" პირველ რეისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამაღამ, 03.35 საათზე შეასრულებს. სწორედ ამ დროს დაეშვება თბილისის აეროპორტში ლატვიის დედაქალაქ რიგადან გამოფრენილი "ბოინგ 735". როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში განაცხადეს, "ეარ ბალტიკი" საჰაერო რეისებს რიგა-თბილისი-რიგას მიმართულებით შეასრულებს. სამშაბათს და ხუთშაბათს რეისები რიგიდან თბილისის, ხოლო ოთხშაბათს და პარასკევს - თბილისიდან რიგის მიმართულებით შესრულდება. მგზავრებს "ბოინგ 735" მოემსახურება.

მაისიდანვე ქართულ ავიაბაზარზე ყაზახური ავიაკომპანია "სკატი" შემოვა. იგი რეისებს კვირაში ორჯერ, აქტაუ-თბილისი-აქტაუს მიმართულებით შეასრულებს. მგზავრებს "ან-24" ტიპის თვითმფრინავი გადაიყვანს. ქართულ ავიასივრცეში, საჰაერო რეისების განხორციელების თხოვნით, სამოქალაქო ადმინისტრაციაში სათანადო განაცხადი სომხურ ავიაკომპანიასაც აქვს შეტანილი. თუმცა, ეს განაცხადი ჯერჯერობით განხილვის საგანია. **მედიანიუსი**

## ლონდონში საქართველოსთან დაკავშირებით ბიზნესფორუმი გაიმართება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში დაგეგმილ საერთაშორისო ბიზნესკონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს. კონფერენცია, სახელწოდებით "ინვესტ ინ ჯორჯია", ლონდონში 3-4 მაისს გაიმართება. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ღონისძიების ძირითადი თემა საქართველოში ინვესტიციის განხორციელებისა და პრივატიზაციის პროცესი იქნება. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ასევე საბანკო სექტორსა და საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, შემდგომ განვითარებასა და რეკლამირებას. საქართველოს პრემიერი ლონდონში დღეს გაემგზავრება. **მედიანიუსი**

## ფრენბურთის ფედერაცია მეღვინეებს პროდუქციის რეკლამირებას სთავაზობს

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი ქართველ მეღვინეებს თავისი პროდუქციის რეკლამირებას 4 კონტინენტზე, მსოფლიოს 13 ქვეყანაში სთავაზობს. როგორც ფედერაციაში განაცხადეს, ასეთი გადაწყვეტილება ფრენბურთის ფედერაციამ მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილის გახდა, რომ ბრაზილიელ ფრენბურთელებს რენატო კომესსა და ჟორჟი ტერსეიროს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს სახელით ასპარეზობის ლიცენზია მისცა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კახეთის რეგიონს ელექტრომომარაგების შეწყვეტა ემუქრება

კახეთის რეგიონს ელექტრომომარაგების შეწყვეტა ემუქრება, - ამის შესახებ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში (სესბ) განაცხადეს. სესბ-ის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია არ გადაიხდის მარტში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს - 250 ათას ლარს, 3 მაისის 12.00 საათიდან კახეთის რეგიონს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება.

როგორც სესბ-ში აცხადებენ, 4 მაისის 17.00 საათიდან ელექტროენერგიის მიწოდება ასევე შეუწყდება 12 არგადამხდელ ორგანიზაციას.: შპს "ამალთეას" (41 113 ლარი), შპს "კასტელი-საქართველოს" (22 265 ლარი), შპს "ავჭალას" (22 734 ლარი), სს "ელექტრომექანიკოსს (24 677 ლარი), შპს "ბარისახოს" (14 380 ლარი), შპს "იკას" (10 358 ლარი), შპს "ინვერბასკ-ჯორჯიას" (3 535 ლარი), სს "საქნავთობს" (1 801 ლარი), შპს "სამტრედიის პურის ქარხანას" (894 ლარი).

5 მაისიდან ელექტროენერგია შეუწყდებათ: შპს "ფოთის წყალკანალს" (54 002 ლარი), შპს "ინდუსტრიას"( 56 701 ლარი), შპს "წყალტუბოს ენერგიას" (53 008 ლარი). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ლუკა და მძიმე



C2

ყოველთვის ჩვეულებრივი მოკვდავი ვიყავი




C3

პირველად 30 წლის შემდეგ



C4

## "დიადორა" "ჯვაროსნებს" შემოსავს?

გუშინ თბილისს ეწვივნენ კომპანია "დიადორას" წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან მართავენ მოლაპარაკებას. მოგეხსენებათ, ამჟამად საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები კომპანია "პუმას" ფორმებით თამაშობენ, თუმცა, თუ "დიადორასთან" გამართული მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, სწორედ ეს ფირმა გახდება საქართველოს ნაკრების ტექნიკური სპონსორი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ქართველები "დიადორას" ფორმებით ითამაშებენ. გუშინ ფედერაციაში შემდგარ მოლაპარაკებას კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ჯერჯერობით არაფერი დასრულებულა. "დიადორას" წარმომადგენლები კიდევ ორ დღეს დარჩებიან თბილისში ვითარების შესასწავლად და აქტიურ მოლაპარკებას გამართავენ ქართული ფეხბურთის მესვეურებთან. გუშინ ამ ცნობილი ფირმის წარმომადგენლები "ამერისა" და "სიონის" ნახევარფინალურ მატჩსაც დაესწრნენ.

## გახოკიძე შვედეთში მკურნალობს

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური "ტვენტეს" ნახევარმცველი გოგა გახოკიძე კვლავ შვედეთში გაემგზავრა. ქართველი ფეხბურთელი სულ ცოტა ხნის წინ სტუმრობდა სკანდინავიურ ქვეყანას, სადაც მკურნალობის კურსი გაიარა. ეტყობა, პირველი ვიზიტი ტრავმის მოსაშუშებლად საკმარისი არ გამოდგა და გოგამ კიდევ ერთხელ მიაშურა შვედეთს, სადაც რამდენიმე დღეს დაჰყოფს და თავის ექიმთან კონსულტაციებს გაივლის. შეგახსენებთ, რომ გახოკიძეს ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა.

## თასი "დინამომ" მოიგო

გუშინ გაიმართა უკრაინის თასის ფინალური მატჩი, რომელში კიევის "დინამო" და ზაპოროჟიეს "მეტალურგი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი კიეველების გამარჯვებით დასრულდა. "დინამომ" კლებერის ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო უკრაინის თასი. სამწუხაროდ, უკრაინული გრანდის შემადგენლობაში არ უთამაშია ოთარ მარცვალეძეს. ზაპოროჟიული გუნდის ღირსებას კი კვირკველია და მოდებაძე იცავდნენ. მართალია, ქართველების გუნდმა თასი ვერ მოიგო, მაგრამ ფინალში თამაშით, ფაქტობრივად, დაიბევა უეფას თასის საგზური, რადგან "დინამოს" ჩემპიონობაში ეჭვი ალბათ არავის ეპარება.

## მესი ლიგის ფინალს არ ითამაშებს

"ბარსელონას" არგენტინელი ფეხბურთელი ლიო მესი ვერ შეძლებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშს. "სულ ორი პროცენტია იმის შანსი, რომ მესიმ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშოს. თუ რაიმე სამედიცინო საოცრება არ მოხდა, ლიო პარიზულ ფინალს გამოტოვებს", - აცხადებს კატალონიური გუნდის ექიმი.

## ფიფამ პროცესი წააგო

გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ ფიფას ჩამოართვა სავაჭრო ნიშან "World Cup 2006"-ის გამოყენების უფლება - ჩათვალა, რომ ეს არის უბრალოდ სიტყვათა ერთობლიობა, რომელიც მომავალ მუნდიალს აღნიშნავს. არადა, ფიფამ უკვე დაარეგისტრირა ეს სავაჭრო ნიშანი 860 სხვადასხვა ნივთისთვის. გერმანელი მოსამართლეების აზრით კი, "World Cup 2006" არ ექვემდებარება კანონს, რომელიც სავაჭრო ნიშნის დაცვას უზრუნველყოფს. სიტყვათაწყობა "World Cup 2006" სავაჭრო ნიშანს არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული სხვადასხვა ნივთებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ სავაჭრო ნიშნის გამოყენების წყალობით ფიფამ უკვე მიიღო მოგება 750 მილიონი ევროს ოდენობით, მუნდიალის დაწყების შემდეგ ეს ციფრი კიდევ გაიზრდებოდა. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის სპონსორებმა სავაჭრო ნიშან "World Cup 2006"-ის გამოყენებისთვის ფიფას უკვე გადაუხადეს ფული. გერმანიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ კი ზოგიერთმა სპონსორმა თანხის ოცი პროცენტის დაბრუნება მოითხოვა.

## მარადონა ინგლისს ქომაგობს

მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში დიდი აჟიოტაჟი ატყდა ინგლისის ნაკრების მთავარი გოლეადორის უეინ რუნის დაშავების გამო. ამ დანაკლისით შეწუხებულმა ინგლისელთა შვედმა თავკაცმა ფიფას თხოვნით მიმართა, მათთვის განაცხადის მაქსიმალურად გვიან შეტანის ნება დაერთო.

ერიქსონის ამ თხოვნას ფეხბურთის მთავარ ორგანიზაციაში გაგებით მოეკიდნენ და, შესაბამისად, ინგლისელები ნაკრების მოთამაშეთა განაცხადს მსოფლიო ჩემპიონატზე 15 მაისის ნაცვლად 9 ივნისს, პირველი მატჩის წინ შეიტანენ. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრას ინგლისელები პარაგვაის ეროვნულ ნაკრებთან გამართავენ.

თუ ისე მოხდა, რომ უეინ რუნი ვერც ამ დრომდე აღიდგენს ფორმას, ინგლისელთა თავკაცს ბოლო წუთს შეეძლება მისი შეცვლა.

რუნის ტრავმას გამოეხმაურა ლეგენდარული არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონაც, რომელიც დარწმუნებულია, რომ ინგლისელებს ჩემპიონობის ყველაზე დიდი და რეალური შანსი აქვთ.

"მჯერა, რომ რუნი მოახერხებს გერმანიაში თამაშს. ძალიან მაგარი ბიჭია და ტრავმას აუცილებლად დააღწევს თავს. საერთოდ, წლეულს ინგლისელებს თავიანთი არსებობის მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავთ. თუ მოთამაშეების გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ, მათ თავისუფლად უნდა შეძლონ წლევანდელი მუნდიალის მოგება", - დაასკვნა მარადონამ.

# ამერ-იმერული ფინალი



"ამერი" თასის ფინალშია.

მიხეილ აბაიშვილი

2 მაისი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს თბილისის "ამერის" ისტორიაში. ამ ახალგაზრდული და პროგრესირებადი კლუბის არსებობის არცთუ დიდი ხნის განმავლობაში პირველად, "ამერმა" წარმატებით დაძლია საქართველოს თასის ნახევარფინალური ეტაპი და 13 მაისს ფინალში ითამაშებს. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება ფინალური მატჩი, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: "ამერმა" ქართული საკლუბო ფეხბურთი აშკარად გააძლიერა და უმაღლეს ლიგაში ყოფნის პირველსავე წელს სერიოზული კვალიც დაამჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ კლუბს ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული და მისი კარგად მცოდნე ხალხი უდგას სათავეში, რომელიც არც ენერგიას და არც ფინანსებს არ ზოგავს, "ამერი" მალე ჩამოყალიბდება ისეთ გუნდად, რომელიც, სულ მცირე, ეროვნულ სარბიელზე, მუდმივად უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ნამდვილად არ მსურს "ამერს" თავდადება და გარჯა წყალში ჩავუყარო. ამ გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და შეუძლებელი შეძლო: კაცნაკლულმა გოლი გაიტანა და თასის ფინალში გავიდა. თუმცა, ამის მიუხედავად, აუცილებლად უნდა ითქვას: გუშინ "სიონი" ის გუნდი არ იყო, როგორსაც კახა ცხადაძემ მიგვაჩვია. პრინციპში, ეს მოულოდნელი არც იყო. ბოლნისური კლუბი ძალიან ახლოსაა ჩემპიონის ტიტულთან. დაძაბული კალენდარი, რასაც დამატებით დატვირთვად თასის თამაშებიც დაერთო, გუნდისგან უდიდეს ენერგიას ითხოვს. ის, რომ ორი კურდღლის ფუჭ დევნაზე აქცენტი არ გააკეთა, ვფიქრობ, გონივრული ნაბიჯია "სიონის" მხრიდან. ამიტომ იყო, რომ ცხადაძემ ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი დაასვენა, რაც იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ ბოლნისელთათვის უმთავრესი ეროვნული ჩემპიონატის დარჩენილი ტურების ორი მატჩია. ამ თამაშებში გუნდს ოთხი ქულა გარანტირებულ ოქროს მედლებს მოუტანს. ისიც სათქმელია, რომ ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო "სიონის" ერთბაშად თორმეტი ფეხბურთელი "ამერთან" თამაშის წინ დისკვალიფიკაციის ზღვარზე იყო. ასე რომ, ორ ფრონტზე ბრძოლის გაგრძელების შემთხვევაში დიდი იყო ალბათობა, რომ ცხადაძეს საკადრო რესურსი არ ეყოფოდა და თითქმის მოპოვებულ ჩემპიონობას ბოლო მომენტში ხელიდან გაუშვებდა.

ასეთი პრეისტორიის მიუხედავად, თამაში კურიოზულად დაიწყო. პირველივე წუთზე მასპინძელთა მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედებების გამო "ამერის" კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა და ქვაჩახიამ შეტევაში მყოფი კვიტაიშვილი წააქცია. კვარაცხელიამ უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. დარტყმის შესრულება ხუციშვილმა ითავა და "ამერის" მეკარე მოატყუა კიდეც - ქვაჩახია მარცხნივ გადახტა, ბურთი კი საპირისპირო მიმართულებით წავიდა, მაგრამ კარს საერთოდ ასცდა.

გაგრძელება C2 გვერდზე

## შევა არ იყიდება!

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი შეეცადა იმ გულშემატკივართა დამშვიდებას, ვინც ფიქრობს, რომ გუნდი ანდრეი შევჩენკოს გაყიდვას აპირებს. "აზრადაც არ მოგვსვლია ისეთ ფეხბურთელთან განშორება, როგორიც ანდრეი შევჩენკოა. ის გუნდის უპირობო ლიდერია და ჩვენი დიდი პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს. ასე რომ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ - შევას არ ვყიდით", - დააშოშმინა შავ-წითელთა ტიფოზები ვიცე-პრეზიდენტმა. "ლივორნოსთან" მოგებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის აუცილებელი იყო ამ სამი ქულის აღება და მეორე ადგილის ვადაზე ადრე განაღდება. ეს მოგვცემს იმის შანსს, რომ მომდევნო მატჩებში მაქსიმალურად დავასვენოთ ის ფეხბურთელები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უწევთ თამაში", - განაცხადა ადრიანო გალიანიმ.

## ფავორიტი ალონსოა

"უილიამ ჰილის" ტოტალიზატორის ბუქმეიქერების აზრით, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეტაპს ფერნანდო ალონსო მოიგებს. მისი მთავარი კონკურენტები კი კიმი რაიკონენი და მიხაელ შუმახერი იქნებიან. გამარჯვების ყველაზე მცირე შანსი კი სატოსა და დეს აქვთ.

## "მარლბორო" დააფინანსებს

ფორმულა 1-ის გუნდ "ფერარის" გენერალური სპონსორი კომპანია "მარლბორო" მზადაა დააფინანსოს კიმი რაიკონენისა და მიხაელ შუმახერის ხელფასები, თუ ისინი მომავალ სეზონში "წითელი საჯინიბოს" ღირსებას დაიცავენ. ამ ორი პილოტის ერთ გუნდში მოხვედრის შემთხვევაში "ფერარის" ოცნების გუნდი ეყოლება, კომპანია "მარლბორო" კი ამ სიამოვნებაში 70 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.

## მანჩინის სატრანსფერო მიზნები

მილანის "ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომელთა შეძენაც სურს. მილანელთა მთავარი მწვრთნელის თქმით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში "ინტერში" ითამაშებს კრისტიანო ლუკარელი. ამავდროულად მწვრთნელს გაცილებით მეტი ამბიციები აქვს.

"ლუკარელი კარგი ფეხბურთელია. უკვე დიდი ხანია თამაშობს უმაღლეს დონეზე. ამასთან, გეტყვით, რომ ძალიან მინდა ჩემს გუნდში ანრისა და რონალდინიოს ხილვა", - აცხადებს მანჩინი.

## კოვაჩი "ჰერტას" დატოვებს

ბერლინის "ჰერტას" ხორვატი ნახევარმცველი ნიკო კოვაჩი გუნდს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. სააგენტო როიტერის ინფორმაციით, "ჰერტას" ხელმძღვანელები კოვაჩთან კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებენ. ჯერჯერობით უცნობია სად გააგრძელებს კარიერას ფეხბურთელი, რომლის ძმაც ტურინის "იუვენტუსის" ღირსებას იცავს.

## რობენი "არისტოკრატობას" შეეჩვია

"ჩელსის" ნახევარმცველმა არიენ რობენმა განაცხადა, რომ არ აპირებს ლონდონური კლუბის დატოვებას. "მსურს, რომ გუნდისთვის უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გავხდე. ამ სეზონში ტრავმების გამო ბოლომდე ვერ შევძელი საკუთარი პოტენციალის გამოვლენა. იმედია, მომავალ წელს ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და "ჩელსის" წამყვანი ფეხბურთელი გავხდები. რაც მთავარია, მწვრთნელი მენდობა და არც მე მსურს კლუბის შეცვლა," - აცხადებს რობენი.

## ჩემპიონატს პრეზიდენტები გახსნიან

ცოტა ხანში ლატვიაში სტარტს აიღებს მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში. ორგანიზატორებმა გახსნის ცერემონიალი, ცოტა არ იყოს, ორიგინალურად დაგეგმეს. საერთოდ, გახსნის ცერემონიალი პირველი მატჩის წინ იმართება ხოლმე, ლატვიელებმა კი ეს ღონისძიება ორ ეტაპად გაყვეს. ტურნირის გახსნის ცერემონიალი ჯერ აშშ - ნორვეგიის მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გაიმართება, შემდეგ კი იმავე საღამოს ლატვიისა და ჩეხეთის ნაკრები გუნდების მატჩის წინ ტურნირის მონაწილეებს ქვეყნის პრეზიდენტი და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მიესალმებიან.

## "სპარტაკი" მწვრთნელს ეძებს

მოგეხსენებათ, მოსკოვის "სპარტაკი" მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. რამდენიმე დღის წინ თანამდებობა დატოვა ალექსანდრ სტარკოვსმა. ამჟამად რუსული გრანდის ხელმძღვანელები მთავარი მწვრთნელის ძიებით არიან დაკავებულნი. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "სპარტაკში" ოლეგ ბლოხინი დაინიშნებოდა, მაგრამ უკრაინის ნაკრების თავკაცმა ეს ცნობა კატეგორიულად უარყო. გუშინ კი რუსულმა მედიამ ახალი ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმად, "სახალხო გუნდის" მესვეურები ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზლატკო კრანჩარის გადაბირებას აპირებენ.

## ადვოკაატის არჩევანი

ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა დიკ ადვოკაატმა დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის დატოვებს კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. ჯერჯერობით უცნობია სად გააგრძელებს მუშაობას ადვოკაატი, თუმცა შეთავაზებები მას მრავლად აქვს. კერძოდ, ჰოლანდიელს რუსული "ზენიტი" ეპატიჟება, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ადვოკაატმა ნევისპირული გუნდის გაწვრთნაზე უარი თქვას და სამშობლოში დაბრუნდეს, სადაც პსვ-ს ჩაუდგება სათავეში. შეგახსენებთ, რომ ფილიპსელთა ამჟამინდელი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი უახლოეს მომავალში რუსეთის ნაკრებს ჩაიბარებს.

## სნუკერის ახალი ჩემპიონი

შოტლანდიელი გრემ დოტი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სნუკერში. ფინალში, რომელიც 35 პარტიისგან შედგებოდა, დოტმა დაამარცხა დუბაიში მცხოვრები ინგლისელი პიტერ ებდონა. აღსანიშნავია, რომ 35-დან ერთი პარტია საათი და 45 წუთი გაგრძელდა. გამარჯვებისთვის დოტმა 200 000 გირვანქა სტერლინგი მიიღო.

# ამერ-იმერული ფინალი

პირველი გვერდიდან

მომდევნო წუთებშიც უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, რომლებმაც რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს. უნდა ითქვას, რომ გუშინ "ფორტუნა" აშკარად მასპინძელთა მხარეს იყო. რამდენჯერმე "ამერი" სასწაულით გადაურჩა გოლს, ერთი-ორჯერ კი ქვაჩახიამ ითამაშა დამაჯერებლად.

41-ე წუთზე მოხდა ის, რამაც "ამერის" იმედი და ამბიცია კინაღამ საბოლოოდ წყალში ჩაყარა: სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის კვარაცხელიამ მოედნიდან გააძევა მასპინძელთა კაპიტანი დავითნიძე.



"ამერი" ფინალში "ზესტაფონს" შეხვდება.

ამის მიუხედავად, მეორე ტაიმი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. ერთი სახიფათო შეტევა მეორით იცვლებოდა და ნათელი გახდა, რომ "სიონი" დიდხანს ვერ გაუძლებდა. კვანძი 67-ე წუთზე გაიხსნა: სევასტოპულომ "სიონის" მცველების პასი ჩაჭრა, სწრაფი დრიბლინგით შეიჭრა ბობღიაშვილის საჯარიმოში და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო: 1:0. ამ ანგარიშს ფინალში მასპინძლები გაჰყავდა და "სიონის" ფეხბურთელები შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა, ამას დიდი ენთუზიაზმით და თავგანწირვით ნამდვილად არ აკეთებდნენ. "ამერმა" კი კბილებით დაიცვა თავი, სასურველი ანგარიში შეინარჩუნა და ფინალშიც ითამაშებს.

"ბოლო სამი კვირის განმავლობაში სწორედ ამ თამაშისთვის ვემზადებოდით. როგორც გამოჩნდა, ზედმეტმა პასუხისმგებლობამ ფსიქოლოგიური დაღი დაასვა ჩემს ფეხბურთელებს, რის გამოც პირველ ტაიმში ბევრს ნერვიულობდნენ, ხშირად ცდებოდნენ. ამას დაერთო დავითნიძის გაძევებაც. შესვენებაზე ბიჭებს სერიოზულად ვესაუბრე და მეორე ტაიმში სულ სხვა გუნდი გამოვიდა. ბოლომდე ვიბრძოლეთ, უმნიშვნელოვანესი გოლი გავიტანეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ. ფინალში ვართ, რის გამოც მთელი გუნდი უსაზღვროდ ბედნიერია. ჩვენი მთავარი მიზანი 13 მაისია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ და თასი მოვიგოთ", - განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გიორგი ჩიხრაძემ.

"ჩემპიონატის დაძაბულმა კალენდარმა ორ ფრონტზე ბრძოლის საშუალება პრაქტიკულად მოგვისპო. დისკვალიფიკაციის ზღვარზე მყოფი ფეხბურთელების სიმრავლემაც არჩევანის ზღვარზე დაგვაყენა. რისკი გაუმართლებელი იყო და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების დიდი ნაწილიც ამიტომ დავასვენეთ. აქცენტი ჩემპიონობაზე გვაქვს გადატანილი, რაშიც ვერავინ გაგვამტყუნებს. ვულოცავ "ამერს" ფინალში გასვლას. ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ - ჩემპიონები გავხდეთ", - აღნიშნა კახა ცხადაძემ.

მეორე ნახევარფინალურ მატჩს უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა. "ზესტაფონმა" პირველ მატჩში სტუმრად შეძლო "ვიტ ჯორჯიას" დამარცხება 2:1 და პრაქტიკულად გადაწყვიტა ფინალში გასვლის საკითხი. ზესტაფონელებმა გუშინაც გაიმარჯვეს, ამჯერად უფრო სოლიდური ანგარიშით - 3:1 და ზედიზედ მეორედ გავიდნენ დავით ყიფიანის თასის ფინალში.

ფინალური მატჩი ქართული ფეხბურთისთვის ისტორიულ დღეს, 13 მაისს გაიმართება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე.

**საქართველოს თასის საპასუხო განმეორებითი მატჩი**
**(პირველი შეხვედრა 0:0)**
**ამერი - სიონი 1:0 (0:0)**

**ამერი:** ქვაჩახია, დავითნიძე, ელბაქიძე, ხვადაგიანი, კვახაძე (ნიკოლაიშვილი, 46`), დობროვოლსკი, დოლიძე, ბოლქვაძე (დეკანოსიძე, 80`), სევასტოპულო, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (ზერიანიძე, 46`).

**მთავარი მწვრთნელი** გიორგი ჩიხრაძე.

**სიონი:** ბობღიაშვილი, ჭელიძე, ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, კობაური, სვანიძე, ტაბატაძე, ალავიძე (თედორაძე, 46`), კვიტაიშვილი, ხუციშვილი, ქარდავა.

**მთავარი მწვრთნელი** კახა ცხადაძე.

**გოლი:** 1:0 სევასტოპულო 67`.

**გაფრთხილება:** ქვაჩახია, ტაბატაძე.

**გაძევება:** დავითნიძე (41`).

# ლუკა და მძიმე



კურტანიძემ გაცალოვთან (96კგ.) ორთაბრძოლის პერსპექტივა გოგშელიძეს გადაულოცა.

გიგა გურასაშვილი

ლუკა კურტანიძეზე ბევრის თქმაც შეიძლება და არაფრის თქმაც. მასზე შთაბეჭდილების შესაქმნელად ტიტულების ჩამოთვლაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ დღეს ამას არ ვაპირებთ. ევროპის ჩემპიონატზე ქართველი ფალავნის მძიმე წონაში შემდგარ დებიუტზე გვინდა ვთქვათ, რაც ქართველი გულშემატკივრისთვის ალბათ უფრო საინტერესოა. გთავაზობთ ინტერვიუს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელთან და ევროპის ხუთგზის ჩემპიონთან ლუკა კურტანიძესთან.

**- როგორია მძიმე წონა, აქაც შეძლებ წარმატების მიღწევას?**

- მართალი გითხრათ, ყველაფერი ერთბაშად არ მომხდარა. მძიმე წონაში გადასვლამდე კარგა ხანს ვფიქრობდი. გავითვალისწინე სხვათა აზრიც. რჩევა ვკითხე მათ, ვისაც ჭიდაობისა და მძიმე წონის ესმის. მერე ორი-სამი თვე ვაკვირდებოდი საკუთარ თავს. როდესაც მივხვდი, რომ აქაც შემეძლო ჭიდაობა, საბოლოოდ გადავწყვიტე წონა შემეცვალა. საკუთარი თავის რწმენა რომ არ მქონოდა, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი.

**- ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე თუ ფიქრობდი, რომ სამეულში შეხვიდოდი, იმის გათვალისწინებით, რომ მძიმე წონაში უნდა გქონოდა დებიუტი?**

- წარმატების იმედი ნამდვილად მქონდა. მძიმე წონაში აქამდეც გამოვსულვარ, მაგრამ ის არაოფიციალური შეჯიბრებები იყო. გერმანიაში, როცა რუკენვალის კლუბის ღირსებას ვიცავდი, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემთვის ჩვეულ 96 კგ წონაშიც გამოვდიოდი და მძიმეშიც. რუკენვალის კლუბის სახელით 60 ორთაბრძოლა მაქვს ჩატარებული, ნახევარი სწორედ მძიმე წონაზე მოდის. თუმცა, საკლუბო ასპარეზობათა ფორმატი მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისგან ძალზე განსხვავდება. მაგალითად, კლუბში კვირაში ერთი დღეა საასპარეზოდ, სხვა შეჯიბრებებზე კი დატვირთვა გაცილებით მეტია.

**- წონაში ასეთი მკვეთრი ცვლილება ძნელი არ არის?**

- 96-დან 100 კილოგრამამდე დიდი სხვაობა არ არის. ახლა თითქმის 101 კილოგრამს ვიწონი, რაც მძიმე წონაში გამოსვლის საშუალებას მაძლევს. ისეთი წონაა, რომ ორივესთან ახლოს ვარ. ოთხი-ხუთი კილოგრამის დაკლების შემთხვევაში ძველ კატეგორიას დავუბრუნდები, რასაც არ ვაპირებ. მე მძიმე წონაში ვიპოვე ჩემი ადგილი.

**- შენი ახალი მეტოქეები გაცილებით დიდი კალიბრისანი - უფრო მაღლებიც არიან. ეს არ გიქმნის პრობლემას?**

- ის, ვინც ახლა მძიმე წონაშია, ჩემზე 20-25 კილოგრამით მძიმეები არიან, რაც მძიმე კატეგორიისთვის ჩვეული წონაა.

რაც შეეხება სიმაღლეს, ამასთან დაკავშირებით მეც მაქვს ჩემი პლუსები. უფრო სწორად, ჩემი ტანმორჩილობა უხერხულ მეტოქედ მაქცევს.

**- ესე იგი, ამ წონაში დარჩენას აპირებ...**

- შესაძლოა, ჩემი გადაწყვეტილება ბევრს ეწყინა კიდეც, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ქვეყნის ღირსებას...

**- ალბათ საქართველოს ნაკრების კანდიდატებს და უკვე შენს კონკურენტებს გულისხმობ...**

- ბევრი ფიქრობს, რომ მძიმე წონაში გადასვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. თუ ვინმეს თავის გამოჩენა უნდა, ჯერ მე უნდა ჩამომიშოროს გზიდან. მაგრამ ვფიქრობ, გაუჭირდებათ.

მძიმე წონაში გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი გიორგი გოგშელიძეც იყო. უფრო სწორად, გოგშელიძე 96 კგ. წონაში ანგარიშგასაწევი ძალა იყო. უსამართლობა იქნებოდა, ერთმანეთისთვის რომ გაგვეწია მეტოქეობა. თან რუსეთის სახელით გამოსვლაზე უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნდა. ესეც დასაფასებელია.

**- ერთი სიტყვით, გადაწყვეტილება საბოლოოა...**

- ყოველ შემთხვევაში, წლეულს მძიმე წონაში ვიქნები. მერე ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**- ადრე თქვი, 2006 წელი გარდამტეხი იქნება ჩემთვის - ან ჭიდაობაში დავრჩები, ან კარიერას დავასრულებო. ასე რომ, შეიძლება ითქვას: საჭიდაო ხალიჩაზე რჩები. პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც გამოხვალ?**

- ალბათ, დავრჩები და ალბათ პეკინშიც წავალ. ჯერჯერობით ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, ძალა და ჭიდაობის სურვილი ჯერ კიდევ მაქვს.

**- შენი მთავარი მეტოქეები ვინ იქნებიან?**

- მსოფლიო მასშტაბით მოწინააღმდეგეებს კუბელ როდრიგესში, უზბეკ ტაიმაზოვში და რუს კურამაგომედოვში ვხედავ (მოსკოვში ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე კურტანიძეს პირველ წრეში კურამაგომედოვი შეხვდა. თავიდან უგებდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც რუსმა გაიმარჯვა, რომელიც მერე ჩემპიონიც გახდა. კურტანიძემ მესამე ადგილი დაიკავა.-რედ.). არიან უნგრელი, რუმინელი და თურქი მოჭიდავეებიც, მაგრამ ძირითადი ორთაბრძოლები მაინც პირველ სამეულთან მომიწევს.

**- მსოფლიო ჩემპიონატამდე საკმაო დროა, მანამდე რას აპირებ?**

- წლეულს ბაქოში პირველად თამაშდება ოქროს გრან-პრი, რომელზე ასპარეზობის ლიცენზიაც მაქვს. გრან-პრის ტურნირზე ადრეც გამოვსულვარ, მაგრამ ბაქოს ტურნირი რანგით გაცილებით მეტია. იქ მხოლოდ უძლიერესი მოჭიდავეები გამოვლენ. მათ შორის მეც ვარ მიწვეული. თუ საჭირო გახდა და ფედერაციამ გადაწყვიტა, თბილისის საერთაშორისო ტურნირზეც გამოვალ.

## ინფოთეკა

### მარტინამ გამარჯვებით დაიწყო

ვარშავაში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 600 000 დოლარია, შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა პირველივე წრეში შეძლო რუსი მარია კირილენკოს დამარცხება. ჰინგისმა ორ სეტში იმარჯვა - 7:5 7:6. ამავე ტურნირში რუსეთის სახელით მოასპარეზე ანა ჩაკვეტაძემ პირველ წრეში სერბი ელენა იანკოვიჩი დაამარცხა.

### 50 მილიონი ახალი ფეხბურთელებისთვის

იტალიური კლუბი "პალერმო" 50 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. ეს სეზონი სიცილიური კლუბისთვის წარმატებული აღმოჩნდა და "პალერმოს" მესვეურებს სამომავლოდაც დიდი გეგმებით აქვთ. გუშინ კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპერონიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ზაფხულში გუნდის გასაძლიერებლად 50 მილიონ ევროს დახარჯავს.

### ჯიროზე საუკეთესოები იასპარეზებენ

6 მაისს სტარტს აიღებს "ჯირო დ'იტალია". როგორც მოსალოდნელია, წლევანდელი ჯირო წინამორბედებზე საინტერესო იქნება. უცხოური სააგენტოების ცნობით, ამჯერად სეზონის ერთ-ერთ უმთავრესი ველორბოლისთვის ყველა საუკეთესო სპორტსმენმა მოიცალა. იან ულრიხმა, ივან ბასომ, კარლოს სასტრემ, ბობი ჯულიჩიმა, პაოლო სავოლდელიმ და ვიაჩესლავ აკიმოვმა უკვე განაცხადეს თანხმობა ჯიროში მონაწილეობაზე.

### შაკი და კობი კვლავ ერთად

შაკილ ო`ნილი და კობი ბრაიანტი შერიგდნენ. შეგახსენებთ, რომ "შაკმა" სწორედ "კობისთან" უთანხმოების გამო დატოვა "ლეიკერსი" და, როგორც ამბობდნენ, ორი სუპერვარსკვლავი უმძრახადაც კი იყო.

გუშინ კი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ორივე კალათბურთელს ფაქტობრივად ერთდროულად შეეძინათ ბავშვები. მართალია შაკის ქალიშვილი მაიამიში დაიბადა, კობი ბრაიანტისა კი - ლოს ანჯელესში, მაგრამ ამ ფაქტმა ორი ვარსკვლავი შეარიგა. შაკილმა ყოფილ თანაგუნდელს დაურეკა და მიულოცა.

# ყოველთვის ჩვეულებრივი მოკვდავი ვიყავი

დაახლოებით ერთი კვირის წინ თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საფეხბურთო კარიერას დაასრულებს.

ამ განცხადების გასაკეთებლად "ზიზუმ" სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, რომელსაც მისი ოჯახის წევრები და ახლობლებიც ესწრებოდნენ. "მე წავედი", - თქვა ზიდანმა და ამას შეკითხვების მთელი ზღვა მოჰყვა.

"მოგიწვიეთ იმისთვის, რომ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ გაცნობოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერას დავასრულებ. ამ განცხადებას ახლა ერთი მარტივი მიზეზიზის გამო ვაკეთებ. ამით მადრიდის "რეალს" მივეცმ საშუალებას მომავალი სეზონი უკეთ დაგეგმოს".

**- რას გააკეთებ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ?**

- კარიერას კი ვასრულებ, მაგრამ ფეხბურთიდან მთლიანად წასვლა არ მსურს. მინდა "რეალში" დავრჩე. ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე კლუბის ხელმძღვანელებს. მათ მეტად საინტერესო პროექტი შემომთავაზეს, რომელიც ბავშვებთან მუშაობას უკავშირდება. ვფიქრობ, თუ კლუბში დავრჩი, სწორედ ახალგაზრდებთან მექნება ურთიერთობა.

**- საცხოვრებლად ესპანეთში დარჩები?**

- კლუბში სამუშაოდ დარჩენა ჯერ კიდევ ფლორენტინო პერესმა შემომთავაზა. ახლა კი მთავაზობენ მეტად საინტერესო სამუშაოს. გარდა იმისა, რომ ბავშვებთან მუშაობის საშუალება მექნება, "რეალის" ელჩი უნდა ვიყო მთელ მსოფლიოში. არ ვიცი, ზუსტად შეეფერება თუ არა ეს სიტყვა იმ საქმეს, რისი კეთებაც მომიწევს. მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული - მინდა ბავშვები ვავარჯიშო. ცხადია, თუ სამუშაოდ კლუბში დავრჩი, მარდიდში ვიცხოვრებ, თუმცა არა მგონია, რომ დარჩენილი ცხოვრება მთლიანად მადრიდში გავატარო.

**- როგორ ფიქრობ, შეძლებს საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებას?**

- ძნელია ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა. ცხადია, მომავალი მუნდიალი ძალიან რთული იქნება. ფრანგებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ერთ, სურს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოგება და გერმანიაშიც ამ მიზნით მივემგზავრებით. კარგი გუნდი გვყავს და ვინ იცის, იქნებ კარიერა ტიტულის მოგებით დავასრულო.

**- გასულ სეზონში "რეალთან" ორი წლით გააგრძელე კონტრაქტი, ახლა ხომ არ ნანობ ამას?**

- მშვენივრად მახსოვს ის დღე. პრეზიდენტს ვუთხარი, რომ მხოლოდ ერთი სეზონით მსურდა კონტრაქტის გაგრძელება. ფლორენტინომ კი დაიჟინა, კონტრაქტი, სულ ცოტა, ორი წლით გავაგრელოთო. ეტყობა, მაშინაც ვიცოდი, რომ მხოლოდ ერთ სეზონს ვითამაშებდი.

**- თავის დროზე საფრანგეთის ნაკრებსაც დაემშვიდობე, მაგრამ შემდეგ დაბრუნდი. ახლაც იგივე ხომ არ მოხდება?**

- არა. ის სულ სხვა ვითარებაში მოხდა. მაშინ მადრიდის "რეალში" ვთამაშობდი და ნაკრებში დაბრუნებაც არ იყო პრობლემა. ახლა კი გადავწყვიტე, საერთოდ დავასრულო კარიერა. ერთადერთი რაც შემიძლია ისაა, რომ ლიცენზია მივიღო და ვითამაშო როგორც ნახევრად პროფესიონალმა სამოყვარულო დონეზე.

**- როდის გადაწყვიტე კარიერის დასრულება?**

- კონკრეტული თარიღი არ ყოფილა. ნელ-ნელა დაგროვდა. სეზონის დასაწყისში ჩემპიონთა ლიგისა და ესპანეთის ჩემპიონატის მოგებას ვგეგმავდით და არფერი გამოგვივიდა. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისად ვერ გავისარჯე - მე ხომ 20 წლის ბიჭი აღარ ვარ. ასაკი თავისას შვრება. ვგრძნობ, რომ უმაღლეს დონეზე თამაში აღარ შემიძლია. ვერც კი წარმომიდგენია, მომავალ სეზონში მინდორზე გავიდე და ზოგჯერ კვირაში სამჯერ მომიხდეს თამაში. ამას უკვე ველარ გავუძლებ.

**- ამ სეზონში "რეალს" ჩემპიონთა ლიგა ან ესპანეთის ჩემპიონატი რომ მოეგო, კარიერას არ დაასრულებდი?**

- როდესაც იგებ, თამაშის სურვილი თავისთავად გიჩნდება. სანამ დასახულ მიზნებს აღწევ, ყველაფერი კარგად მიდის და წასვლაზე არ ფიქრობ. ხოლო როცა აგებ... ეგ უკვე სხვა საკითხია. მარცხის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებო. გამოგიტყდებით, თავადაც არ მომწონს როგორ ვათამაშობ ბოლო ორი სეზონის მანძილზე.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე თუ იგრძნობ, რომ ძალიან კარგად თამაშობ....**

- უდიდესი მოტივაცია მაქვს. მინდა კარიერა კარგად დავასრულო და მუნდიალი ჩემი შანსია. შევეცდები გერმანიაში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენო. ერთთვიან ტურნირს ალბათ გავუძლებ. აი, მთელ სეზონს კი - ნამდვილად ველარ.

**- რა გითხრეს შენმა შვილებმა, როდესაც ეს შეიტყვეს?**

- ისინი ყოველთვის მეუბნებიან, რომ ისე უნდა მოვიქცე, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ.

**- როგორი იქნება შენი ბოლო მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე"?**

- ძალიან ემოციური. "ვილიარეალთან" შეხვედრაში შევეცდები გულშემატკივარს გავახსენო ძველი ზიდანი, რომელიც მათ ძალიან უყვარდათ.

**- როგორც ჩანს, შენი მემკვიდრე რონალდინიო იქნება.**

- დიახ, არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც გენიალურიც კი უნდა ვუწოდოთ. მომწონს რონალდინიოს თამაშის ყურება, მე მისი ფეხბურთი სიამოვნებას მანიჭებს. რაც მთავარია, როდესაც რონალდინიო თამაშობს, მისი შემხედვარე ბავშვები უბრალოდ ბედნიერები არიან.

**- საკმაოდ დიდხანს ითამაშე იტალიასა და ესპანეთში. უფრო მეტად რომელი ქვეყანა დაგამახსოვრდება?**

- ყველაფერი დამამახსოვრდება. მე გამიმართლა - კარიერის განმავლობაში მსოფლიოს ორ უდიდეს კლუბში მომიხდა თამაში. ეს, რა თქმა უნდა, ბედნიერებაა.

**- შენი კარიერის მწვერვალად ალბათ 1998 წელს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული უნდა ჩავთვალოთ.**

- ბევრი ტიტული მომიგია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, მწვერვალია.



"ზიზუ" წავიდა.

**- როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას თანაგუნდელები?**

- მთხოვეს არ წავსულიყავი. უნდოდათ, რომ კიდევ ერთი სეზონი მაინც ვითამაშო. როცა მათ თხოვნებს ვისმენ, თავს ცუდად ვგრძნობ, თითქოს ვღალატობ, მაგრამ ჩემი წასვლის დრო დადგა და ეს მშვენივრად მესმის.

**- ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელების თამაში გხიბლავს?**

- "ბარსელონაში" ასეთი რამდენიმეა: დეკუ, რონალდინიო და ეტოო..."არსენალიდან" სესკ ფაბრეგასი მომწონს. მას უდიდესი მომავალი აქვს. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო რიკელმეს თამაშიც.

**- გინდა, რომ "რეალმა" განსაკუთრებული გაცილება მოგიწყოს?**

- არც კი ვიცი. ჩემთვის მთავარია, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამარჯვებული ბოლო მატჩი მოვიგოთ.

**- გინდა თუ არა, რომ შენს შემდეგ "რეალში" ტიერი ანრი მივიდეს?**

- რასაკვირველია, მინდა. ტიერი გრანდიოზული ფეხბურთელია. ტყუილად ხომ არ ნადირობენ მასზე გრანდები, მაგრამ მისი ყიდვა ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**- რომელიმე სხვა გუნდში ხომ არ გინდოდა კარიერის დასრულება?**

- არა. რაც მინდოდა, სწორედ ის გავაკეთე.

**- როგორ გადაიტანს ზინედინ ზიდანი მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელობიდან ჩვეულებრივ მოკვდავამდე ჩამოქვეითებას?**

- ყოველთვის ჩვეულებრივი მოკვდავი ვიყავი და ასევე გავაგრძელებ ცხოვრებას. ალბათ ქუჩაში იშვიათად მთხოვენ ავტოგრაფს. სულ ესაა.

**- მწვრთნელობას ხომ არ აპირებ?**

- არა, მაგრამ ვინ იცის რა მოხდება მომავალში.

## ცეკვა ვარსკვლავთან

ავსტრალიური ტელეარხი Channel7 ატარებს კონკურსს სახელწოდებით "ცეკვა ვარსკვლავთან". საინტერესოა, რომ ამ კონკურსის ფინალში გავიდა ყოფილი მოკრივე, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კონსტანტინ ცზიუ, რომელმაც თავის პარტნიორ ლუდმილა კროიტორთან ერთად ნახევარფინალში მსაჯები მოხიბლა. ფინალი 9 მაისს უნდა გაიმართოს.

## წაგებაც ასეთი უნდა

ცნობილმა ამერიკელმა მეგოლფემ ჯონ დეილიმ ავტობიოგრაფიულ წიგნში აღიარა, რომ-12 წლიანი სპორტული კარიერის განმავლობაში სხვადასხვა აზარტულ თამაშებში 50-დან 60 მილიონ დოლარამდე აქვს წაგებული.

წიგნში აღწერილია ერთი ეპიზოდი, როდესაც დეილიმ სათამაშო აპარატებზე ერთი დღის განმავლობაში მილიონნახევარი დოლარი წააგო.

## ჩეხს დაასვენებენ

ლონდონის "ჩელსის" მეკარე პეტრ ჩეხი სეზონის ბოლომდე აღარ გამოჩნდება "არისტოკრატიული" გუნდის შემადგენლობაში. "ჩელსიმ" ჩემპიონის ტიტული უკვე მოიგო და სეზონის დარჩენილ მატჩებში მოურინიო მას დასვენების საშუალებას აძლევს, რათა მეკარე უკეთ მოემზადოს მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

## ლეკეტუშმა "სტიაუა" დატოვა

რუმინულ კლუბ "სტიაუას" აღმასრულებელმა დირექტორმა მარიუს ლეკეტუშმა თანამდებობა დატოვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც "სტიაუამ" უეფას თასის ნახევარფინალური დაპირისპირება დათმო ინგლისურ "მიდლსბროსთან".

აღსანიშნავია, რომ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის გადადგომის მიზეზი უეფას თასზე განცდილი წარუმატებლობა არ ყოფილა, ლეკეტუშს პანამის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ.

## პაპალუკასი საუკეთესოდ აღიარეს

მოსკოვის ცსკა-ს საკალათბურთო კლუბის ბერძენი მცველი თეოდოროს პაპალუკასი ევროლიგის ფინალების საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ ფინალურ შეხვედრაში ცსკა-მ ტელ-ავივის "მაკაბი" დაამარცხა. ამ მატჩში პაპალუკასმა თავის გუნდს 18 ქულა მოუტანა. ამასთან, ბერძენმა 3-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

## კანი ორ წელს კიდევ ითამაშებს

მიუნხენის "ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი კიდევ ორი სეზონი ითამაშებს ფეხბურთს და შემდეგ დაასრულებს კარიერას.

"მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ორი წლის განმავლობაში ვაპირებ "ბაიერნში" თამაშს. შემდეგ კი ალაბთ კარიერას დავასრულებ", - აცხადებს 36 წლის კანი, რომელიც მომავალ მუნდიალზე გერმანიის ნაკრების სათადარიგო მეკარეობას დათანხმდა. მოგეხსენებათ, კლინსმანმა თავისი არჩევანი იენს ლემანზე შეაჩერა.

## დიაბი ლიგის ფინალს გამოტოვებს

ლონდონის "არსენალს" პრემიერლიგიდან აწ უკვე გავარდნილ "სანდერლენდთან" შეხვედრაში (3:0) ნახევარმცველი აბუ დიაბი დაუშავდა. "მეთოფეთა" ფეხბურთელს მყესები დაეჭიმა და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ამის გამო დიაბას მისთვის ალბათ საოცნებო მატჩის - "ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამოტოვება მოუწევს.

გარდა ამისა, ტრავმირებული ფეხბურთელი დააკლდება საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებსაც, რომელიც 23 მაისიდან ევროპის 2006 წლის ახალგაზრდათა ჩემპიონატზე იასპარეზებს.

## ტერის "ჩელსის" დავიწყება მოუწევს

"მანჩესტერ იუნაიტედთან" მიღებული მუხლის ტრავმის გამო "ჩელსის" კაპიტანს ჯონ ტერის სეზონის ბოლომდე იძულებითი დასვენება მოუწევს. ინგლისური პრესის ცნობით, მიუხედავად ამისა, "არისტოკრატთა" თავკაცის, პორტუგალიელი ჟოზე მოურინიოს თქმით, ტერი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ფორმაში იქნება. "ტერის ჯანმრთელობა დღითიდღე უმჯობესდება. დანამდვილებით ვიცი, რომ გერმანიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფორმაში იქნება. ჩემი აზრით, ახლა ის დროა, ჯონმა "ჩელსი" მომავალ სეზონამდე დაივიწყოს და მხოლოდ გერმანიაზე იფიქროს", - განაცხადა ჟოზე მოურინიომ.

## ტიგანა ტერიმს რჩევებს არ ეკითხება

სტამბულის "ბეშიქთაშის" მთავარმა მწვრთნელმა ჟან ტიგანამ უარყო პრესაში გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, თითქოს იგი გუნდში ახალი ფეხბურთელების მიყვანის თაობაზე კონსულტაციებს გადის თურქეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ფათიჰ თერიმთან.

"თერიმთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ტრანსფერის თაობაზე თავად ვიღებ გადაწყვეტილებებს და თავადვე ვუთანხმებ გუნდის ხელმძღვანელობას. ასე რომ, ტერიმს რჩევების თაობაზე არ მივმართავ. ჩვენი მეგობრობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა წვრილმანზე მას შევუთანხმდე", - განაცხადა ტიგანამ.

## გარი ნევილი გულშემატკივრებს დაერია

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "მიდლსბროს" მატჩის (0:0) მიმდინარეობისას გარი ნევილს კინაღამ გულშემატკივარი შემოელახა. მანკუნიანელთა მცველმა ძლივს შეიკავა თავი იმ ქომაგის გალახვისგან, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა მანჩესტერელთა ცუდი თამაშის გამო.

უკმაყოფილო გულშემატკივარი და ინგლისელი ფეხბურთელი ერთმანეთის მისამართით ნასროლი მხოლოდ რამდენიმე უწმაწური სიტყვით დაკმაყოფილდნენ.

გაზეთ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში გარი ნევილმა განაცხადა: "ჩვენ, ორივე, საყვარელი კლუბისადმი საკუთარ გრძნობებს ისე გამოვხატავდით, როგორც შეგვძელო. ის იმით, რომ უკმაყოფილო იყო, მე კი - ჩემი თანაგუნდელების დაცვით. უბრალოდ, აზრთა სხვადასხვაობა იყო და მეტი არაფერი. მოკლედ, ახლა ვფიქრობ, ეჭვი აღარავის ეპარება, რომ "მანჩესტერს" მსოფლიოში საუკეთესო ფანები ჰყავს.

## ინფოთეკა

### ფრანკ ლამპარდმა "ბარსელონა" გამორიცხა

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველმა ფრანკ ლამპარდმა, მეუღლის - ელენის თხოვნის მიუხედავად, "ბარსელონაში" მისი გადასვლის ყველა შანსი გამორიცხა.

"რატომღაც ელენმა ჩათვალა, რონალდინიო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იმიტომ დასახელდა, რომ "ბარსელონაში" თამაშობს. ამიტომ გადაწყვიტა, რომ ჩემთვისაც კარგი იქნებოდა იქ თამაში. მაგრამ მე კატეგორიულ უარს ვაცხადებ "ჩელსიდან" რომელიმე კლუბში გადასვლაზე", - ამბობს ფიფას 2005 წლის №2 საუკეთესო ფეხბურთელი.

მისივე თქმით, მას ძალიან მოსწონს ესპანეთი და დიდი სიამოვნებით იცხოვრებს ამ ქვეყანაში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ბუცებს საბოლოოდ გაიხდის.

### დიეგო ლოპესი თავის შანსს ელის

მადრიდის "რეალის" სათადარიგო მეკარე დიეგო ლოპესი მზად არის იმ შანსის გამოსაყენებლად, რომელიც მას კვირის ბოლოს "რასინგთან" მატჩში მიეცემა.

ლოპესი "ოსასუნასთან" (1:0) დისკვალიფიცირებული იკერ კასილიასის ნაცვლად დაიცავს "სამეფო კლუბის" კარს.

"ეს მატჩი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარი ძალების დემონსტრირების საშუალება მომეცემა. ამიტომ ვეცდები ეს შანსი ხელიდან არ გავუშვა", - განაცხადა დიეგო ლოპესმა.

# ეტოო "ბარსელონადან" წასვლით იმუქრება

"ბარსელონას" კამერუნელი თავდამსხმელის სამუელ ეტოოს განცხადებით, იგი სულაც არ ნაღვლობს, თუ პრიმერადივიზიონის ბომბარდირთა დავაში პირველობას არ დაისაკუთრებს.

პრიმერას ბომბარდირობაში პირველობას კი ეტოოს "ვალენსიას" თავდამსხმელი დავიდ ვილა ეცილება. ორივე ფეხბურთელის ანგარიშზე 23-23 გოლია.

კამერუნელი ფეხბურთელის თქმით, მისთვის ახლა ის უფრო მთავარია, რომ კატალონიურმა გუნდმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნოს, ჩემპიონთა თასზე კი "არსენალი" დაამარცხოს.

სწორედ ამ მნიშვნელოვანი მატჩით დაიწყო საუბარი სამუელ ეტოოსთან ესპანურმა "AS"-მა:

- ჩემს ბომბარდირობაზე და დავიდ ვილას გასწრებაზე ახლა ნაკლებად ვფიქრობ. რომ მკითხოთ, არჩევანს პირად წარმატებაზე გააკეთებ თუ გუნდურზეო, დაუფიქრებლად გიპასუხებთ: ახლა ჩემი ერთადერთი საზრუნავი პრიმერასა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. გოლებიც იმიტომ გამაქვს, რომ "ბარსას" გამარჯვებაში შევიტანო ჩემი წვლილი და არა იმიტომ, რომ ბომბარდირთა ცხრილის სათავეში მოვექცე და პიჩიჩი (ესპანეთში საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი - ავტ.) დავისაკუთრო.

**- მაგრამ ფაქტია, რომ გოლების გატანის თვალსაზრისით შარშანდელთან შედარებით წლეულს უფრო შედეგიანი ხართ...**

- სეზონის დაწყების წინ საკუთარ თავს მიზნად დავუსახე, რომ შარშანდელი შედეგი გამეუმჯობესებინა. წლევანდელი სეზონი ჯერ არ დასრულებულა და უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მიზანს უკვე მივაღწიე. თუ წინა სეზონში



ეტოო ბომბარდირობაზე არ ფიქრობს.

29 გოლის გატანა შევძელი, წლეულს ამ ციფრმა უკვე 31-ს მიაღწია.

**- საკმაოდ მიზანდასახული ყოფილხართ. "სელტასთან" დღევანდელი მატჩის წინ რა დაისახეთ მიზნად?**

- რა თქმა უნდა, გამარჯვება. პრიმერას ჩემპიონობას ერთი ნაბიჯილა გვაშორებს და ეს ერთი ნაბიჯი სწორედ "სელტასთან" მოგებაა. ამიტომ ამ მატჩში თავს არ დავზოგავ და ჩემს 31 გოლს, სულ ცოტა, ერთს მაინც მივუმატებ.

**- "სტად დე ფრანსზე" რამდენი გოლის გატანას აპირებთ?**

- ჩემპიონთა ლიგა სხვა საკითხია. ფინალში თამაში დიდი წარმატებაა, მაგრამ მთავარი მისი მოგებაა და არა მარტო ფინალისტობა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, რა თქმა უნდა, პარიზში მოსაგებად და შინ თასის ჩამოსატანად ჩავდივართ.

**- ამაში დარწმუნებული ხართ?**

- პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ეს ფეხბურთია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამის მაგალითად ლიგის შარშანდელი ფინალიც კმარა, როცა "ლივერპულმა" "მილანთან" სამბურთიანი სხვაობა ამოქაჩა. მერე რაც მოხდა, ყველას კარგად ახსოვს. ასე რომ, ჩვენს სამომავლო შედეგზე ვერაფერს გეტყვით. მართალია, ჩვენ "ბარსელონა" ვართ, მაგრამ არც "არსენალია" ხელწამოსაკრავი გუნდი. ერთი სიტყვით, ყველაფერი 17 მაისს პარიზში, "სტად დე ფრანსზე" გაირკვევა.

**- იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "მილანში" აპირებთ გადასვლას...**

- არ ვიცი, იქიდან არავინ შემხმიანებია. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ესპანეთში ძალიან დავიღალე იმ რასისტული გამოხდომებით, რაც მუდმივად ისმის ჩემი მისამართით. თუ ასე გაგრძელდება, მომავალ სეზონში აუცილებლად სხვა ქვეყანაში წავალ.

## პირველი ქალი



ემანსიპაცია NBA-საც მისწვდა. ნაციონალური საკალათბურთო ლიგის არსებობის ისტორიაში პირველად ფლეიოფების მატჩი ქალმა არბიტრმა იმსაჯა. ეს პატივი წილად ხვდა 41 წლის ვაიოლეტ პალმერს.

ამ ქალბატონმა "ნიუ ჯერსისა" და "ინდიანას" შეხვედრა იმსაჯა. უკვე კარგა ხანია, რაც პალმერი რეგულარული სეზონის მატჩებს მსაჯობს, თუმცა ფლეიოფებში პირველად მიიწვიეს. თუ ამ ფოტოთი ვიმსჯელებთ, მამაკაცი კალათბურთელები ქალის მსაჯობით დიდად კმაყოფილები არ უნდა იყვნენ. თუმცა რატომ? ალენ აივერსონი ხომ არც მამაკაც მსაჯებს ინდობს და საეჭვოა, ეს მატჩი მამაკაცს რომ ემსაჯა, ყველაზე მოხულიგნო ვარსკვლავის სახეზე ღიმილი შეგენიშნათ.

## დაცუკი დაიღალა

მიუხედავად იმისა, რომ "დეტროიტმა" NHL-ის ფლეიოფების პირველივე ეტაპი დათმო, ამ გუნდის რუსი ცენტრალური ფორვარდი პაველ დაცუკი არ აპირებს დაეხმაროს რუსეთის ნაკრებს რიგაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე.

დაცუკის თქმით, რეგულარული სეზონის შემდეგ მას დასვენება სჭირდება და მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის ზედმეტი დატვირთვაა.

## ლედლი კინგი "ტოტენჰემში" დარჩა

"ტოტენჰემ ჰოთსფურზის" ცენტრალუმა მცველმა ლედლი კინგმა გუნდთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა. "ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ კინგის ხელში ჩაგდება ბევრ კლუბს სურს. ამიტომ მას კარგი პირობები შევთავაზეთ. მოხარული ვართ, რომ უარი არ გვითხრა", - თქვა "ტოტენჰემის" თავკაცმა მარტინ ჯოელმა. ინგლისის ნაკრების 25 წლის მცველის დებიუტი ახლანდელ კლუბთან საკმაოდ დიდი ხნის წინ, 1999 წელს შედგა. ამ ხნის განმავლობაში მან გუნდის შემადგენლობაში 200 შეხვედრა ჩაატარა. 2003 წლიდან კი ლედლი კინგმა "ტოტენჰემის" კაპიტნის სამკლაური მოირგო.

## ძაკერონი ინგლისში მუშაობაზე ოცნებობს

ბი-ბი-სის ინფორმაციით, იტალიური "მილანისა" და "ლაციოს" ყოფილი მწვრთნელს ალბერტო ძაკერონის დიდი სურვილი აქვს კარიერა ნისლიან ალბიონზე გააგრძელოს. სწორედ ამ მიზნით იტალიელი რამდენიმე ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა. "მართალია, ერთბაშად რამდენიმე გუნდთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული შეთანხმებისთვის არც ერთ მათგანთან არ მიმიღწევია. ამიტომ რაიმე კონკრეტულზე საუბარი ჯერ ნაადრევია, - ამბობს ძაკერონი, - ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნება, თუ სერია ა-ში მიღებულ გამოცდილებას ინგლისურ ფეხბურთს გავუზიარებ. გარდა ამისა, აღფრთოვანებული ვარ ინგლისელ ფანთა გულშემატკივრობის სტილით". იტალიელისვე თქმით, მის სურვილს კიდევ უფრო ამყარებს პრემიერლიგაში მოღვაწე არაინგლისელი მწვრთნელების - არსენ ვენგერის, რაფაელ ბენიტესისა და ჟოზე მოურინიოს წარმატებებიც, რომელთაც თავის დროზე, შესაბამისად, საფრანგეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში შეიძინეს გამოცდილება.

## "ლაციო" დი კანიოს ჰყიდის

იტალიური "ლაციოს" პრეზიდენტის კლაუდიო ლოტიტოს განცხადებით, სეზონის ბოლოს კლუბი თავის ლიდერს კლაუდიო დი კანიოს ტრანსფერზე დააყენებს. მისივე თქმით, მიუხედავად ტიფოზთა კატეგორიული მოთხოვნისა, რომ გუნდმა ვეტერანი ფეხბურთელი არსად გაუშვას, ის მაინც არ აპირებს დი კანიოს დატოვებას. "ლაციოს" პრეზიდენტი უკმაყოფილოა დი კანიოს წლევანდელი თამაშით, მიუხედავად იმისა, რომ "ლეჩესთან" მან გოლი გაიტანა.






# პირველად 30 წლის შემდეგ

"დალას მავერიქსი" და "ლოს-ანჯელეს კლიპერსი", რომლებმაც შესაბამისად "მემფის გრიზლი" და "დენვერ ნაგეთსი" დაამარცხეს, პირველი გუნდები არიან, ვინც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) დასავლეთ კონფერენციის პლეი-ოფის ნახევარფინალში გავიდნენ.

"კლიპერსი" და "დენვერი" ყველაზე არაპროგნოზირებადი წყვილი იყო პლეი-ოფში. "ნაგეთსმა" თავის სუსტ დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა, "ლოს-ანჯელესი" კი დიდ სირთულეებს წააწყდა. მოთამაშეებს სათასო მატჩების მაინცდამაინც დიდი გამოცდილება არა აქვთ. თუმცა, აქ თვალი უნდა დავხუჭოთ სემ კასელის პერსონაზე, რომელიც უკვე ფლობდა ჩემპიონის ბეჭედს. საბოლოოდ სწორედ სემ კასელმა ელტონ ბრენდისა და კორი მაგგეტის დახმარებით, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა "დენვერის" იმედები. "კლიპერსი" 1976 წლის შემდეგ პირველად ელირსა დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალს.

შორეულ 1976 წელს ჯერ კიდევ "ბუფალო ბრეივსმა", ამჟამად კი "ლოს-ანჯელეს კლიპერსმა" "ფილადელფია" დაამარცხა. თუმცა შემდგომი წინსვლა ვერ მოახერხა. მომდევნო სტადიაზე ის ლეგენდარულმა "ბოსტონ სელტიკსმა" შეაჩერა. ამჯერად "კლიპერსის" ძირითადი შემადგენლობის კალათბურთელები ფიქრობენ არ დაუშვან ძველი შეცდომები და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. "კლიპერსის" უახლოესი მეტოქე "სან-ანტონიოსა" და "საკრამენტოს" შორის გამარჯვებული იქნება.



"კლიპერსი" - "დენვერი" 101:83 (21:23, 25:17, 25:17, 30:26) სერიის ანგარიში - 4:1
"დალასი" - "მემფისი" 102:76 (26:23, 22:16, 31:22, 23:15) სერიის ანგარიში - 4:0
"დეტროიტი" - "მილუოკი 109:99 (27:20, 24:25, 23:31, 35:23) სერიის ანგარიში - 3:1

საერთოდ, თავისი 36-წლიანი არსებობის ისტორიაში "კლიპერსი" ("ბუფალო ბრეივზი", "სან დიეგო") 7-ჯერ ელირსა პლეი-ოფს. ბოლოს ლოსანჯელესელები 9 წლის წინათ გავიდნენ პლეი-ოფში, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს. ამჟამად შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

"კლიპერსმა" დიდი ოფლის ღვრით მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება. "დენვერთან" მეხუთე მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო - 6:0. თუმცა სერიის ლიდერმა შემდგომში ამ უპირატესობის გაღრმავება ველარ მოახერხა. "ნაგეთსი" 3 წუთში უკვე ძალიან მიუახლოვდა მეტოქეს და "კლიპერსის" მწვრთნელს მაიკ დანლივს წუთშესვენების აღება მოუხდა. თუმცა მწვრთნელის დარიგებებმა შედეგი ვერ გამოიღო და მასპინძლებმა პირველი მეოთხედი - 21:23 დათმეს.

გადამწყვეტი უპირატესობა "კლიპერსმა" მეორე და მესამე მეოთხედებში მოიპოვა, რომელიც ერთნაირი ანგარიშით - 25:17 მოიგო. ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტიურნი იყვნენ კორი მაგგეტი და კუტილო მობლი, რომლებმაც 23 ქულა მოაგროვეს. სანიმუშოდ გაისარჯა ელტონ ბრენდი, რომლის პირადი სტატისტიკა დაბლ-დაბლით შეივსო (21 ქულა, 13 მოხსნა). სემ კასელი მოედანზე ხშირად არ გამოდიოდა, მაგრამ თავისი 10 ქულისა და 7 მოხსნის მოგროვება მაინც მოასწრო.

თავად მატჩი - 101:83 დასრულდა და "კლიპერსმა" სერიაში - 4:1 გაიმარჯვა. "გამარჯვებათა სერია უნდა გავაგრძელოთ", - განაცხადა მობლიმ, რომლის ლაიტმოტივი სემ კასელმაც გააგრძელა. "მე ეს გუნდი წინასწარ შეკრებაზე ვიხილე. ის ისევე თამაშობდა, როგორც შარშანდელი სეზონის დიდ ნაწილს. თუმცა ამჟამად ყველაფერი შეიცვალა. ბიჭები სხვაგვარად ათამაშდნენ და იმ კალათბურთს აჩვენებენ, რომელსაც მათგან გულშემატკივარი ითხოვს", - განაცხადა "კლიპერსის" ლიდერმა.

დასავლეთ დივიზიონის მეორე ბედნიერი ნახევარფინალისტი "დალასი" გახდა. თავისი სათასო გამოცდილების ფონზე დალასელებმა შანსი არ დაუტოვეს "მემფისს". ამასთან, "დალასმა" მეტოქეს ერთი გამარჯვებაც არ დაუთმო და მშრალი ანგარიშით - 4:0 დაამარცხა. სავარაუდოა, რომ ამგვარი სწრაფი გამარჯვება მაიკ მილერის შანსზეც იმოქმედებს, რომელიც ჯერი სტეკჰაუსს საუკეთესო მეექვსე კალათბურთელის ნომინაციაში შეეცილება. თუ სასწაული არ მოხდა, ამ ტიტულს ალბათ "დალასის" მოთამაშე მოიპოვებს, რომელსაც შარშან ეს ჯილდო ბენ გორდონმა აართვა.

# კუზილოვი ჰაერშია, სამუკაშვილი - მეშვიდე

ვლადისლავოვოში, პოლონეთში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც საქართველოს ნაკრებიც გამოდის, ზვიად სამუკაშვილმა 56 კგ. წონით კატეგორიაში წარუმატებლად იასპარეზა. 13 მონაწილეს შორის ორჭიდის ჯამში მან 239 კილოგრამი დაძლია და მე-7 ადგილი დაიკავა.

დღეისთვის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სახელით ალბერტ კუზილოვის შესაძლო მონაწილეობაზეც უნდა გვეცნობებინა. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა გვითხრა, ეს საკითხი ჯერჯერობით ისევ ღიად რჩება. მართალია, რუსეთის ძალოსნობის ფედერაცია სიტყვიერად თანახმაა, მაგრამ ვიდრე იურიდიულად არ გაფორმდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლომდე არაფერია გადაწყვეტილი.

მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე კუზილოვის გამოსვლას რუსეთის ძალოსნობის ფედერაციის თანხმობა სჭირდებოდა. ამასთან დაკავშირებით შეჯიბრების დაწყებამდე რუსებისგან პასუხსაც ველოდით.

გრიქუროვის განმარტებით, კუზილოვისთვის მწვანე შუქის ანთება რუსეთის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტზეა დამოკიდებული, რომელიც დღეს ან ხვალ გრიქუროვსა და ჩემპიონატის ორგანიზატორებს შეხვდება.



# გერმანია რასიზმის წინააღმდეგ

ბუცის ფორმის სოსისს ხომ არ გასინჯავდით? ან იქნებ შხაპის გელი "ნაკრების მწვრთნელი" გაინტერესებთ? სალათ "კლინსმანს" ხომ არ იგემებთ? - მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ გერმანიაში ხშირად წააწყდებით მსგავსი დასახელების საგნებსა თუ პროდუქტებს. თითოეული გერმანელი მაქსიმალურად ცდილობს სამუნდიალოდ რაიმე ორიგინალური მოიფიქროს, თანაც ისეთი, რომ ამით საკუთარი შემოსავალი ერთიათად გაზარდოს.

ერთი შეხედვით, ამაში საოცარი არაფერია. მით უმეტეს მაშინ, როცა მსგავსი აქტიურობით არა მხოლოდ ბიზნესმენები, არამედ გერმანელი პოლიტიკოსებიც გამოირჩევიან. მათი უმრავლესობა არ ერიდება და ფეხბურთს თავისი რეკლამირებისთვის იყენებს. მაგალითად, ერთ-ერთი გერმანული პოლიტიკური პარტიის საარჩევნო ბუკლეტში 25-ნომრიან თეთრ მაისურაში გამოწყობილი ფეხბურთელის ფოტოს ასეთი წარწერით წააწყდებით: "თეთრი მარტო ფეხბურთელის მაისურის ფერი კი არა, ჭეშმარიტი გერმანული ფერია!

ნაციონალური პარტიის ეს გადაკრული მინიშნება უმალ გაიშიფრა. საქმე ის გახლავთ, რომ 25-ნომრიანი მაისურით გერმანიის ნაკრების ღირსებას იცავს პატრიკ ოვომოიელა, "ვერდერის" მარჯვენა მცველი, გერმანელი მამისა და ნიგერიელი დედის შვილი. ოვომოიელამ და გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ მაშინვე გაასაჩივრა პარტიის ეს რგოლი და შესაბამისად, ამ უკანასკნელსაც მასზე უარის თქმა მოუხდა.

ოვომოიელა ერთადერთი არ გახლავთ, ვინც რადიკალურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მსგავს გაუგებრობაში აღმოჩნდა პატრიკის თანაგუნდელი ჯერალდ ასამოაც, რომელიც რასისტული პლაკატების მსხვერპლი გახდა. განაში დაბადებული "შალკეს" ფორვარდი 14 წლის ასაკიდან გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ღირსებას იცავს.

"ამ ამბავს ასე არ დავტოვებ. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის მინდა, რასისტებს ვაგრძნობინო, რომ მიზანში გაარტყეს - ამობს აღშფოთებული ასამოა.



*ჯერალდ ასამოა რასისტების მსხვერპლი გახდა.*

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სტადიონებზე რასისტული გამოხდომები, ესპანეთისგან განსხვავებით, იშვიათია. ამ თემაზე სპეციალურად მუშაობენ ბუნდესლიგის კლუბთა ხელმძღვანელები და გულშემატკივრები. ისინი ყველანაირად ცდილობენ მსგავსი ფაქტების აღკვეთას. თუმცა, ხშირად რასისტებს იგნორირებას უკეთებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ თუ ამას გამოხმაურება მოჰყვება, ეს მათ კიდევ უფრო გაათავხედებს.

პირველად ჯერალდ ასამოა "შალკე" -"ლევსკის" მატჩისას გახდა რასისტთა შეურაცხყოფის ობიექტი. მისი მისამართით ხშირად ტელევიზიითაც იჩენდნენ უხეშობას. ბოლოს "შალკეს" მწვრთნელს მირკო სლომკას მოთმინების ფიალა აევსო და უეფა-ს ყველაფერი დაწვრილებით აცნობა. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, საქმე გამოძიებას გადასცა.

კიდევ უფრო უარესადაა საქმე გერმანიის ჩემპიონატის ქვედა ლიგებში. მაგალითად, 24 წლის ნიგერიელ ადებოველე ოგუნგბურგს პირდაპირ სახეში შეაფურთხეს. ესეც არ აკმარეს და მთელი მატჩის განმავლობაში "ნიგერის" ყვირილით აიკლეს. პასუხად გულმოსულმა ფეხბურთელმა მატჩის ბოლოს რასისტების წინააღმდეგ ნაცისტური მისალმება მოიშველია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში ადებოველე ოგენგბურგი მორალურად დაზარალდა, ინციდენტის მეორე დღესვე მის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღიძრა, რადგან გერმანიის კანონების მიხედვით, სასტიკად აკრძალულია ნაცისტური მისალმების დემონსტრირება. საბოლოოდ პროკურორმა დაასკვნა, რომ ნიგერიელმა ფეხბურთელმა ეს ჟესტი პროტესტის ნიშნად გამოიყენა და საქმე დახურა.

"ჩვენი მიზანი კონკრეტულად კლუბების დასჯა კი არა, პროვოკატორების უსაქციელობის აღკვეთაა. სწორედ ამ მიზნით უკიდურესი ზომები მივიღეთ და რასისტი გულშემატკივრების ნებისმიერი გამოხდომისთვის ნებისმიერ გუნდს ქულები ჩამოაკლდება და ცარიელ ტრიბუნებზე მოუწევს თამაში", - ნათქვამია უეფა-ს ოფიციალურ განცხადებაში.

რასისტების წინააღმდეგ ბრძოლას, თავის მხრივ, არც ფიფა ჩამორჩება. მსოფლიო წინასწარ გააფრთხილეს, რომ ფიფამ სასჯელი მაქსიმალურად გაამკაცრა და დაისჯება ნებისმიერი ფეხბურთელი, ქვეყნის წარმომადგენელი თუ უბრალო გულშემატკივარი, ვინც რასისტობას მცირე დოზით მაინც გამოამჟღავნებს.

## ინფოთეკა

### მილოშევიჩი რამოსს ცემით ემუქრება

ესპანური "ოსასუნას" თავდამსხმელი სავო მილოშევიჩი ერთ-ერთი ესპანური სატელვიზიო არხის მეშვეობით მადრიდის "რეალის" მცველს სერხიო რამოსს ცემით დაემუქრა. შეგახსენებთ, რომ კონფლიქტი ორ მოთამაშეს შორის "რეალი" - "ოსასუნას" მატჩის 21-ე წუთზე მოხდა, როცა ეს უკანასკნელი მადრიდელ რამოსს შეეჯახა. "სადაც დაგიჭერ, იქ მიგბეგვავ, თანაც ისე, რომ მსოფლიო ჩემპიონატს გამოემშვიდობო. არ გეხუმრები. გპირდები, ისეთ დროს ჩაგისაფრდები, აზრზე ვერ მოხვალ", - აფრთხილებს მილოშევიჩი რამოსს.

### ვან ბომელმა "ბაიერნი" უარყო

კატალონიური "ბარსელონას" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა მარკ ვან ბომელმა მიუნხენის "ბაიერნში" გადასვლაზე უარი განაცხადა. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელს გერმანელები მიხაელ ბალაკის შემცვლელად მოიაზრებენ. შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინ ბალაკმა ლონდონის "ჩელსისთან" კონტრაქტზე ოფიციალურად მოაწერა ხელი. "მიუნხენის "ბაიერნი" ჩემი კლუბის ხელმძღვანელობას სამი კვირის წინ დაუკავშირდა ჩემს თაობაზე, მაგრამ მიუნხენელებს უარი უთხრეს. გადასვლა არც მე მინდა. "ბარსელონაში" ბედნიერი ვარ და ბუნდესლიგაში თამაშის გაგრძელებას არ ვაპირებ", - განაცხადა მარკ ვან ბომელმა, რომელიც კატალონიურ კლუბში 2005 წელს ჰოლანდიური "პსვ ეინდჰოვენიდან" გადავიდა.

### ბარტეზს ფედერაციასთან პრობლემები არა აქვს

საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მარსელის "ოლიმპიკის" კარის დარაჯის ფაბიენ ბარტეზის თქმით, საფრანგეთის თასის ფინალის დაჯილდოების ცერემონიალი მან იმ მარტივი მიზეზის გამო გამოტოვა, რომ ძალიან უნდოდა საპირფარეშოში გასვლა.

"მატჩის შემდეგ ძალიან მინდოდა ტუალეტში, თავს ველარ ვიკავებდი და ამიტომაც გავედი. უკან დაბრუნებული, მედლის მისაღებად გავემართე, მაგრამ ჩემს დაჯილდოებულ თანაგუნდელებს გასახდელში გადავეყარე. მივხვდი, რომ დავაგვიანე. ეს არის და ეს. ასე რომ, ხმები იმის თაობაზე, თითქოს ჩემსა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის რაიმე უთანხმოებაა, ჭორია და მეტი არაფერი", - განუცხადა ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ ფაბიენ ბარტეზმა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის თასის ფინალი ბარტეზის "ოლიმპიკმა" 2:1 დათმო თავის პრინციპულ მეტოქესთან პარიზის "პარი სენ-ჟერმენთან". ამჟამად ფაბიენ ბარტეზი საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია "ლიონის" მეკარე გრეგორი კუპესთან ერთად. ცნობისთვის: შარშან ბარტეზი მსაჯისთვის შეფურთხების გამო ნახევარი წლით იყო დისკვალიფიცირებული.

# შ.პ.ს "წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრი'' აცხადებს კონკურსს ქ. თბილისსა და ქუთაისში შემდეგ ვაკანსიებზე:

1) ფარმაცევტი (ქიმიკოსი - ანალიტიკოსი)
2) მიკრობიოლოგი
3) ადმინისტრაციული განხრის თანამშრომელი

**მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე
2) CV ქართულ ენაზე
3) დიპლომის ასლი
4) ტრეინიგების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობები.
5) 2 ცალი 3 X 4 ზომის ფოტოსურათი.

**საბუთების მიღება წარმოებს 1 მაისიდან - 11 მაისის ჩათვლით 17.00 საათამდე.**
**მისამართი: ქ. თბილისი, კ. გამსახურდიას N24**
**ტელ: 37-34-27**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სააქციო საზოგადოება "ტყიბულნახშირი" აცხადებს ღია ტენდერს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიებით ქვემოთ ჩამოთვლილი საშახტო მოწყობილობებისა და მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| № | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | შესყიდვის განხორციელების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. | ჯაჭვი კონვეიერის "GP-70" (ხარკოვის) | მ | 200 | ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე | ტყიბული |
| 2. | ჯაჭვი კონვეიერის "GP-50" (ხარკოვის) | მ | 100 | ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე | ტყიბული |
| 3. | ფეთქითი ნივთიერება "T-19" მარკის" | ტ | 10 | ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე | ტყიბული |
| 4. | ხე-მასალა (მრგვალი) | მ 3 | 150 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 5. | კაუსტიკური სოდა | ტ | 2,7 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 6. | ზეთი "n-45" | ტ | 1,5 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 7. | საპოხი მასალა "ტაოტი" | ტ | 0,2 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 8. | ბენზინი | ათ.ლიტრი | 3,0 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 9. | დიზელის საწვავი | ათ.ლიტრი | 2,6 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 10. | ქანჩი და ჭანჭიკი №16X75, №22X120 №20X70, №20X50 | კგ | 500 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |
| 11. | საკისრები №656, №3622, №318, №3617, №311 | ც | 40 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე | ტყიბული |

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, 2006 წლის 31 მაისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ტყიბული კ. ლომაძის მოედანი №4. სს "ტყიბულნახშირი".

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის საატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მისამართზე: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მ. № 4 სს "ტყიბულნახშირი". ს.კ. 219617109 "საქართველოს ბანკის" ტყიბულის ფილიალი ა.ა. 121432800 კოდი 220101502.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის თავმჯდომარისაგან გიორგი კახიძისაგან, მისამართზე: ტყიბული, კ. ლომაძის მ. №4, სს "ტყიბულნახშირი", 8297 2-22-00, 899 70-97-59.

**სს "ტყიბულნახშირის" სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი - N6). სამკურნალო დაწესებულებათა რეაბილიტაციის მიზნით 2006 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს საავადმყოფოების სარემონტო -სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შესყიდვის ობიექტები დაყოფილია 2 (ორ) ლოტად შემდეგი სახით:**

I ლოტი- შ.პ.ს. "ქ.ბათუმის N1 საავადმყოფო".

II ლოტი - შ.პ.ს. "ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი".

**3. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 1 სექტემბრამდე**.

4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, სატენდერო კომისიას უნდა წარმოუდგინოს ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში, ქართულ ენაზე **2006 წლის 24 მაისის 10 საათიდან 18 საათამდე და 25 მაისის 10 საათიდან 16 საათამდე.** საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე. Q ბათუმი, რუსთაველის გამზირი N6, მე-5 სართული, N21 ოთახი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს.**

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

a) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები), ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

b) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგიონის შესაბამისი სამსახურიდან);

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ე) ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:

ა) 2006 წლის 1 მაისის მდგომარეობით შედარების აქტი საგადასახადო ინსპექციასთან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებთან დავალიანების შესახებ; (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

| N | მომსახურების დასახელება | შესყიდვის ობიექტის დასახელება | ხელშეკრულების დასახელება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | სამუშაოს დაწყების და დამთავრების თარილი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

გ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

დ) ბოლო ორი წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები);

ე) ლიცენზია საქმიანობის მიხედვით (ნოტარიალურად დამოწმებული ასლის დართვით).

ვ) უკანასკნელი 2(ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ

| N | მოწყობილობა, დანადგარის დასახელება | აღწერილობა, მოდელი და ტიპი მარკა და ასკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან) შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურება (მათ შორის სამედიცინო დაწესებულებისათვის) შემდეგი ფორმით:

cxrili 1

| N | გვარი, სახელი | თანამდებობა და მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

ზ) მომსახურების გაწევისათვის საჭირო ძირითადი მექანიზმები სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა დანადგარები, რომლითაც აღჭურვილია ტენდერში მონაწილე.

cxrili 2

თ) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის იმ პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ მომსახურებას.

cxrili 3

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი ორი ეგზემპლარი ქსერო ასლის სახით.

